



This pdf is a file in the Digital South Caucasus Collection (DSCC), a collection in the Ancient World Digital Library hosted by the [Institute for the Study of the Ancient World Library](#) in partnership with the [Georgian National Museum](#).

- Author: Khakhutaishvili, G. / ხახუტაიშვილი, გ. / Хахутайшвили, Д.А.
- Title: უფლისციხე ტომი I (1957-1963 წწ. არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები) / Уфлисцихе том I(Результаты Археологических изысканий 1957-1963гг.)
- Publication Date: 1964
- Publisher: Georgian National Academy of Sciences
- Place of Publication: Tbilisi
- Collection: Digital South Caucasus Collection
- Collection ID: dscc\_636a50482e

## About

The Digital South Caucasus Collection (DSCC) is a collection in the Ancient World Digital Library (AWDL), a project of the Library of the Institute for the Study of the Ancient World (ISAW) at New York University in cooperation with the Georgian National Museum. AWDL's mission is to identify, collect, curate, and provide access to a broad range of scholarly materials relevant to the study of the ancient world. The ISAW library is responsible for curating the collection, clearing the rights as needed, preserving the digital copies in NYU's Faculty Digital Archive, creating high-quality metadata in order to maximize discoverability, and making the works accessible to the general scholarly public.



IVE  
2347(1)

დ. ხახუტაიშვილი

საქართველო

თბილისი 1964



АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Институт истории, археологии и этнографии им. И.А. Джавахишвили

Д.А. ХАХУТАИЦВИЛИ

# УПЛИСЦИХЕ

РЕЗУЛЬТАТЫ  
АРХЕОЛОГИЧЕСКИХ ИЗЫСКАНИИ  
1957 — 1963 гг.

I

Издательство „Мецниереба“

ТБИЛИСИ • 1964

IVE  
2347

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ფ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

დ. ხახუტაიუვილი


# უფროსისა

13579

1957—1963 წ.

აქემოლოგიური კლავა-ქივიის  
უბეგები

I



გამომცემლობა „მეცნიერება“

თბილისი \* 1964

902. 7 (c 41)  
902. 7 (47. 922)  
ბ 347

ნაშრომი „უფლისციხე I“ მიზნად ისახავს მკითხველთა ფართო წრეს გააცნოს ძველი საქართველოს ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი საქალაქო ცენტრის უფლისციხის არქეოლოგიური გათხრების პროცესში მოპოვებული უახლესი მასალები, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ არა მარტო უფლისციხის, არამედ, საერთოდ, იბერიის (ქართლის) მონათმფლობელური ქალაქების ისტორიის შესწავლისათვის. წინამდებარე ნაშრომი ნაწილია უფრო ვრცელი მონოგრაფიისა, რომლის მეორე ნაკვეთი მზადდება გამოსაცემად. წიგნი ილუსტრირებულია.



## წინასიტყვაობა

1955 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილება აკად. გ. მელიქიშვილის წინადადებით შეუდგა მონათმფლობელური ხანის კოლხეთისა და ქართლის (იბერიის) ქალაქების შესწავლას. ქართლის ქალაქების შესწავლაზე მუშაობა წინამდებარე ნაშრომის ავტორს დაევალა. შესასწავლ ქალაქთა რიცხვში, ბუნებრივია, უფლისციხეც იქნა შეტანილი, მაგრამ ასეთი სამუშაოს ჩატარება წარმოუდგენელი იყო ძველის არქეოლოგიური გათხრების გარეშე. 1957 წ. ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიური ექსპედიცია კულტურის ძეგლთა დაცვისა და რესტავრაციის სამმართველოს სახსრებით ატარებს უფლისციხისა და მისი მიდამოების არქეოლოგიურ დაზვერვებს და ადგენს ძეგლის გათხრის პერსპექტიულ გეგმას. იწყება უფლისციხის შესწავლის ახალი პერიოდი.

1958 წლიდან უფლისციხის არქეოლოგიურ გათხრებს აწარმოებს საქართველოს სსრ ხელოვნების სახ. მუზეუმის არქეოლოგიური ექსპედიცია აკად. შ. ამირანაშვილის ხელმძღვანელობით.

1957—1963 წწ. გათხრების პროცესში დაგროვდა მდიდარი ნივთიერი მასალა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს მონათმფლობელური ხანის ქართული ქალაქისა და საქალაქო ცხოვრების შესწავლისათვის. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ უახლესი ქართული ისტორიოგრაფიის ამ აქტუალური პრობლემის შესწავლა დასაწყის სტადიაშია, ხოლო ჩვენი ცოდნა, კერძოდ, უფლისციხის შესახებ მეტად განსაზღვრული, ნათელი გახდება რამდენად აუცილებელი და გადაუდებელია მოპოვებული მასალების პუბლიკაცია.

ძეგლის შესწავლაზე მუშაობისას ავტორს დიდ დახმარებას უწევდნენ აკადემიკოსები ნ. ბერძენიშვილი, შ. ამირანაშვილი და გ. მელიქიშვილი, პროფესორები გ. ჩიტაია, ვ. ბარდაველიძე და სხვა სპეციალისტები.

უფლისციხისა და მისი მიდამოების არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილეობდნენ: აკად. შ. ამირანაშვილი, არქიტ. თ. ქარუმიძე (1958—1963 წწ.) დ. სახუტაიშვილი (1957—1963 წწ.), ნ. ჩუბინაშვილი (1957;), გ. აბრამიშვილი (1958—1961 წწ.), ნ. ჯინჭარაძე (1958—1959 წწ.), კ. ვაჩეიშვილი (1958—1959 წწ.), გ. სოხაშვილი (1958—1960 წწ.), ე. თოდუა (1958—1959 წწ.), მ. ურუშაძე (1959 წ.), ა. ჩხარტიშვილი (1960—1961 წწ.), ირ. ჯანდიერი (1960—1961 წწ.), ვ. გადილია (1962 წ.), ფოტოგრაფი ი. გილგენდორფი (1958—1963 წწ.), არქიტ. ვ. წილოსანი (1960 წ.), რ. ბურჭულაძე (1963 წ.).

## შესავალი

უფლისციხე, დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული მასალების შუქზე, წინაფეოდალური ხანის ქართული მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანეს ძეგლად წარმოგვიდგა. დადასტურდა, რომ იგი წარმოადგენდა ქართლის (იბერიის) ერთ-ერთ უძველეს ქალაქთაგანს, რომელსაც მნიშვნელობა XII საუკუნემდე არ დაუკარგავს, ხოლო არსებობას მომდევნო პერიოდშიც განაგრძობდა. მონათმფლობელური ხანის ეს ქალაქი (ნაქალაქარი) წარმოდგენილია რთული არქეოლოგიური კომპლექსის სახით, რომელიც ითვლის კლდეში ნაკვეთ „შიდა ქალაქს“, მისგან თხრილით გამოყოფილ „გარე ქალაქს“, დაბებით დასახლებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონს, კარგად გამართულ გზებს, კლდეკარებს, სამდინარო ნავსადგურს და ა. შ. იმის გამო, რომ შიდა ქალაქის თითქმის ყველა ძირითადი ნაგებობა (სახლები, მოედნები, ქუჩები, კარები, კიბეები, გვირაბი, წყალსაწრეტი არხები, თხრილი და ა. შ.) კლდეში იყო გამოკვეთილი, თითქმის უცვლელად შემოინახა ქალაქის ამ ნაწილის ადრინდელი სახე, რაც ასე იშვიათია მონათმფლობელური ქალაქების (ნაქალაქარების) არქეოლოგიაში. დაბოლოს, უფლისციხეში გადარჩენილი წინაფეოდალური ხანის ნაგებობათა სხვადასხვა ჯგუფი იძლევა უაღრესად საყურადღებო მასალას ქართული ხუროთმოძღვრებისა და მშენებლობის ხელოვნების ადრეული საფეხურის შესწავლისათვის.

\* \* \*

XIX საუკუნის 30-იან წლებში უფლისციხე აღწერა და შესწავლა ფრანგმა მოგზაურმა დიუბუა დე მონპერემ. ეს იყო უფლისციხის შედარებით სრული აღწერისა და შესწავლის პირველი ცდა. დიუბუას ყურადღება მიუქცევია არა მარტო კლდეში ნაკვეთი ანსამბლისათვის, არამედ იმ ტერიტორიისათვის, რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, უფლისციხესა და გორს შორის მდებარეობდა. აღნიშნულ რაიონში მას შეუნიშნავს თიხის ნაწარმის ფრაგმენტების დიდი რაოდენობა და მიწაში ჩაფლული ქვევრები, რაც მისი აზრით, იმაზე მიუთითებს, რომ უძველეს ხანაში აქ მჭიდრო დასახლება ყოფილა<sup>1</sup>. იგი დაწვრილებით აღწერს ქალაქის გარეგნულ სახეს და ხედავს ქალაქის ისეთ ელემენტებს, როგორცაა კარები, გზები, ქუჩები, დუქნები, სახლები, ეზოები, სასახლე, წმინდა ადგილები, წყალსაწრეტი არხები, გვირაბი და ა. შ.<sup>2</sup> პარალელურად იგი იძლევა ყველაზე საინტერესო კომპლექსების აღწერილობას და ცდილობს მა-

<sup>1</sup> Fr. Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase, III, Paris, 1839, 33-193—194.

<sup>2</sup> იქვე, 33. 175, 204.



თი დანიშნულებაც გაარკვიოს. ამგვარად მან გამოყო: „მისაღები სალონი“ (ე. წ. „თამარის დარბაზი“), ქალთა და მამაკაცთა „მისაღები ოთახები“, „ჰარამხანა“ (კესონურ-კამაროსანი კომპლექსი, მრგვალი, შეწყვილებული კოჭებით შემკული ჭერის მქონე სახლი და მიმდებარე სათავსოები), საკუჭნაოები (ქვევრით, თონით, ნიშებით) და ა. შ.<sup>3</sup>. იგი შეეხო კომპლექსთა ხუროთმოძღვრულ სახეს და გამოყო ორი სტილის ნაგებობანი. პირველს მან პირობით ვოთური უწოდა და ამ ჯგუფში მოათავსა ერთ-და მრავალგუმბათიანი ნაგებობანი (3 კომპლექსი), ხოლო მეორე სტილს „თავისებური“ უწოდა და ადგილობრივად მიიჩნია. ამ ჯგუფში მან, ძირითადად, ის კომპლექსები გააერთიანა, რომელთა ჭერი ხის ნაგებობების მიბაძვითაა გაფორმებული (ყველა ბრტყელჭერიანი კომპლექსი, ძელური თუ კესონური გაფორმებით)<sup>4</sup>.

დიუბუა შეეხო უფლისციხის დათარიღების საკითხსაც და შეეცადა დაედგინა სააღმშენებლო პერიოდთა თანმიმდევრობა. საამისოდ იგი მიუთითებს რამდენიმე მომენტზე: 1. ვარძიის გამოქვაბულები, რომელთა დიდი ნაწილი თამარ მეფის დროსაა გამოკვეთილი. დამუშავებითა და შესრულებით ვერ შეედრება უფლისციხეს. რომელიც უფრო ადრეულია. 2. უფლისციხეში არ არის კლდეში ნაკვეთი ქრისტიანული ეკლესიები. რაც იმის მოწმობაა, რომ ეს ქალაქი ქრისტიანობის ხანას არ ეკუთვნის. 3. „ქართლის ცხოვრების“ ცნობით<sup>5</sup> უფლისციხე აუშენებია უფლოსს, სკვითების შემოსევის წინარე ხანაში, ხოლო ალექსანდრე მაკედონელს ქალაქი გამაგრებული დახვედრია. 4. რომაული ხანის გადაკეთებათა მოწმობაა „ქართლის ცხოვრების“ ცნობა უფლისციხეში არაქ მეფის სააღმშენებლო მოღვაწეობაზე, აგრეთვე, კესონური ჭერის მქონე გამოქვაბული, რომელიც რომაულ სტილშია შესრულებული. იგი რომაელთა აქ ბატონობის პერიოდს უკავშირდება და არაქ მეფის სააღმშენებლო საქმიანობაზე რომაული სტილის გავლენის მოწმობაა<sup>6</sup>. დიუბუა ფიქრობდა, რომ იგი დიდ მეცნიერულ რისკს არ გასწევდა, თუ უფლისციხის გამოქვაბულების შექმნას სპარსელებისა და პართელების გავლენას დაუკავშირებდა<sup>7</sup>. მისი აზრით „უფლისციხის ქალაქი თუ ციხე-სიმაგრე არ წარმოადგენდა მხოლოდ თავშესაფარს, არამედ აქ ცხოვრობდა ხელოვნების მოყვარული და მისი მცოდნე ხალხი“<sup>8</sup>. ქალაქის დაცემას იგი თურქთა და სპარსელთა გამანადგურებელ თარეშებს უკავშირებდა<sup>9</sup>. ძირითადი თეორიული მოსაზრებები დიუბუამ ჰიპოთეზებისა და ვარაუდების სახით წარმოადგინა, მაგრამ ზოგიერთ მის მიხვედრას დღესაც არ დაუკარგავს მეცნიერული ფასი; უფრო მეტიც, ბევრი მათგანი შემდგომი კვლევა-ძიებით დადასტურდა კიდევ, ხოლო მის ალბომში ასახული ზოგიერთი დეტალი დღეისათვის თითქმის აღარ გადარჩენილა და ჩანახატებს პირველწყაროს მნიშვნელობა აქვს<sup>10</sup>.

1844 წ. საქართველოს ძველ ქალაქებს შეეხო ცნობილი ქართველი მკვლევარი პლ. იოსელიანი. მან შეიმუშავა ქართული ქალაქების წარმოქმნა-განვითარების დღეისათვის მიუღებელი, მაგრამ თავისი დროისათვის სავსებით დამაკ-

<sup>3</sup> Fr. Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase, III, Paris, გვ. 199—203.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 197 — 201.

<sup>5</sup> დიუბუა „ქართლის ცხოვრებას“ ვახტანგისეული რედაქციით იცნობდა.

<sup>6</sup> დასახ. ნაშრ., გვ. 205—208.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 206.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 205.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 209—210.

<sup>10</sup> დასახ. ნაშრ., Atlas, série d'archeologie..., Paris 1843, ტაბ. I-IV.

მაყოფილებელი თეორია და იმ დროს ცნობილი წყაროების საფუძველზე მოგვცა ძველი საქართველოს ქალაქების, მათ შორის უფლისციხის, ისტორიის მოკლე მიმოხილვა. მართალია, უფლისციხე მან „ტროგლოდიტების არქიტექტურის ძეგლად“ მიიჩნია, მაგრამ დიუბუაზე მიდევნებით აღნიშნა, რომ რადგან კლდეში ნაკვეთ კომპლექსთაგან არც ერთი არ წარმოადგენს ქრისტიანულ საეკლესიო ნაგებობას, უფლისციხე წინაქრისტიანულ ხანაში უნდა იყოს აგებული<sup>11</sup>.

1847 წელს გრ. გაგარინი აქვეყნებს უფლისციხის საერთო ხედებისა და ზოგიერთი გამოქვაბულის ჩანახატებს. ძეგლის გაგებისას ავტორი მიყვება დიუბუას მონათხრობს<sup>12</sup>.

1848 წელს უფლისციხის მშრალ აღწერილობას აქვეყნებს კ. მურავიოვ-აპოსტოლი. იგი მიუთითებს რომაული გემოვნებით შესრულებულ კლდეში ნაკვეთ კომპლექსთა არსებობაზე, ეხება კოჭური ჭერის მქონე ნაგებობათა მიბაძვით შესრულებულ კომპლექსებს და ჩერდება ქალაქის შესასვლელების, გვირაბის, ქუჩებისა და სხვა ნაგებობათა აღწერილობაზე. დიუბუა დე მონპერესა და პლ. იოსელიანისაგან განსხვავებით, მურავიოვი ადასტურებს კლდეში ნაკვეთი ქრისტიანული სამლოცველოს არსებობას, მაგრამ აქედან შესაბამისი დასკვნა არ გამოაქვს<sup>13</sup>. როგორც ჩანს, იგი არ იცნობდა წინამორბედთა მიერ ჩატარებული მუშაობის შედეგებს, სადაც უარყოფილი იყო კლდეში ნაკვეთი ეკლესიის არსებობა და ამ საფუძველზე მთელი ძეგლი (კლდეში ნაკვეთი კომპლექსები) წინაქრისტიანული ხანით იყო დათარიღებული (დიუბუა დე მონპერე, პლ. იოსელიანი).

1852 წ. გაზ. „Кавказ“-ში დაიბეჭდა წერილი, რომლის ავტორი მოუწოდებდა საზოგადოებას, რათა ბოლო მოეღო უფლისციხისადმი უყურადღებობისათვის. მისი აზრით, უკვე ვაჟიდა კავკასიის გაცნობისა და დადგა მისი შესწავლის ხანა, სადაც უფლისციხის შესწავლას სპატიო ადგილი უნდა დაეჭირა<sup>14</sup>. იმავე წელს გრაფ სოლოგუბის რჩევით მეღვინეთუხუცესს მოუხდენია უფლისციხის დაწვრილებითი დათვალიერება და ჩაუტარებია მცირე მასშტაბის გათხრები. კერძოდ, გაუწმენდია უფლისციხის „სასახლე“ (ორსვეტიანი დარბაზის კომპლექსი მარნით), სადაც აულია 2 მეტრი სიღრმის ფენა, მაგრამ საყურადღებო ვერაფერი უპოვნია. ნაქალაქარის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ქალაქგარეთ არსებულ მოსწორებულ ტერასაზე მიუგნია ძველი ნეკროპოლი, მაგრამ მუშაობას არც აქ მიუცია სასურველი შედეგი. ამავე დროს, უფლისციხის კლდეში ნაკვეთ კომპლექსთა ჩანახატად თბილისიდან მოუწვევიათ მხატვარი ბერეჟნოვი<sup>15</sup>. აქედან მოკიდებული XIX საუკუნის 90-იან წლებამდე უფლისციხის შესასწავლად ბევრი არაფერი გაკეთებულა (1882 წელს, მაგალითად, კვლავ იმეორებდნენ უფლისციხის ტროგლოდიტებისადმი კუთვნილების აზრს)<sup>16</sup>.

XIX საუკუნის 80-იანი წლებით შეიძლება შემოიფარგლოს უფლისციხის შესწავლის პირველი პერიოდი, რომელიც რიგი თავისებურებებით ხასიათდება.

<sup>11</sup> П. П. Иоселиани, Города, существовавшие и существующие в Грузии Тифл., 1850, гз. 65—66

<sup>12</sup> Gr. Gagarin, Le Caucase pittoresque, Paris, 1847, ტაბ. LXXIV, LXXV.

<sup>13</sup> Н. Н. Муравьев-Апостоль, Грузия и Армения, часть III, 1848, СПб. гз. 94—101.

<sup>14</sup> გაზ. „Кавказ“. 1852, № 43, 66.

<sup>15</sup> „Кавказ“ 1852, № 66, 70.

<sup>16</sup> Ал. Джавахов, г. Гори. Исторические сведения, г. Гори, кр. Горис-цихе.



მათგან შეიძლება აღნიშნულიყო: შესწავლაში მონაწილეთა უმრავლესობის არასათანადო მომზადება, წყაროებისა და შესაძარებელი მასალების უქონლობა, ქართველოლოგიურ დისციპლინათა განუვითარებლობა, ეროვნული კადრების არ არსებობა, ადმინისტრაციის უყურადღებობა და ა. შ.

პირველი სათანადოდ მომზადებული მკვლევარი, რომელმაც უფლისციხეს მიაქცია ყურადღება პ. უვაროვა იყო. მან შეისწავლა უფლისციხის ზოგიერთი კლდეში ნაკვეთი კომპლექსის არქიტექტურული აღნაგობა. ხოლო მიღებული მონაცემები შეუდარა წერილობითი წყაროების ცნობებს. აგრეთვე, სათანადო პარალელურ მასალას და 1894 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში გამოთქვა მოსაზრება კესონური ქერის მქონე გამოქვაბული კომპლექსების ახ. წ. პირველი საუკუნეებით დათარიღების შესაძლებლობის შესახებ<sup>17</sup>. ამ ნაშრომით, შეიძლება ითქვას, დასაწყისი ეძლევა უფლისციხის შესწავლის მეორე პერიოდს, რომელიც ფაქტიურად ნახევარ საუკუნეზე მეტხანს ვაგრძელდა (1894—1957 წწ.).

1898—1899 წწ. კ. ფ. ლემან-ჰაუპტი და ვ. ბელკი დეტალურად ეცნობიან ურარტუს სამეფოს ტერიტორიის ძეგლებს. გავლით ექსპედიციამ მოიხილა აღმ. საქართველოს რიგი ძეგლები, მათ შორის უფლისციხე და ვარძია. რომელთა შესახებ ლემან-ჰაუპტი გამოთქვა არა ერთი საყურადღებო მოსაზრება<sup>18</sup>. ლემან-ჰაუპტი უფლისციხესა და ვარძიას (აგრეთვე გარეჯას) ეხება ქართველი ხალხის წარმოქმნის საკითხთან დაკავშირებით და ცდილობს კლდეში ნაკვეთი ძეგლები იბერების სამხრეთიდან მოსვლის საბუთად წარმოადგინოს. მისი აზრით, არა უგვიანეს ძვ. წ. VI საუკუნისა აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე სახლდებიან ფრიგიიდან გადმოწეული მესხები, რომლებიც ქართველი ხალხის უძველეს და ძირითად ნაწილს შეადგენენ. არა უადრეს ძვ. წ. IV საუკუნისა თავისი სამშობლოდან ჩრდილოეთისაკენ დაიძრნენ კარდუხ-გორდიები (რომლებშიც, ლემან-ჰაუპტის აზრით, ქართ-იბერები უნდა დავინახოთ), შეავიწროვეს მესხები და შეერივნენ მათ. იგი, ერთმანეთს უდარებს რა ამიერ-კავკასიისა და მცირე აზიის კლდეში ნაკვეთ ქალაქებს, ფიქრობს, რომ აღმ. საქართველოს კლდეში ნაკვეთი ძეგლები (უფლისციხე, ვარძია, გარეჯა) ხასიათითა და პროპორციებით უფრო კარდუხ-გორდიების გამოქვაბულებში პოულობენ პარალელებს. ვიდრე ზუსტი პროპორციების მქონე ხალდურ-ფრიგიულ გამოქვაბულებში. ეს ფაქტი, მისი აზრით, ქართ-იბერებისა და კარდუხების ერთი ეთნიკური წრისადმი კუთვნილების საბუთია<sup>19</sup>. მართალია, ლემან-ჰაუპტის მოსაზრებებში ბევრი რამ არ არის გასაზიარებელი<sup>20</sup>, მაგრამ, ჩვენი აზრით, მან სწორად მიაქცია ყურადღება ძველი საქართველოს მატერიალური კულტურის სამ-

Уплис-Цихе, Урбниси, СМОМПК, вып. п. отд. I. Тифл., 1882, 62—63.

<sup>17</sup> П. Уварова, Христианские памятники, МАК, IV, М., 1894, гв. 59.

<sup>18</sup> С. F. Lehmann-Haupt, Armenien Einst und jetzt, I, Berlin, 1910, гв. 95—103; II, 1926, гв. 19 და შემდეგ.

<sup>19</sup> С. F. Lehmann-Haupt, On the origin of the Georgians, „Georgia“ 1937, № 4/5, гв. 43 და შემდეგ. მისივე, Вступительная лекция по истории и культуре халдов, თსუ შრომები, VI, 1938, гვ. 257—263.

<sup>20</sup> კ. მეღითაური, ვარძიის სააღმშენებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები, თბ., 1961, გვ. 82—84.

ხრეთ მეზობლების მატერიალურ კულტურასთან კავშირში შესწავლის საჭიროების საკითხს.

1937 წ. გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში ლ. მელიქსეთბეგი შეეცადა სახლებური ახსნა მოეძებნა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ს იმ ცნობისათვის, სადაც უფლისციხე კასპის ციხედაა წარმოდგენილი. სახელ „კასპში“ მკვლევარმა კასპიების ტომი დაინახა და ქველში მოცემული ფრაზა „უფლისციხე კასპისა“ გახსნა, როგორც „უფლისციხე კასპიებისა“. ასევე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „სარკინე“. ფორმალური ანალიზის გზით, მან სატომო სახელ „საკ“-ამდე დაიყვანა<sup>21</sup>. ლ. მელიქსეთ-ბეგის დასკვნათა წინამძღვრების ერთი რიგი საკმაოდ უცნაურია. ასე მაგალითად, მკვლევარი ფიქრობს, რომ სარკინეში არ დასტურდება ოკინის წარმოება. სხალტბაში არც მსხალია და არც ტბა, ხოლო ციხედიდის ციხეც არსად ჩანს. მაშასადამე, ეს სახელები არ აღნიშნავენ იმას, რასაც თითქოს უნდა აღნიშნავდნენ და მათი ახსნა სხვა გზით უნდა წარიმართოს. მართლაც, ე. წ. „სკვითიზმების“ მოშველიებით იგი იოლად „ხსნის“ ამ სახელებს და გზადავზა „აბათილებს“ წინამორბედ მკვლევართა სწორ მოსაზრებებს. ლ. მელიქსეთ-ბეგის მოსაზრებათა მცდარობაზე დღეს ორი აზრი არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ იგი თავის დროსაც არ იდგა ქართველოლოგიის განვითარების სიმაღლეზე, რაც ავტორს კარგად უგრძენია წერილის გამოქვეყნების დროსვე<sup>22</sup>.

1939 წ. უფლისციხეს შეეხო აკად. გ. ნ. ჩუბინაშვილი. მისი აზრით, უფლისციხის გამოქვაბულები იმის მოწმობაა, რომ ქართული კულტურა სიახლოვეს ჩვენდა წინააზიის ხალხების კულტურასთან საერთოდ და ხალღურ-ხეთურ კულტურასთან კერძოდ. მკვლევარი მოხაზავს უფლისციხის განვითარების ზოგად სქემას და ფიქრობს, რომ კესოვან-კამაროსანი კომპლექსი ახ. წ. პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება, ხოლო ორსვეტიანი ბრტყელ-ჭერიანი, კოჭურ-გადახურვიანი ნაგებობა (ე. წ. „თამარის დარბაზი“) შესაძლებლად მიაჩნია განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღოს. ამ ნაგებობის გარშემო განლაგებულ მცირე სათავსოებში იგი მცველების სადგომებს ხედავს<sup>23</sup>. 1959 წ. გამოქვეყნებულ ერთ-ერთ ხაშრომში აკად. გ. ჩუბინაშვილი კვლავ ეხება უფლისციხეს, მაგრამ იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო წინაფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურის განვითარების ზოგადი სურათის წარმოსადგენად<sup>24</sup>. მკვლევარი იმეორებს აზრს კესონურ-კამაროსანი ჭერის მქონე გამოქვაბულის ახ. წ. პირველი საუკუნეებით დათარიღებაზე და გამოთქვამს ვარაუდს შეწყვილებულ მრგვალკოჭურ გადახურვიანი ჭერის მქონე გამოქვაბულის ამავე დროით დათარიღების შესაძლებლობაზე<sup>25</sup>. ტექსტიდან ჩანს, რომ უფლისციხის კომპლექსთა

<sup>21</sup> Л. М. Меликсет-Беков, К скифской проблеме, в связи с вопросом о Саках, Каспах и Берах, материалы საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, VII, 1937, გვ. 521 და შემდეგ.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 521, შენიშვნა 1.

<sup>23</sup> გაზ. „Заря Востока“, 1939, 21. VI, № 140.

<sup>24</sup> Г. Н. Чубинашвили. Очерк развития в Грузии дофеодальной архитектуры, საბჭოთა ხელოვნება. 5, 1959, გვ. 55—64.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 62.



ძირითადი ჯგუფები მკვლევარს გვიანანტიკური და ფეოდალური ხანის ძეგლებად მიაჩნია<sup>26</sup>.

1944 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „Всеобщая история архитектуры“ გამეორებულია ლემან-ჰაუპტის მოსაზრება იმის შესახებ. თითქოს უფლისციხე და ვარძია ხალდური კულტურის ძეგლებია<sup>27</sup>.

აკად. შ. ამირანაშვილი პირველი მკვლევარია, რომელმაც უფლისციხე სპეციალური შესწავლის საგნად გაიხადა და მას სწორი მიმართულება მისცა. მან პირველმა მიუთითა, რომ უფლისციხის სათანადო მეცნიერულ დონეზე შესწავლისათვის აუცილებელია ფართო არქეოლოგიური გათხრების ჩატარება. 1944 წ. გამოცემულ ნაშრომში მან მოგვცა უფლისციხის ისტორიის მოკლე მიმოხილვა და რიგი კლდეში ნაკვეთი კომპლექსების შესწავლაც ჩაატარა. ახალი იყო უფლისციხის შესწავლაში ერთ-ერთი კლდეში ნაკვეთი კომპლექსის თეატრონად მიჩნევა. „უფლისციხის შენობათა პირველი კომპლექსი.—წერს იგი,—სათეატრო შენობას წარმოადგენს. იგი რომაულ ეპოქას ეკუთვნის; დეკორის ანალიზი საშუალებას გვაძლევს დავათარილოთ იგი II—III სს, ვინაიდან ქრისტიანული რელიგიის დამკვიდრების პირობებში ანტიკური თეატრის არსებობისათვის პირობები არ იქნებოდა და სახალხო გასართობის ხასიათი სხვა გზით წარიმართა. ამ გარემოებას უნდა დავეუმატოთ ის დაკვირვება, რომ კესონური წესი თაღისა და ჭერის გაფორმებაში საქართველოში ცნობილია მხოლოდ ანტიკურ ეპოქაში; ქრისტიანული რელიგიური არქიტექტურა ჩვენში არც ერთ შემთხვევაში კესონური გაფორმების სისტემას არ მიმართავს, ვინაიდან იგი განვითარდა არქიტექტურის სულ სხვა საფუძველზე“<sup>28</sup>. ამავე ნაშრომში რომაული ხანითვეა დათარიღებული ბრტყელჭერიანი დარბაზების ერთი რიგი, რომელთაც ჭერის კესონური გაფორმება აქვთ<sup>29</sup>. მითითებული ნაშრომის მომდევნო (რუსულ) გამოცემაში მკვლევარი უფრო შორს მიდის და აღიარებს, რომ უფლისციხის შედარებით დიდი ზომის კომპლექსები, თუ მათი არქიტექტურული აღნაგობის მიხედვით ვიმსჯელებთ, რომაული ექსპანსიის ხანას, ე. ი. ახ. წ. I—III საუკუნეებს მიეკუთვნება<sup>30</sup>. გარდა ამისა, აკად. შ. ამირანაშვილმა კონკრეტულად მიუთითა რამდენიმე კლდეში ნაკვეთი კომპლექსი, რომლებიც, ელინისტურ ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

1952 წ. უფლისციხეს დ. მშვენერიძე შეეხო. მკვლევარი ფიქრობს, რომ ქართული წერილობითი წყაროების პირველი ცნობები უფლისციხის შესახებ ძვ. წ. I საუკუნეს მიეკუთვნება<sup>31</sup>. ცნობილია, რომ ჩვენ საერთოდ არა გვაქვს

<sup>26</sup> Г. Н. Чубинашвили, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 63.

<sup>27</sup> *Всеобщая история архитектуры*, т. I, М., 1944, გვ. 125. ნაშრომის ეს ნაწილი ეკუთვნის პროფ. ს. კ. ბეზსონოვს.

<sup>28</sup> შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, I, თბ., 1944, გვ. 123.

<sup>29</sup> იქვე, გვ. 123—124.

<sup>30</sup> Ш. Я. Амиранашвили, *История грузинского искусства*, М., 1950, გვ. 88.

1959 წ. გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში დ. ჯანელიძემ უდავოდ მიიღო უფლისციხეში ანტიკური თეატრისა და სტადიონის არსებობის ფაქტი. იგი შეეცადა გაერკვია კლდეში ნაკვეთი თეატრის ცალკეულ ნაწილთა დანიშნულება და აღედგინა თეატრის თავდაპირველი სახე *Д. Джanelidze, Грузинский театр*, Тб. 1959, გვ. 89—91. ჩვენ ვფიქრობთ, რომ კატეგორიული მტკიცება იმისა, თითქოს უფლისციხის თეატრის ნაგებობა სწორედ კეაონურ-კამაროსანი ჭერის მქონე დარბაზის კომპლექსი იყოს, ნაადრევია და ვარაუდის სახით შეიძლება გამოითქვას. იგივე შეიძლება ითქვას უფლისციხის ე. წ. სტადიონის (საასპარეზოს) შესა-

ახ. წ. VII საუკუნეზე ადრინდელი ქართული წერილობითი წყარო, სადაც უფლისციხე იყოს მოხსენებული, ხოლო VII ს. ძეგლის ცნობით კი უფლისციხე წინაელისტიური ხანით თარიღდება („მოქცევაჲ ქართლისაჲ“). უფლისციხის ზოგიერთი კომპლექსი ავტორს ძვ. წ. II—I საუკუნეებით დაუთარიღებია<sup>32</sup>. მაგრამ ასეთი თარიღი ჩვენთვის არც მისაღებია და ნაშრომში, სამწუხაროდ, არც ის ჩანს, თუ საიდან გამოდის იგი, როცა ასეთ ქრონოლოგიას გვთავაზობს. კიდევ მეტი, მკვლევარს ერთმანეთში აურევია შუა საუკუნეებისა და ანტიკური ხანის კლდის სახლები და შუა საუკუნეების ძეგლები ძვ. წ. II—I საუკუნეებისათვის მიუკუთვნებია<sup>33</sup>.

ირ. ციციშვილი ეთანხმება აკად. შ. ამირანაშვილს და უფლისციხის კესონურ-კამაროსან და კესონურ-ბრტყელჭერიან კომპლექსებს ახ. წ. II—III საუკუნეებით ათარიღებს<sup>34</sup>.

კ. მელითაური გამოყოფს უფლისციხის კლდეშინაკვეთი კომპლექსების ორი ჯგუფი, რომლებიც, მისი აზრით, გაცილებით უფრო ადრინდელია, ვიდრე ის სახლები, რომელთაც კესონებით შემკული ჭერი გააჩნიათ და ახ. წ. I—III საუკუნეებით თარიღდება. მან მიუთითა, რომ კლდის სახლთა ამ ჯგუფის სიძველეს „ადასტურებს ამ გამოქვაბულების მოკაზმულობა, რომელიც გასაოცარი უშუალობით გადმოგვცემს ხის გადახურვის უმარტივეს კონსტრუქციებს“ (მრგვალი კოჭებით გადახურვა და მისი მომდევნო საფეხური—ბრტყელკოჭიანი გადახურვის ჭერი)<sup>35</sup>. ემყარება რა სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ ვარაუდს „მცხეთა“ სახელის „მესხ“ სახელთან კავშირზე, კ. მელითაური, თავის მხრივ, ვარაუდობს უფლისციხეზე მესხთა ტომის მფლობელობას და კითხულობს, „ხომ არ არის სახლსამყოფის ეს ტიპი მესხების მიერ შექმნილი და ტრადიციულად დანერგილი, ყოველ შემთხვევაში, მტკვრის ხეობის გაყოლებით მცხეთიდან ზემოთ—სათავემდე?“<sup>36</sup>. მაგრამ საკითხის ამგვარად დასმამდე, ბუნებრივია, ნაცადი იქნეს იმის ჩვენება, რომ ჭერის გადახურვის მითითებული ხერხი ქართველ ტომთაგან მხოლოდ მესხებისათვის იყო დამახასიათებელი. ასეთი სამუშაო კი ჯერ ჩატარებული არ არის. გარდა ამისა, ჯერ კიდევ არავის დაუსაბუთებია „მცხეთა“ სახელის „მესხ“ სახელთან კავშირი ისტორიული „ზენა სოფლის“ (შიდა ქართლის) მთელი ტერიტორიაზე მესხების კომპაქტურად განსახლების საბუთია, თუ მათი ერთი ნაწილის შემოღწევას ჰქონდა ადგილი. უკანასკნელი მით უფრო სავარაუდოა, რომ „მცხეთა“ სახელის გარკვეული ადგილისათვის მიკუთვნება, როგორც ეს აკად. გ. მელიქიშვილმა შენიშნა, თავისთავად მიუთითებს ამ პუნქტის ირგვლივ არამესხური ტომების მოსახლობათა

ხებაც. სრულებითაც არ არის მოულოდნელი, რომ უფლისციხეს თეატრიც ჰქონდა და სტადიონიც, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ საკითხის დასმა შესაძლებელი. მომავალმა კვლევამ უნდა გვიჩვენოს რამდენად გამართლებია დასმული საკითხების იმგვარი გადაწყვეტა, როგორც გამოთქმულია სპეციალურ ლიტერატურაში.

<sup>31</sup> Д. Мшвениерадзе, Строительное дело в древней Грузии, Тб., 1952, გვ. 59.

<sup>32</sup> იქვე, ტაბ. 45, სურ. 89, იხ. И. Цицишвили, Книга о строительном искусстве древней Грузии, „Заря Востока“, 1953, 240.

<sup>33</sup> იქვე, ტაბ. 46, სურ. 92.

<sup>34</sup> ირ. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, ლექციების მოკლე კურსი, თბ., 1955, გვ. 26—27.

<sup>35</sup> კ. მელითაური, სახლსამყოფის ერთი სახე საქართველოში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XIV, № 5, 1953, გვ. 313, მისივე, ვარძიის...; გვ. 83, 136—137.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 319.



არსებობაზე<sup>37</sup>. ყოველ შემთხვევაში, მრგვალი კოჭებით გადახურვა, ვისაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი, გადახურვის უმარტივესი და უძველესი სახეა და კ. მე-ლითაური მართალი ჩანს, როცა საკითხს ამ კუთხით უდგება.

იხილავს რა აქემენიდური ხანის ქართლის (იბერიის) პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიური ისტორიის საკითხებს. აკად. გ. მელიქიშვილი აღნიშნავს, რომ წინაელენისტური ხანის ქართლის პოლიტიკური ცენტრი მცხეთა კი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ეს „ქართლის ცხოვრების“ გადმოცემაშია დაცული. არამედ უფლისციხე. ცნობა ქართლოსის ძეთა შორის მცხეთოსის უხუცესობაზე, მისი აზრით, გვიან (მცხეთის დედაქალაქობის ხანაში) არის გაჩენილი. ამ მოსაზრების შესამაგრებლად იგი მიმართავს, ერთი მხრით, უფლისციხის მეზობლად მდებარე არქეოლოგიურ ძეგლებს, კერძოდ, ს. ზოვლეს წინაელენისტური ხანის სამოსახლოს არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებულ მასალებს. ხოლო, მეორე მხრით, მცხეთის გათხრებით მოპოვებულ მასალას, რომელიც „არ ლაპარაკობს მაინც და მაინც იმის შესახებ, რომ ამ ადგილას (ე. ი. მცხეთაში) წინაელენისტურ ხანაში დიდი გაერთიანების ცენტრი უნდა ყოფილიყო—არ ჩანს დიდი გაერთიანების ბელადების ან მათი ოჯახის წევრების მდიდრული სამარხები, რომელიც ჩვენ ამ ხანიდან მოგვეპოვება სხვა ადგილებიდან (ახალგორის, წინწყაროს მასალები და სხვა)“<sup>38</sup>.

გორის ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით, უფლისციხეს დ. გვრიტიშვილიც შეეხო. 1954 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში მკვლევარი უჩივის უფლისციხის ისტორიის შეუსწავლელობას და მონოგრაფიული გამოკვლევის უქონლობას. იგი ცდილობს მიუთითოს უფლისციხის შესწავლის გზები და მიაჩნია, რომ „ერთად-ერთი მართებული მეცნიერული მეთოდი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ ასეთი კლდე-ქალაქების შესწავლისათვის, ეს შედარებით—ისტორიული მეთოდი“<sup>39</sup>. ავტორი ცდილობს გვიჩვენოს ამ მეთოდის გამოყენების მაგალითიც. მან უფლისციხე შეუდარა ურარტუს შესაბამის ძეგლებს და მიუთითა, რომ „უფლისციხის მშენებელი ხალხისათვის უცნობი არ ყოფილა ვანის კულტურა“. ამ საფუძველზე მას შესაძლებლად მიაჩნია უფლისციხის მშენებლობის დაწყება ძვ. წ. VII—VI სს-ით დაათარილოს<sup>40</sup>. ცხადია, აქ ადგილი არ არის ავტორს შევედავოთ მის მიერ შემოთავაზებული მეთოდის „ყოვლისშემძლეობაში“, ან ზოგიერთი დასკვნის სისწორეში, რომელთა დიდი ნაწილი, როგორც თვითონაც აღნიშნავს, წინამორბედ მკვლევართ ეკუთვნის (პლ. იოსელიანი, პ. უვაროვა, ლემან-ჰაუპტი, შ. ამირანაშვილი, პ. ზაქარაია და სხვ.), მაგრამ მეთოდთან ერთად საჭიროა ახალი, კრიტიკულად დადგენილი მასალები. ასეთი მასალები უფლისციხის ისტორიის შესწავლის შემდგომი გაღრმავებისათვის 1954 წ. არ არსებობდა. ამ მხრივ, სწორედ არსებული ვითარების გამოხატულება იყო აკად. შ. ამირანაშვილის შენიშვნა, უფლისციხის შემდგომი მეცნიერული შესწავლის ფართო არქეოლოგიური გათხრების გზით წარმართვის აუცილებლობაზე.

<sup>37</sup> გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 134—136.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 134—136.

<sup>39</sup> დ. გვრიტიშვილი, გორის ისტორია, თბ., 1954, გვ. 10—12.

<sup>40</sup> იქვე, გვ. 12.

უფლისციხის შესახებ მოკლე ნარკვევი მოთავსებულია „დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის“ მე-2 გამოცემაშიც. აქ უფლისციხის უძველესი კლდეში ნაკვეთი ნაგებობანი ძვ. წ. I—ახ. წ. III საუკუნეებითაა დათარიღებული. ხოლო უახლოესი—XI საუკუნით. უძველეს ნაგებობათა ჯგუფში მითითებულია კესონურ-კამაროსანი ჭერის მქონე კომპლექსი, ხოლო მოგვიანოში—ე. წ. „თამარ დედოფლის მისაღები დარბაზი“ (ე. წ. ორსვეტიანი დარბაზი.—დ. ხ.). აღნიშნულია, რომ უფლისციხე ძველი საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული, პოლიტიკური და კულტურული ცენტრი იყო<sup>11</sup>.

ასეთია უფლისციხის შესწავლის მეორე პერიოდის ძირითადი შედეგები: ამ პერიოდისათვის დამახასიათებელია უფლისციხის შესწავლაზე მომუშავე მკვლევართა რიცხვის ზრდა, კვლევის სათანადო მეცნიერულ დონეზე აყვანა და ძეგლის შესწავლაში ახალი გზების ძიება. მეორე პერიოდში მომუშავე მკვლევართა ერთი ნაწილი კარვად გრძნობს იმ ჩიხს, რომელიც მასალების უქონლობის გამო შეიქმნა. ამ ჩიხის გამოსატულებაა, რომ მეორე პერიოდში, მიუხედავად მკვლევართა ერთი ნაწილის მაღალკვალიფიციური მომზადებისა, ძეგლის შესწავლა არც თუ საგრძნობლად წაწეულა წინ.

<sup>11</sup> БСЭ, მე-2 გამოცემა, ტ. 44, გვ. 255.



უფლისციხისა და მისი მიდამოების წინაანტიკური  
ხანის ძეგლები

1. უძველესი სამოსახლო ყათნალიხვის ბორცვზე

1957 წლის ივნისში, უფლისციხის მიდამოების ისტორიულ-არქეოლოგიური დაზვერვების დროს, კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარის დასავლეთით მდებარე ერთ-ერთ ხევში, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა ყათნალიხვის ეძახის, დადასტურდა ძველი სამოსახლო, რომელიც წინაანტიკური ხანის ძეგლი აღმოჩნდა<sup>1</sup>.

სამოსახლო განლაგებული იყო განმხოლოებულ ორკუზიან ბორცვზე (ტაბ. II), რომელიც მტკვრის მარცხენა სანაპიროს შედარებით სწორი რელიეფის მქონე ვიწრო ზოლს გადმოსცქერის.

ბორცვის გარშემო მდებარეობს ურწყავი, მცენარეულ საფარს თითქმის მოკლებული მიწები, რომელთა ერთი ნაწილი სახნავ-სათესად და სათიბად არის გამოყენებული. ღრმა მოხუცთა ცნობით აქ წინათ ვენახებიც ყოფილა გაშენებული.

უფლისციხის ისტორიის ადრეული პერიოდის შესწავლისათვის ყათნალიხვის გორა-სამოსახლოს არქეოლოგიურ გათხრებს, როგორც მსგავსი ძეგლების (ხოვლე, ცხინვალის ნაცარგორა და ა. შ.) შესწავლამ გვიჩვენა, მეტად ზაყურადღებო, პირველხარისხოვანი მასალა უნდა მოეცა.

გორა-სამოსახლოს არქეოლოგიურმა გათხრებმა (1958—1962 წწ.)<sup>2</sup> დაგვიდასტურა, რომ ძეგლი ძლიერ დაზიანებული სახითაა გადარჩენილი, რაც აიხსნება როგორც რელიეფისა და ბუნებრივი პირობების თავისებურებებით (დაქანებული რელიეფი, მცენარეული საფარის უქონლობა, ძლიერი ქარები და ა. შ.), ისე ძეგლის ხასიათით (ძელური ნაგებობანი, ძირითადი კულტურული ფენის ნაცროვანი შედგენილობა და ა. შ.).

გამოირკვა, რომ ბორცვი, რომელზეც დაცულია სამოსახლოს ნაშთები მეზობელი მასივისაგან გამოყოფილი ყოფილა ღრმა თხრილით (ტაბ. III,<sub>1</sub>), რომლის სიგანე 8 მეტრს შეადგენს. იგი გარს არტყია მთელ სამოსახლოს და ე. წ.

<sup>1</sup> დაზვერვაში ავტორთან ერთად მონაწილეობდა ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი გ. ცქიტიშვილი.

<sup>2</sup> გორა-სამოსახლოს შესწავლაში მონაწილეობდნენ: თ. ქარუმიძე (1958—1962 წწ.), გ. აბრამიშვილი (1958—1961 წწ.), ნ. ჯინჭარაძე (1958—1959 წწ.), კ. ვაჩიშვილი (1959 წ.), ე. თოდუა (1959 წ.), გ. სოხაშვილი (1960 წ.), ირ. ჯანდიერი (1960 წ.), ვ. გადილია (1962 წ.), მ. ურუშაძე (1959 წ.).





„სასიმაგრო თხრილების“ ხასიათი აქვს. ასეთი თხრილები, როგორც ცნობილია, ზოვლეგორაზე და ნაცარგორაზე იქნა დადასტურებული. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა ზოვლეგორას მონაცემები, სადაც სხვადასხვა პერიოდის სამოსახლოს დამცველი ორი თხრილი იქნა გამოვლენილი. მსგავსი ელემენტი, ასევე, დამახასიათებელია წინაანტიკური და ანტიკური ხანის კოლხური სამოსახლოებისათვის (ნაოხვამუ, ოჩამჩირე, ბათუმის (თამარის) ციხე, დრილების „მეტროპოლისი“ და სხვ.).

ბორცვის ფერდობების არქეოლოგიურმა გათხრებმა გვიჩვენა, რომ კულტურული ფენები გადარჩენილა ბორცვის მთავარი ზურგის თხემზე, ჩრდილოდასავლეთ, ჩრდილო, ჩრდილო-აღმოსავლეთ და ნაწილობრივ აღმოსავლეთ ფერდობზე, აგრეთვე, მცირე ზურგის თხემზე და აღმოსავლეთ ფერდობზე. ბორცვის დახარჩენ ტერიტორიაზე თხემის ერთი ნაწილის ჩათვლით კულტურული ფენები მთლიანად დარეცხილია. კიდევ მეტი, აქ მიწის საფარი კლდოვან მასივის გამოსავლამდეა აწმენდილი.

ფენებზე გარეგანი ფაქტორების ინტენსიური ზემოქმედების კვალი შეიძინევა გორა-ხამოსახლარის მთელ ფართობზე: თუ ქარისაგან დაცულ მონაკვეთზე კულტურული ფენების სიღრმე რამდენიმე მეტრს აღწევს (მაგ., დამცველი თხრილი ბორცვის ჩრდ.-დას. მხარეზე), დაუცველ უბნებზე კულტურული ფენა, თუ კი გადარჩენილა, გაშიშვლებულია ნაცროვან შრემდე და კორდოვან-სტერილური საფარი აღარ გააჩნია (ბორცვის თხემის სიგრძივი ღერძის NO მხარე).


სამოსახლოს ფართო არქეოლოგიური გათხრის მოსამზადებლად გაკეთდა სამი სადაზვერვო თხრილი, ამათგან, I თხრილი—მთავარი ზურგის NW ფერდობზე (24×3 მეტრი), II თხრილი—მთავარი ზურგის SO ფერდობზე (8×3 მეტრი). ხოლო III თხრილი—მთავარი ზურგის NO ფერდობზე (8×3 მეტრი) (იხ. ტაბ. III).

II თხრილში ხელუხლებელი კულტურული ფენა არ დადასტურდა, ხოლო III თხრილში ფენას გადაცლილი ჰქონდა სტერილური თიხების საფარველი და ძეღური ნაგებობის შელესილობის დეტალები მიწის ზედაპირზე იყო ამოზიდული. II და III თხრილებში გამოვლენილი მთელი მასალა (კერამიკა, ცხოველთა ძვლები, ქვები) მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების კვალს ატარებდა. განსხვავებული სურათი დადასტურდა I თხრილში, სადაც კულტურული ფენები დაცული იყო ფერდობის ქვედა ნაწილში, ხოლო თხემის დასაწყისიდან ფერდობის შუამდე ფენები მთლიანადაა დარეცხილი (ტაბ. III, 1).

I თხრილის კულტურული ფენები, ძირითადად, დამცველ თხრილშია წარმოდგენილი (ტაბ. III, 1). გათხრის პროცესში გამოყოფილი იქნა 4 პირობითი შრე, რომლებიც არ იყო თანაბარი სიღრმისა და პორიზონტალური გავრცელებითაც არ ემთხვეოდნენ ერთმანეთს. ზედა სამ შრეში გვხვდებოდა კერამიკული ფრაგმენტების დიდი რაოდენობა, რომელიც შეიცავდა ძეღურადი გამოწვის ნიმუშებს, აგრეთვე, ძეღური ნაგებობის თიხის შელესილობის გამომწვარ დეტალებს. მითითებული შრეების თიხის ნაწარმი იმეორებს ბორცვის თხემის კერამიკას. ხოლო ქვედა შრის მასალა, რომელიც დამცველი თხრილის იატაკზე იქნა მოპოვებული, ზედა სამი შრის მასალისაგან რიგი ნიშნებით განსხვავდება: ა) ქვედა შრეში აღარ გვხვდება მეორადი გამოწვის თიხის ჭურჭელი და ძეღური ნაგებობის შელესილობათა გამომწვარი დეტალები; ბ) კერამიკა ატარებს უფრო არქაულ იერს და მასალასაც საერთოდ უფრო საყოფაღმადგენელი ხასიათი აქვს.

2. დ. ხახუტაიშვილი

15379



აშკარაა, რომ ქვედა შრე (I ფენა) წარმოქმნილია ბორცვზე ადამიანის ცხოვრების ხანაში, თანდათანობით და შრე ვ ე ბ ი ს გზით (ფენის სიღრმე 70 სმ., მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 265—335 სმ.), ხოლო ზედა სამი შრე (II ფენა)—სამოსახლოს ხანძარში დაღუპვის შემდეგ, თანდათანობით დარეცხვის გზით. იმის გამო, რომ ბორცვს არ გააჩნია მცენარეული საფარი, ზედაპირის დარეცხვა დღესაც გრძელდება. ამის გამოა, რომ სასიმაგრო თხრილიც კი, რომლის სიღრმე 2,5—3 მეტრს აღწევს, კარგად შემოინახა მხოლოდ იმ ადგილებში, სადაც ფენების დაშრევეებისათვის ხელსაყრელი პირობები არსებობდა.

ყათხალიხევის ბორცვზე ნაგებობათა ძირითადი და მნიშვნელოვანი ნაწილი განლაგებული იყო მთავარი ზურგის თხემზე, რაც რელიეფის თავისებურებით იყო გაპირობებული.

ბორცვის მთავარი ზურგის თხემის გათხრებისას (ფართობი 500 კვ მეტრზე მეტი— $36 \times 16$  მეტრი) დადასტურდა, რომ კულტურული ფენები დაცულია თხემის სიგრძივი ღერძის აღმოსავლეთით, ხოლო ამ ხაზის დასავლეთით ნახანძარი ლაქების ცალკეული ფრაგმენტებია გადარჩენილი. გამოირკვა, რომ სამოსახლო ძლიერი ხანძრის შედეგად დაღუპულა, რაც ძველი ნამოსახლარების არქეოლოგიაში არც თუ იშვიათი მოვლენაა (ზოვლეგორა IV, V, VI, ნაცარგორა III და ა. შ.).

ბორცვის თხემზე აღმოჩნდა მხოლოდ ის ფენა, რომელიც ცხოვრების უკანასკნელ პერიოდს ეკუთვნოდა. სამწუხაროდ, I ფენა, რომელიც I სადაზვერვო თხრილში გამოვლინდა, აქ აღარ გადარჩენილა. როგორც ჩანს, I ფენის კუთვნილი ნაგებობები და ფენა, II ფენის ნაგებობათა აშენების დროს ყოფილა აწმენდილი. ჩანს, რომ მოსახლეობა მოქმედ ნაგებობებსა და გარშემო ტერიტორიას ყურადღებით უვლიდა. როგორც ქვემოთ ვნახავთ, მას საამისო გვერდაშქცველი მიზეზებიც გააჩნდა.

გორა-სამოსახლოს დაღუპვის დროისათვის ბორცვის მთავარი ზურგის თხემზე არსებული ერთმანეთის გვერდით განლაგებული ოთხი ძელური ნაგებობა. ფაქტიურად ეს ერთი კომპლექსი იყო, რომელიც ოთხი ძირითადი ნაგებობისაგან შედგებოდა.

შემჩხეულია, რომ ნაგებობათა ხანძარში დაღუპვის შემდეგ, მოსახლეობას დროდადრო მოუნახულებია გორა და შესაწირავებიც მოუტანია. ამაზე მიუთითებს ძვლისა და თიხის ზოგიერთი ნივთი, რომლებიც II ფენის ზედა შრეში აღმოჩნდა და არ ემჩნეოდა ხანძრის შემოქმედების კვალი. ასეთი ნივთები იმდენად მცირეა, რომ საფუძველს არ გვაძლევს ძეგლის დაღუპვის შემდეგ აქ მოსახლეობის მასობრივი მსვლელობა დავუშვათ.

ნ ა გ ე ბ ა I. ბორცვის მთავარი ზურგის თხემზე, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს ნაგებობა I, რომელიც თიხით შელესილი ძელური სათავსო ყოფილა. ნაგებობის გეგმის სრულად აღდგენა, სამწუხაროდ, არ ხერხდება. მთელი ფართობი, რომლის დიდი ნაწილი ხის სვეტთა ჩასამაგრებელი ორმოებით იფარგლება, თიხის შელესილობის გამომწვარი დეტალების გროვებს ეკავა. სვეტების 15 ცალი ბუდიდან ორი ცალი განლაგებულია NW ნაწილში და კარების სვეტებს უნდა ეკუთვნოდეს. სვეტებს შორის, ნაგებობის თიხის იატაკზე. ამოკვეთილია რომელიღაც ცხოველის (ძაღლის?) სილუეტური გამოსახულება (ტაბ. VI, 2; VII, 1). თუ დავუშვებდით, რომ კარებში ასეთი გამოსახულების არსებობა ნაგებობაში შემსვლელის „განწმენდის“ რიტუალთან იყო დაკავშირებული (გაიხსენეთ მოგვიანო პარალელები), მაშინ I ნაგებობა აღნიშ-



ნული კომპლექსის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ნაწილად უნდა წარმოგვედგინა<sup>3</sup>.

ნაგებობის აღმოსავლეთ ნაწილში გამოვლენილი იქნა ორი, საკმაოდ დრმა ორმო (I ორმო—d—125 სმ., II—85 სმ., II ორმო—d—130 სმ., II—70 სმ.), რომლებიც ერთმანეთს 95 სმ-თაა დაშორებული (ტაბ. VII, 1). ისინი ამოვსებული იყო ნაცრითა და ნახშირით, რომელშიც არეული იყო კერამიკის ნატეხები, დამწვარი ძვლები, ძელური ნაგებობის თიხის შელესილობის გამომწვარი დეტალები და ა. შ.

I ნაგებობის იატაკზე აღმოჩნდა: ძელური ნაგებობის თიხის შელესილობის გამომწვარი დეტალების დიდი რაოდენობა, მოზერის თავის თიხის მოდელის ნატეხი (ტაბ. IX, 2), თიხის ჭურჭლები და ჭურჭლის ნატეხები, თიხის ჭურჭლის ნატეხებიდან დამზადებული დისკოები (ტაბ. XVI, 3), ცხოველის დაზიანებული ფიგურა (ტაბ. XIII, 2), თიხის კოვზი (ტაბ. XIV, 7), ურმის თვლის თიხის მოდული (ტაბ. XIII, 9), სალესი ქვები, ქვასანაყები (ტაბ. XVII, 1, 2), რიყის გახვრეტილი ქვები (ტაბ. XVI, 10), დისკოს ფორმის რიყის ქვები, ქვის ფალები (ტაბ. XVI, 7—9) და ა. შ.

I ნაგებობის იატაკზე აღმოჩენილ ინვენტარში თავისი უნიკალობით გამოირჩევა თიხის დაზიანებული ჰორელიეფი, რომელიც სათავსოს დას. კედლის მახლობლად აღმოჩნდა გამომწვარი ბათქაშების გროვაში. ჰორელიეფი წარმოადგენს ადამიანის თავის გამოსახულებას, რომელსაც ობსიდიანით ინკრუსტირებული თვალები აქვს (ტაბ. X). რელიეფიდან გადარჩენილია მხოლოდ ზედა ნაწილი. იგი, როგორც ჩანს, ნაგებობის თიხით შელესილ კედელზე იყო მიძერწილი, რაზედაც ზურგის მხარის დაუმუშავებლობა უნდა მიუთითებდეს. ასეთი რამ ძველდამოსავლურ ხელოვნებაში აღრეული ხანიდანაა ცნობილი: აშურის გათხრებისას, მაგალითად, აღმოჩნდა ჯემდეთ-ნასრას პერიოდის (ძვ. წ. IV ათასწლეულის მიწურული—III ათასწლეულის დამდეგი) ტაძარი, რომლის ერთ-ერთ კედელზე მიძერწილია ქალღმერთ იშტარის თიხისაგან დამზადებული მონახატული გამოსახულება. ქალღმერთის ტანი რელიეფითაა გადმოცემული, ხოლო თავი კეფამოკვეთილ სკულპტურას წარმოადგენს<sup>4</sup>.

I ნაგებობაში აღმოჩენილ რელიეფზე გამოსახულება მოცემულია en face. ისტატს აუღია სასურველი ფორმისა და სისქის თიხის გუნდა და გამოუძერწავს მისთვის საინტერესო სახე. გამოსახულება ყურადღებას იქცევს ფორმისა და, საერთოდ, შესრულების ხელოვნების სიმარტივით. ეს გარემოება გასაგები გახდება თუ დავუშვებთ, რომ რელიეფი ღვთაების, კერძოდ ქალღმერთის გამოსახულებას წარმოადგენს, ე. ი. იგი საწესო სახვითი ხელოვნების ძეგლია. ესთეტიკურ მხარეზე ნაკლები ყურადღება, როგორც ეს ვ. ბარდაველიძემ დაადგინა. საწესო სახვით ხელოვნებაში, მათ შორის გრაფიკულშიც კი, უკანასკნელ დრომდე შემორჩა საქართველოს იმ კუთხეებში, სადაც წინაქრისტიანული ხანის რელიგიათა ატრიბუტები საკმაოდ ძლიერი გადმონაშთების სახით შემოინახა<sup>5</sup>. თუ ჩვენ გადავხედავთ სახვითი ხელოვნების სინქრონულ ქართულ ძეგლებს და შე-

<sup>3</sup> Strabo, XI, 4, 7. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 134—135. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, I, თბ., 1928, გვ. 50 და შმდ.

<sup>4</sup> Н. Д. Флиттнер, Культура и искусство Двуречья, М.-Л., 1958, гв. 87.

<sup>5</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования и обрядовое графическое искусство грузинских племен, Тб., 1957, гв. 129.

ვადარებთ ჩვენ რელიეფს, ვნახავთ, რომ იგი, როგორც ხელოვნების ნაწარმოები, არ ასახავს ქართული ხელოვნების განვითარების დონეს მოცემულ ხანაში. ცნობილია, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია ხელოვნების არაერთი ბრწყინვალე ნაწარმოები, რომლებიც ჩვენი რელიეფის თანადროული, ან უფრო ძველია. ეს გარემოებაც, ჩვენი აზრით, იმის საბუთად უნდა მივიჩნიოთ, რომ უფლისციხის რელიეფი წარმოადგენს არა „საერო“, არამედ საწესო სახვითი ხელოვნების ძეგლს.

რელიეფზე ქალღმერთის თმა გადმოცემულია თიხის შესქელებული შრით, რომელიც ღრმა ღარით ორ თანაბარ ნაწილადაა გაყოფილი. გაყოფილი თმავარცხნილობის გადმოცემის ამგვარი ხერხი ძველადმოსავლურ ხელოვნებაში აღრეული ხანიდანაა ცნობილი. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს 1938 წ. ვარკაში (ურუჯი) აღმოჩენილი ქალღმერთის სკულპტურული გამოსახულება. ქალღმერთს თმა ღრმა ღარითა აქვს გაყოფილი, ხოლო კეფა მთელ სიბრტყეზე აქვს ჩამოკვეთილი, როგორც ეს სინქრონული ხანის (ჯემდეთ-ნასრას პერიოდი) აშურში აღმოჩენილ ქალღმერთ იშტარის რელიეფზე იყო დადასტურებული. ასეთივე ხასიათისაა ტელ-აგრაბში აღმოჩენილი ქალღმერთების ორი სკულპტურული გამოსახულება, რომლებიც იმავე პერიოდს მიეკუთვნება<sup>6</sup>. ყურადსაღები გარემოებაა, რომ ვარცხნილობის გადმოცემის ასეთი ხერხი უძველეს ხელოვნებაში მხოლოდ ქალღმერთთა გამოსახულებებზეა დადასტურებული. **შუბლი** გადმოცემულია ღრმა ღარით, რომელიც თანდათანობით გადადის იმ სიბრტყეში, რომელზეც სახეა ამოზიდული (შუბლის გადმომცემი ღარის სიგანე — 2,5 სმ., სიღრმე — 1,3 სმ. რელიეფის მაქსიმალური სიღრმე საერთოდ — 2,5 სმ.). გამოსახულებას, ცხვირი მოტეხილი აქვს. მაგრამ ვადარჩენილი ნაწილის მიხედვით, სახის საერთო ფონზე, იგი საკმაოდ სიმეტრული უნდა ყოფილიყო. წარბები გადმოცემულია მცირე ქედით, რომელიც თანდათანობით სახის ჰორიზონტალურ სიბრტყეში გადადის. ღრმადჩამჭდარი, ობსიდიანის ანატაკეციებით ინკრუსტირებული თვალეები და ორად გაყოფილი ენერგიული ნიკაპი ღვთაების სახეს მკაცრ გამომეტყველებას აძლევს. სახე დაფარული ყოფილა სუფთად დამუშავებული ანგობის თხელი შრით.

ყურადღებას იქცევს თვალეების ობსიდიანით ინკრუსტირება. ობსიდიანის სარიტუალო დანიშნულებით გამოყენება დიდი ხანია, რაც შენიშნეს. ამ მხრივ საინტერესოა, ე. წ. „სარკმლიანი ურნები“, რომელთაც ობსიდიანით ინკრუსტირებული ხახვრეტები აქვთ. ასეთი ჭურჭლები, უპირატესად, სამარხებშია გამოვლენილი (თრიალეთი, დაბლაგომი, მცხეთა, ფლავისმანი, დმანისი და ა. შ.)<sup>7</sup>. შემთხვევითი არ არის, რომ საქართველოს ზოგიერთ კუთხეში ობსიდიანს „ცის ნატეხს“ ეძახიან<sup>8</sup>. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნული იყო, რომ ქართულ წერილობით წყაროებში დატულია ცნობები თვალე-ინკრუსტირებული წარმართული კერპების არსებობაზე<sup>9</sup>; წმ. ნინოს ცხოვრების ქელიშურ ვარიანტში. მაგალითად, ვკითხულობთ: „...და ვიხილე დგა კაცი ერთი სპილენძისა და ტან-

<sup>6</sup> Н. Д. Флиттнер, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 86—87.

რელიეფის ზომებია (აღდგენით): სიმაღლე—22,4 სმ., სიგანე: ა) ნიკაპის ხაზზე—17 სმ., ბ) შუბლთან—16,5 სმ., გ) თმების ტეხილთან—20 სმ. საერთო სისქე—6—10 სმ.

<sup>7</sup> გ. ნიორაძე, დმანისის ნეკროპოლი და მისი ზოგიერთი თავისებურება, საქ. სახ. მეზეუმის მოამბე, XIV—B, 1947, გვ. 51—53.

<sup>8</sup> იქვე, გვ. 25.

<sup>9</sup> შ. ამირანაშვილი, ქართული ხელოვნების ისტორია, გვ. 55 და შმდ.



სა ეცუა ჯაჭუა ოქროსა და თავსა მისსა ედგა ჩაფხუტი ოქროსა და სამ-  
კარნი ოქროსნივე და თვალნი ვეცხლისა და ბივრიტა“<sup>10</sup>.

კერპები ინკრუსტირებული თვალეებით ვალახიაში დუნაის კულტურის  
„ვიდრა I“ ფაზის ძეგლებში (ძვ. წ. II ათასწლეულის პირველი ნახევარი)<sup>11</sup>,  
ხოლო ამაზე ადრე შუმერის საწესო სახვით ხელოვნებაშია დადასტურებული.

დადასტურდა ქართული წერილობითი წყაროების კიდევ ერთი ცნობა  
წინაქრისტიანული ხანის ქართლში ინკრუსტირებულ თვალეებიანი კერპების  
არსებობის შესახებ. მაშასადამე, I ნაგებობაში გამოვლენილი რელიეფი საყუ-  
რადღებო ძეგლია არა მარტო ძველი ქართული სახვითი ხელოვნებისა და რე-  
ლიგიის ისტორიის შესწავლისათვის, არამედ მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს  
ძველი ქართული წერილობითი წყაროების კრიტიკისათვის.

I ნაგებობაში აღმოჩენილი რელიეფი, როგორც აღნიშნული იყო, ქართული  
საწესო სახვითი ხელოვნების ერთი უძველესი და ჯერ-ჯერობით უნიკალური  
ძეგლია. მისი რაობის გასარკვევად ჩვენ გვშველის როგორც ყათნალიხევის ბორ-  
ცვზე აღმოჩენილი მასალები, ისე ქართული ფოლკლორი და ეთნოგრაფიული  
მონაცემები.

ძველი ქართული წარმართული პანთეონი, როგორც შესაბამისი მასალების  
შესწავლამ ცხადყო, უფროს—უმცროსობის პრინციპზე იყო აგებული. ღმერთი  
(„მორიგე ღმერთი“), შემორჩენილი თქმულებების მიხედვით, მამად ითვლებო-  
და, ხოლო თემებისა და ტომების ღვთაებანი—შვილებად („ღვთის შვილები“).  
როგორც ვ. ვ. ბარდაველიძემ დაადგინა, მსგავსივე ნათესაური კავშირი, მაგრამ  
უკვე დედის ხაზით, იგულისხმება დიდი დედა ნანას (მზექალი, ბარბაღე) და  
მისი მრავალრიცხოვანი ამალის („დობილები“) ურთიერთ დამოკიდებულე-  
ბაში<sup>12</sup>.

საქართველოს მთიელების რელიგიურ ტექსტებში მიწა „სამზეოდ“, ე. ი. მზის  
ანუ ქალღმერთ ნანას (ბარბაღე, მზექალი) სამფლობელოდაა წარმოდგენილი.  
რიგითი ღვთაებანი გარეგნულად ქალღმერთ ნანასა გვანდნენ და მის „დობილე-  
ბად“ იწოდებოდნენ.

რელიგიურ ტექსტებში დიდი დედა ნანა ნაყოფიერების ღვთაებადაა წარ-  
მოდგენილი და მჭიდროდაა დაკავშირებული მიწის მცენარეულ საფართან და  
ტენიანობასთან. ამავე დროს, იგი გამოღვიძებული ბუნებისა და სიყვარულის  
ღვთაებაცაა, დაკავშირებული სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხესთან. საყუ-  
რადღებო გარემოებაა, რომ ქართული აკვნის საგალობელს („იავ-ნანა“) ამავე  
ღვთაების სამყაროში შევყავართ<sup>13</sup>.

როგორც მასალების შესწავლამ ცხადყო, არამარტო ქალღმერთის გამო-  
სახულება, არამედ I სათავსოში და საერთოდ ბორცვზე აღმოჩენილი II ფენის

<sup>10</sup> Е. Такайшвили. Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения,“ II. Тифл., 1906—1912, გვ. 751—755.

<sup>11</sup> Г. Чайлд, У истоков европейской цивилизации, М., 1952, გვ. 185, სურ. 64.

<sup>12</sup> В. В. Бардавелидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 106 და შმდ. ვ. ბარდაველიძე, ქართველი  
ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხურთაგანი, მას-  
სალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, X, თბ., 1959, გვ. 157—168.

<sup>13</sup> В. В. Бардавелидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 105—112, 247, 248 და შმდ., ვ. ბარდა-  
ველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ),  
თბ., 1941.

მასალები საწესო ხასიათისაა. მთელი მასალა მზის კულტის საკმაოდ განვითარებულ საფეხურს წარმოგვიდგენს და საშუალებას გვაძლევს დავუკვირდეთ ამ კულტის მატერიალურ გამოვლინებებს, ატრიბუტებს, ფუნქციათა კონცენტრაციას, ხასიათსა და ა. შ.

I ნაგებობის საწესო დანიშნულებაზე მიუთითებს, აგრეთვე, აქ აღმოჩენილი თიხის მცირე ფიგურა (ტაბ. XIII, 2, XVIII, 10), რომელიც, როგორც ჩანს, ხარის მცირე ქანდაკების ნაწილი უნდა იყოს<sup>14</sup>. ფიგურა დამზადებულია მსხვილ ქვიშამინარევ თიხისაგან, რომელსაც მეორადი გამოწვის შედეგად ღია მოწითალო ფერი მიუღია. თედოს არეში ფიგურას გაკეთებული აქვს ჰორიზონტალური გამჭოლი ნახვრეტი, ხოლო კუდი მოკლე შვერილით აქვს გადმოცემული. ზურგზე გაკეთებული აქვს ოთხი ცალი ფოსო, რომელთა სწორხაზოვანი შეერთება კვადრატს გვაძლევს. ფოსოები, როგორც ჩანს, რაღაც საგნის ჩასამაგრებლად ყოფილა გაკეთებული.

აღნიშნული ფიგურის დანიშნულების გასარკვევად შეიძლებოდა მოგვეტანა ტელ-ბილაში აღმოჩენილი საბეჭდავი (ჯემდეთ-ნასრას პერიოდი), რომელზეც გადმოცემულია საინტერესო საწესო კომპოზიცია. კომპოზიციიდან ყურადღებას იქცევს ხარის ფიგურა. რომელსაც ზურგზე საკურთხეველის მოდელი აქვს დანაგრებული<sup>15</sup>. ყურადსაღები გარემოებაა, რომ ურარტელთა პანთეონში უზენაესი ღვთაება ხალდის კულტი ლომთანაა დაკავშირებული, ხოლო მეორე წარმოდგენელის თიიშებას (თეშუბი) კულტში ხარს უკავია განსაკუთრიბული ადგილი<sup>16</sup>. სახელმწიფო ერმიტაჟში დაცულია (პ. ს. უვაროვის კოლექცია) თოფრახ-კალეში აღმოჩენილი სამეფო სავარძლის (ტახტის) დეტალი (ბრინჯაო), რომელიც მწოლარი ხარის ზურგზე მდგარი თეშუბის ფიგურას წარმოადგენს<sup>17</sup>. ასევე, 1952 წ. კარმირ-ბლურზე (თეიშიბაინი) აღმოჩენილ ოთხწახნაგა საბეჭდავის ერთ-ერთ წახნაგზე მოცემულია ხარის ზურგზე მდგარი თეშუბის გამოსახულება<sup>18</sup>. ასეთივე გამოსახულებაა მოცემული კარმირ-ბლურზე აღმოჩენილ ბრინჯაოს სარტყელზე და ერთ-ერთ რელიეფზე ადილჯევანიდან<sup>19</sup>. თვით ხარის კულტი, როგორც ცნობილია, დადასტურებულია ძველი დროის მიწათმოქმედი ხალხების ყოფაში და მისი გამოსახულების მრავალი ვარიანტია შემონახული.

I ნაგებობის საწესო დანიშნულებაზე უნდა მიუთითებდეს, აგრეთვე, ფალის გამოსახულებანი (ტაბ. XVI, 7—9) და მოსავლიანობა-ნაყოფიერება-გამრავლებასთან დაკავშირებული, აშკარად შესაწირავი საგნები (კევრის გაცვეთილი კოხები, დამტვრეული ხელსაფქვავეები, სალესი ქვები, ობსიდიანის ანატაკეცები, ურმის თვლის თიხის მოდელი და ა. შ.). აქედანვე უნდა იყოს I თხრილის ზედა ფენაში აღმოჩენილი თიხის საბეჭდავი, რომელზეც თავისებური სვასტიკაა გამოსახული (ტაბ. XIII, 7). საბეჭდავი აღმოჩენილია ბორცვის თხემიდან დარეცხილ ფენაში, ხოლო I თხრილში გამოვლენილი ფენები ბორცვის თხემის მხო-

<sup>14</sup> ფიგურის ვადარჩენილი ნაწილის სიგრძე—10 სმ (აქედან კუდის სიგრძე—2,5 სმ.), სივანე: თედოსთან—4,5 სმ., წელთან—3,5 სმ., სიმაღლე—4,5 სმ.

<sup>15</sup> Н. Д. Флиттнер, დასახ. ნაშრ., გვ. 81. Гордон Чайлд, Древнейший Восток в свете новых раскопок, М., 1959, გვ. 199, ტაბ. XX с.

<sup>16</sup> Б. Б. Пиотровский, Ванское царство (Урарту), М., 1959, გვ. 227.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 170—171, სურ. 33.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 227.

<sup>19</sup> იქვე, გვ. 225, სურ. 69.



ლოდ I სათავსოს შეიძლება ეკუთვნოდეს. შესაწირავი საგნების ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე I თხრილის II ფენაშივე აღმოჩენილი ცხვრის ქანდაკება (თიხა), რომელსაც თავი მოტეხილი აქვს (ტაბ. XV, 4). ცხინვალის ნაცარგორას II ფენაში (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) აღმოჩენილ ცხოველის ფიგურებს გ. გობეჯიშვილი „შესაწირავი საგნების“ ჯგუფში აერთიანებს და ფიქრობს, რომ ამით აიხსნება მათი ფორმის ულაზათობა და ზედაპირის უგულისყურო დამუშავება<sup>20</sup>. ასეთი რამ, როგორც მითითებული იყო, დამახასიათებელია მთელი ძველქართული (წინაქრისტიანული ხანის) საწესო ხელოვნებისათვის. უნდა აღინიშნოს, რომ თუ აქამდე ამის შესახებ მსჯელობა მხოლოდ ეთნოგრაფიული ფაქტების საფუძველზე შეგვეძლო, ახლა აღმოჩნდა საკმაოდ საყურადღებო არქეოლოგიური მასალა, რომელიც ძირითადად ადასტურებს ქართველი ეთნოგრაფების შეხედულებათა სისწორეს ქართველ ტომთა უძველეს სარწმუნოებაზე და საწესო სახვით ხელოვნებაზე (ხოვლეს, ნაცარგორის, უფლისციხის, გუდაბერტყას, ურბნისის მასალები).

ამგვარად, ყველა ნიშნის მიხედვით, I სათავსო საწესო ნაგებობაა, რომელიც დიდი დედა ნანას (მზექალი, ბარბაღე) სამლოცველო უნდა იყოს. როგორც ქვემოთ ვნახავთ, I სათავსოსთანაა დაკავშირებული სხვა სათავსოები და ნაგებობანი.

ნ ა გ ე ბ ო ბ ა II. ნაგებობა I-ს აღმოსავლეთიდან ეკვრის ნაგებობა II (იხ. გეგმა. ტაბ. VII, 1). ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილი ყოფილან თიხით შელესილი ძელური კედლით. II ნაგებობაც ძელურია და მისი გეგმა, I ნაგებობისაგან განსხვავებით, უკეთესადაა დაცული. ყოველ შემთხვევაში, გადარჩენილია სამი კედლის (NW, SO, SW) კვალი. ჩრდილო-აღმოსავლეთი მხრიდან იგი ღია ყოფილა. ძელური კედლების სვეტების ნაკვალევია 18 ცალი წრიული გეგმის მქონე ორმო. სვეტების დაშორება არაა ერთნაირი და მერყეობს 20 და 30 სმ შორის. სვეტების დიამეტრი 15—20 სმ ყოფილა, რაზედაც მიუთითებს როგორც ორმოების ზომები, ისე თიხის შელესობათა დეტალებზე დადასტურებული ანაბეჭდები.

II ნაგებობის ფართობი შეადგენდა 15 კვ მეტრს (NW და SO კედლების სიგრძე—3,5 მ, SW კედლისა—4,2 მ).

ნაგებობაში და მის გარშემო აღმოჩნდა ძელური ნაგებობის თიხის შელესილობის გამომწვარი დეტალების დიდი რაოდენობა, რომელთა შორის თავდაპირველ უძრავ მდგომარეობაში დაგვხვდა NW კედლის ჰორიზონტალური ძელების ორი ქვედა რიგის შელესილობა. ნაგებობა ამოვსებული იყო ძლიერ დამწვარი თიხით, ნაცრითა და ნახშირით. ნაცარი საწვავის სრული წვის პროდუქტი ჩანს. აშკარაა, რომ ძელური ნაგებობის ხის კონსტრუქციაში არ იქნებოდა საწვავის ასეთი რაოდენობა (ხანძრის შედეგად თიხის იატაკიც კი 15—20 სმ-ის სიღრმეზე ვარდისფრად იყო შეფერადებული).

ნაგებობის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, თიხის იატაკში, გამოვლინდა 45 ცალი მინიატურული ორმო, რომელიც ღია მოყვითალო ფერის დამწვარი მასით

<sup>20</sup> გ. გობეჯიშვილი, სტალინირის ნაცარგორა, ისტორიის ინსტიტუტის „მიმომხილველი“, II, 1951, გვ. 248—249, ტაბ. V, 1.

ასეთი ფორმის სვასტიკაა გამოსახული თლის სამაროვანის № 76 სამარხში აღმოჩენილ კოლხურ ცულზე, რომელიც ძვ. წ. VIII—VII სს-ით თარიღდება (Б. В. Техов, Раскопки тлийского могильника, СА, 1963, № 1, გვ. 168, სურ. 36).

იყო ამოვსებული, ხოლო პირი თიხის ხსნარით ჰქონდათ გადალესილი. NW კედლის შუა ნაწილიდან ოთახის ცენტრისაკენ მიემართება იატაკში ამოკვეთილი თავისებური ფორმის სადინარი, რომლის სიგრძე 1,5, ხოლო სიღრმე 0,08 მეტრს შეადგენს. სადინარის სიგანე დასაწყისთან (სათავსოს NW კედელთან) 40 სმ-ია, ხოლო დასასრულს—20 სმ (იხ. გეგმა).

II სათავსოში აღმოჩენილი ინვენტარი შეიცავს: თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტებიდან დამზადებულ, რამდენიმე ათეულ ცალ დისკოს (ტაბ. XVI, 11), რომლებიც, ძირითადად, თავმოყრილი იყო სათავსოს NO კუთხესთან, თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტების დიდ რაოდენობას. ურმის თვლინ თიხის მოდელს, კევრის გაცვეთილ კოხებს, ლულოვანი ძვლისაგან დამზადებულ, შუაში ნახვრეტის მქონე ნივთს, რომელიც სალამური უნდა იყოს, სალეს ქვებს, დისკოს ფორმის რიყის ქვებს და ა. შ. ინვენტარიდან, პირველ რიგში, ყურადღებას იმსახურებს თიხის ჭურჭელთა ნატეხებიდან დამზადებული დისკოს ფორმის საგნები. ისინი მცირე ოდენობით სხვა ნაგებობებშიც იყო აღმოჩენილი, მაგრამ ძირითადი მასა მაინც აქ იყო თავმოყრილი. ასეთი საგნები არაერთგანაა აღმოჩენილი. საქართველოს ტერიტორიაზე ისინი გვხვდება შუა საუკუნეების მასალებშიც კი და, როგორც ჩანს, გადმონაშთის სახით გვიანობამდეც შემოინახა თავი. ობსიდიანისაგან დამზადებული მსგავსი დისკოები აღმოჩენილია თრიალეთის (წალკის) შუაბრინჯაოს ხანის ზოგიერთ ყორღანში (კორუხრტაში, თოფქარ I). ბ. კუფტინს სათანადო პარალელური მასალის საფუძველზე მითითებული აქვს, რომ მთის ბროლისაგან დამზადებული კრეტული დისკოების (ძვ. წ. 1600 წლის ახლო ხანა) მსგავსად ობსიდიანისაგან დამზადებული თრიალეთური დისკოებიც ხის საგნების საინკრუსტაციოდ იყო გამოყენებული. დას. მცირე აზიიდან მსგავსი დისკოები ტროა II-დან არის ცნობილი, სადაც ერთ-ერთ კომპლექსში 40 ცალზე მეტი ასეთი საგანი იყო აღმოჩენილი<sup>21</sup>. უფლისციხის შიდა ქალაქში თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტებიდან დამზადებული მსგავსი საგნები გვიანი შუა საუკუნეების ფენაში იქნა დადასტურებული. მათ კუთვნილებას შუა საუკუნეებისადმი უდავოდ ხდის ის გარემოებაც, რომ დისკოები განვითარებული შუა საუკუნეების თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტებისაგანაა დამზადებული.

დისკოს ფორმის საგნების დანიშნულების გარკვევა, როგორც ჩვენ გვეჩვენება, არ თხოულობს შორეული პარალელების ძიებას. პირიქით, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ასეთმა ექსკურსებმა შესაძლებელია სწორ გზასაც აგვაცდინოს. ვ. ბარდაველიძეს მითითებული აქვს, რომ „საზოგადოდ რგოლისებური საგნების „სიწმინდის“ რწმენა ჩვენში უძველესი ხანიდან უნდა მომდინარეობდეს“<sup>22</sup>. მას დადასტურებული აქვს, რომ სვანეთში, ფარის თემში, სოფ. ფარის პირდაპირ მდებარე ერთ-ერთ გორაკზე, არსებობს მზის ღვთაება ბარბალეს სალოცავი, სადაც, წინათ, ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, ხატის ნაგებობა მდგარა. სალოცავის ტერიტორიის ერთ-ერთ კუთხეში დისკოს ფორმის გახვრეტილი ნივთების დიდი რაოდენობა ყოფილა თავმოყრილი, რო-

<sup>21</sup> Б. А. К у ф т и н, Археологические раскопки 1947 года в Цалкинском районе, Тб., 1949, გვ. 17—18.

<sup>22</sup> ვ. ბ ა რ დ ა ვ ე ლ ი ძ ე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარბარ-ბაბარ), გვ. 19—20.



მელთაგან ზოგიერთს კვირისტავის ფორმა ჰქონია (ფიქალი, კირქვა, რკინა). გამოირკვა, რომ როცა სვანის ოჯახში უშობელი ხბოს მოიგებდა, მწველავი ქალი კვირისტავს მოძებნიდა, ან მსგავს საგანს ფიქალისა თუ კირქვისაგან გამოთლიდა, ძროხას ჯიქანს ქვეშ შეუშევრდა და ცალი ხელით ისე ჩამოწველიდა, რომ რძის ჰავლს დისკოს ნახვრეტში გაეველო. ამის შემდეგ, კვირისტავსა და საგანგებოდ გამოცხობილ ყველისგულიან კვერს ბარბალეს სალოცავში წაიღებდა და შესწირავდა; თანაც, სათანადო მავედრებელ ლოცვას წარმოთქვამდა<sup>23</sup>. „ყველგან ქართველ ტომებში,—აღნიშნავს ვ. ბარდაველიძე,—ბარბალე წარმოდგენილია როგორც ნაყოფიერებისა და გამრავლების ღვთაება. ამასთანავე, მთიან მოსახლეობაში — სვანებსა, ლეჩხუმელებსა. თუშ-ფშავ-ხევსურებსა, მონგვეებსა და მთიულეებში—ბარბალეს უმთავრესად მესაქონლეობის და ნაწილობრივ (სვანებში, ლეჩხუმელებში) მიწისმოქმედების ღვთაებად მიიჩნევენ. ბალს ქვემოთ სვანებს და აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებს ის განსაკუთრებით მდებრობითი სქესის საქონლისა, ქალების და საერთოდ მდებრობითი სქესის არსებათა ნაყოფიერებისა და გამრავლების ღმერთად წარმოუდგენიათ...“<sup>24</sup>. თვით ფარელი მწველავი, კვირისტავისა და კვერის შეწირვისას წარმოთქმულ ლოცვაში წველის ბარაქას, ძროხის სისალეს და გამრავლებას ეკედრებოდა ქალღმერთს<sup>25</sup>.

ამავე დროს, დისკოს ფორმის საგანი, როგორც დადგენილია, ასტრალურ ღვთაებათა (მზის, მთვარის) ერთ-ერთ სიმბოლოსაც წარმოადგენდა<sup>26</sup>. აქედან გამომდინარე საფუძველი გვაქვს დავუშვათ, რომ II ნაგებობაც საწესო კომპლექსის ნაწილია და დისკოსებური საგნებით ისევ დიდი დედა ნანას (მზექალი, ბარბარე) კულტთან კავშირს აშუღავნებს. სათავსოს საწესო ხასიათზე, გარდა ამისა, უნდა მიუთითებდეს დამწვარი მასით შევსებული, თიხით თავგადაღესილი მინიატურული ორმოები, რომლებიც, როგორც ჩანს, ხორბლის შესანახი ხარობების იმიტაციას წარმოადგენდა. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ქართულ საწესო გრაფიკულ ხელოვნებას ხორბლისა და ფქვილის შესანახი კიდობნის გამოსახულება გვიანობამდე შერჩა<sup>27</sup>.

ამ მონაცემების შუქზე საწესო-რიტუალური საგნების ჯგუფში ერთიანდება II სათავსოში აღმოჩენილი დანარჩენი ინვენტარიც: კვერის კოხები, თიხის მინიატურული ჭურჭლები, ურმის თვლის თიხის მოდელი, სალესი ქვები, დისკოს ფორმის რიყის ქვები, ძვლის სასტვენნი და მრავალი სხვა. შესაწირავი საგნების ერთ ნაწილს პრაქტიკული დანიშნულება, როგორც ჩანს, იმთავითვე არ ჰქონია, ხოლო მეორე ნაწილი ხმარებიდან გამოსული საგნებია (კვერის კოხები, კაყის ნამგლისპირები, დამტვრეული ხელსაფქვავეები, სალესი ქვები და ა. შ.).

ნ ა გ ე ბ ო ბ ა III. იგი სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ეკვრის II ნაგებობას. შენობისათვის თარაზული ბაქანის შესაქმნელად მშენებლებს აუღიათ რელიეფის შემალღებული ნაწილი. ამის გამო III ნაგებობის იატაკი II ნაგებობის იატაკთან შედარებით 40 სმ-ით დაბლა მდებარეობს. ნაგებობის მიწის ქვეშა

<sup>23</sup> ვ. ბარდაველიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 19—20.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 42—43.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 20.

<sup>26</sup> იქვე, გვ. 65.

<sup>27</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования . . . გვ. 126.

ნაწილი მოპირკეთებულია ცერზე მდგარი ნაგლეჯი ქვის ფილების ერთი რიგით (ტაბ. VIII, 1).

ნაგებობის ფართობი 16 კვ მ-ს შეადგენს და გეგმაში კვადრატს იძლევა (4×4 მეტრი). შიგა სივრცე და მიმდებარე ზოლი მოფენილი იყო ძელური ნაგებობის თიხის შელესილობის გამომწვარი დეტალებით, რაც იმაზე მიგვიჩივებდა, რომ ნაგებობის მიწისზედა ნაწილი ძელური ყოფილა. სვეტების ბუდეები მხოლოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ კედელში იყო გადარჩენილი. კედლის მიწისზედა და მიწისქვეშა ნაწილებს ყოფდა რიყის ქვის ერთრიგაანი ფენილი, რომლის ნაკვალევი სამივე კედელშია (NO კედელი ნაგებობას არ ქონია) გადარჩენილი.

სათავსოს სამხრეთ კუთხეში აღმოჩნდა „ხოვლური ტიპის“ ღუმელის ნანგრევი (ტაბ. V, 1). ღუმელის მშენებლობაში გამოყენებულია თიხა, თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტების დიდი რაოდენობა და ფლეთილი ქვა. ოთახის იატაკისა და ღუმელის იატაკის დონეებს შორის სხვაობა შეადგენდა 30 სმ-ს. ღუმელის იატაკი შეიცავდა 3 შრეს, რომელთაგან თითოეული ნაგებია თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტებით და თიხის ხსნარით. მეორადი გამოწვის კვალი ემჩნეოდა მხოლოდ ზედა შრის კერამიკას, რაც უფრო იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ქვედა შრეებამდე აღარ უწევდა მეორადი გამოწვისათვის საკმარი ტემპერატურა. აქედან მხოლოდ იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ღუმელის იატაკში დადასტურებული შრეები იატაკის შეკეთებათა ნაკვალევი კი არაა, არამედ ნაგებობის კონსტრუქციული თავისებურებაა. ამისივე საბუთი უნდა იყოს ისიც, რომ ქვედა შრეებში ნაცარი სრულებით არ ყოფილა შენიშნული.

ღუმელი გაყოფილია ორ ძირითად ნაწილად. მარცხენა, უფრო დიდი ნაწილი წარმოდგენილია საცხობითა და საჭმლის მოსამზადებელი განყოფილებით. ხოლო მარჯვენა—საცეცხლურით, რომლის წინ იატაკში ამოკვეთილი სანაცრე დადასტურდა. ღუმელის გადახურვა თაღური ყოფილა, რომლის კამარის გადასვლა ღუმელის იატაკიდანვე იწყებოდა. ღუმელის სიგანე (SO—NW) 120 სმ-ია, ხოლო სიგრძე (NO—SW)—85 სმ. პირველი განყოფილების სიგანე 80 სმ-ს შეადგენდა, ხოლო საცეცხლურისა—35 სმ-ს (+ 5 სმ. ტიხარის სისქე). თაღის სისქე, რომელიც ხის ჩონჩხზე თიხით ყოფილა ნაგები, შეადგენდა 4—5 სმ-ს.

III ნაგებობაში გამოვლენილი ღუმელი, როგორც აღვნიშნეთ, მიეკუთვნება ხოვლური ღუმელის ტიპს და დეტალებშიც კი მას იმეორებს. ხოვლეს ნამოსახლარზე ამ ტიპის ღუმელი (ტაბ. XI) გვხვდება ძვ. წ. II ათასეულის მეორე ნახევრიდან (VIII ფენა), ვიდრე ძვ. წ. IV საუკუნემდე (I ფენა)<sup>28</sup>. გამოიკვია, რომ ამ ტიპის ღუმელი იდგმებოდა როგორც საცხობრებელ სახლში (ნამოსახლარები), ისე საწესო ნაგებობაში (ხოვლეგორას თხემის საწესო სათავსოები). ამავე ტიპისა უნდა იყოს ნაცარგორას II ფენის მსგავსი ნაგებობების ერთი ჯგუფი, რომელსაც გ. გობეჯიშვილი „ოთხკუთხა საკურთხევლებს“ უწოდებს და ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრით ათარიღებს<sup>29</sup>. ჩვენ გვგონია, რომ ნაცარგორის აღნიშნული ნაგებობები, დამოუკიდებლად იმისა დაკავშირებული არიან თუ არა საწესო რიტუალთან, მაინც ღუმელებია და არა საკურთხევლები.

<sup>28</sup> დ. მუხსელიშვილი, გ. ცქიტიშვილი, დ. ხახუტაიშვილი, ხოვლეს არქეოლოგიური გათხრების შედეგები.

<sup>29</sup> გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 246, ტაბ. IV.



III ნაგებობის სამხრეთ-დასავლეთ კედელთან, ღუმელის ჩრდილო-დასავლეთ მხარეზე აღმოჩნდა ძლიერ დაზიანებული საკურთხეველი (ტაბ. IV, 1), რომელსაც, როგორც ჩანს, სავარძლის ფორმა ჰქონია<sup>30</sup>. გადარჩენილია იატაკი (60×70 სმ) და კედლის (სავარძლის ზურგის?) ნაწილი. საკურთხევლის გადარჩენილი ნაწილის საერთო სიმაღლე 40 სმ-ს შეადგენს, ხოლო საკურთხევლისა და ნაგებობის იატაკს შორის სხვაობა სიმაღლეში—15 სმ-ს. საკურთხევლის ძირითადი (ქვედა) ნაწილი თიხითაა ნაგები, ხოლო სავარძლის ზურგის ფორმის შვერილს წნელის ჩონჩხი ჰქონია. წნელების ჩონჩხზე გაცემებული თიხის შელესილობის დეტალები კომპაქტურად ელაგა საკურთხევლის იატაკზე. საკურთხევლის ზურგსა და ნაგებობის კედელს შორის იდო თიხის დიდი, ლეგაფერის გაპრიანებული ჯამი (ტაბ. XIV, 3), ხოლო საკურთხევლის მახლობლად (NW მხარეზე) თიხის იატაკში ჩადგმული იყო შავპირილია მინიატურული ჭურჭელი (ტაბ. XII, 3), რომელსაც დისკოს ფორმის რიყის ქვის ორი სარქველი ჰქონდა. ჭურჭელი სავსე იყო ნახშირნარევი ნაცრით. ვაზას იმდენად მცირე ზომა აქვს (h—5 სმ, პირის d—6 სმ., მუცლის d—7 სმ., ძირის d—3 სმ.), რომ სავსეა მას „საერო“, პრაქტიკული დანიშნულება ჰქონოდა. იგი, მდებარეობის მიხედვითაც, საწესორიტუალური საგნების ჯგუფთან ჩანს დაკავშირებული.

საკურთხეველს უკავშირდება და მის ხასიათს გვიხსნის აგრეთვე საკურთხევლის ნანგრევებში ნაპოვნი მოზვირის თავის მოდელები (ტაბ. IX, 1, XIII, 10), რომელთაგან უკეთ დაცულ ნიმუშს მოტეხილი აქვს მარცხენა რქა. ისინი დამზადებულია ბზემინარევი მსხვილი სტრუქტურის თიხისაგან და მურა ფერი გადაჰკრავს. საკურთხეველზე დასამაგრებლად გააჩნიათ ორი ნახვრეტი სოლებისათვის. კარგად შეიმჩნევა შუბლის ქედის გადასვლა. რქები მოკლე და ოდნავ გაბრტყელებული კონუსის ფორმისაა. უნდა ვიფიქროთ, რომ მოდელები იდგა საკურთხევლის ზურგის შემადგენლობაზე, თუმცა ნაგებობის დაზიანების გამო, არ შეგვიძლია მათი ზუსტი ადგილსამყოფელი მივუთითოთ.

დაახლოებით ასეთივე ფორმისაა ხოვლეგორაზე აღმოჩენილი ზოგიერთი საკურთხეველი. განსაკუთრებით კი ე. წ. „ვერძისთავებიანი“ ოთახის საკურთხეველი (V ფენა), რომელიც ძვ. წ. XII—X სს-ით დათარიღდება.

მოზვირის თავის მოდელით შემკული საკურთხევლები, თუ ცალკეული „შესაწირავი რქები“ არაერთგანაა აღმოჩენილი. იგი, უპირატესად, ძველი მიწათმოქმედი ხალხების ნივთიერი კულტურის საწესო ძეგლებშია დადასტურებული: გემაზე ვაფიოდან (მატერიკული საბერძნეთი) მოცემულია მოზვირის რქებით შემკული, მაღალ ფეხზე მდგარი, დისკოს ფორმის საკურთხეველი. რქებს შორის გამოსახული სიცოცხლის ხით<sup>31</sup>. მსგავსი მოდელი აღმოჩენილია აგრეთვე, ალიშარის III ფენაში, რომელიც ძვ. წ. III—II ათასწლეულების მიჯნით თარიღდება<sup>32</sup>. მოზვირის რქების მოდელითაა შემკული გვიან მინოსური

<sup>30</sup> ასეთივე ფორმისაა ცხინვალის ნაცარგორაზე „სამლოცველო სენაკ № 5-ში“ გამოვლენილი ერთ-ერთი საკურთხეველი, რომელიც ასევე მოზვირის (კუროს) რქების სქემატური გამოსახულებით იყო შემკული, იხ. გ. გობეჯიშვილის დასახ. ნაშრ., გვ. 255—256.

<sup>31</sup> Evans. A. L. Mycenaean tree and pillar cult and its mediteranean relations. The journal of Hellenic Studies, წიგნი XX, 1901, გვ. 100—101, სურ. 1.

<sup>32</sup> Schmidt Erich F. Anatolia though the ages. Discoveries at the Alischar Mound, 1927—1929, Chicago, 1931, გვ. 104—106, სურ. 152.

ხანის (ძვ. წ. XVI—XIII სს.) ქალღმერთის სამლოცველო კნოსში (კ. კრეტა)<sup>33</sup>. III სათავსოში აღმოჩენილ მოდელთან განსაკუთრებით სიახლოვეს ამჟღავნებს რქიანი საკურთხევლის გამოსახულება ეგვიპტიდან, სადაც „რქიანი სამსხვერპლოს“ წინ ხარის სილუეტური გამოსახულებაა მოცემული<sup>34</sup>. ასეთივე რქებითაა შემკული ცილინდრული ფორმის თიხის დაფანჯრული ნივთის ზედა ნაწილი გურნიადან (კრეტა<sup>35</sup>), აგრეთვე, სვეტებისა და „შესაწირავი რქებისაგან“ შედგენილი საკურთხევლის ფრაგმენტი მიკენიდან<sup>36</sup>. ასეთივე მოდელით შემკული საკურთხეველი აღმოჩენილი იყო ტროაშიც<sup>37</sup>.

საქართველოში მოზვრის თავის მოდელები ჯერჯერობით ორი პუნქტიდან იყო ცნობილი: ხოვლედან და ნაცარგორიდან. ხოვლეში ასეთი მოდელის მხოლოდ ერთი ფრაგმენტია გამოვლენილი და ისიც უძველეს ფენაში (ნივთის საველე № 310), რომელიც ძვ. წ. XIV—XIII სს-ით თარიღდება. იგი იმეორებს ყათნალიხევეში აღმოჩენილ მოდელს როგორც ფორმითა და ზომით, ისე თიხის სტრუქტურით, ფერით და დამზადების ტექნიკით. ცხინვალის ნაცარგორაზე აღმოჩენილი იყო როგორც მოზვრის (ბუღას), ისე ხარის გამოსახულებები. „სამლოცველო სენაკ № 5-ში“, რომელიც ქრონოლოგიურად ნაცარგორის III ფენის ძეგლებს მიეკუთვნება, ერთ-ერთი საკურთხევლის იატაკი შემკული ყოფილა მოზვრის თავის თიხის მოდელით, ხოლო კედელი—ხარის თავის რელიეფური გამოსახულებით<sup>38</sup>.

როგორც ვნახეთ, III ნაგებობაში აღმოჩენილი მოდელების მსგავსი ძეგლები მრავალგანაა აღმოჩენილი და მკვლევართა მიერ ისინი, სავსებით დასაბუთებულად, ხარის კულტანაა დაკავშირებული. როგორც მოპოვებული ძეგლების გაცნობამ გვიჩვენა, რქებისა და თავის მოდელები ორ ჯგუფში ერთიანდება, რომელთაგან ერთში მოზვრის თავის, ხოლო მეორეში ხარის თავის გამოსახულებანია წარმოდგენილი. ადრეული პერიოდის ეს მოვლენა ტრადიციულად მოგვიანო ხანის მცირე ხელოვნების ძეგლებშიც ჩანს ასახული (სოხტისა და როკის ზოგიერთ სამარხში აღმოჩენილი ბრინჯაოს საკინძები და ა. შ.)<sup>39</sup>.

თუ ყურადღებით ჩავუკვირდებით უკვე დაგროვილ მასალას (არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული), ვნახავთ, რომ გამოსახულებათა ფორმების სხვაობაში შინაარსობრივი მხარის სხვაობაა წარმოდგენილი. ეს განსაკუთრებით ცხადი გახდა ყათნალიხევის მასალების შუქზე, როცა სამლოცველოს ერთ-ერთ სათავსოში მოზვრის თავის მოდელებით, ხოლო მეორეში ხარის თავის მოდელებით შემკული საკურთხეველი დადასტურდა (იხ. ქვემოთ). ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ამ ორი სინქრონული, ერთ კომპლექსში მდგარი გამოსახულებების შემქმნელს იმ ხანის რელიგიური წარმოდგენების ორი, განსხვავებული მოვლენა უცდია აესახა. ამ ფაქტის სხვაგვარი ახსნა შეუძლებელიცაა. ეს რომ ასეა, კარგად

<sup>33</sup> Evans Artur, The palace of Minos at Knossos, II, 1, 1928, გვ. 335—6, სურ. 187—190.

<sup>34</sup> Holl H. R., The civilization of Greece in the brounze age, London, 1928, გვ. 25—26, სურ. 18.

<sup>35</sup> Evans Artur, დასახ. ნაშრ., გვ. 134; სურ. 70 bis.

<sup>36</sup> Evans Artur, დასახ. ნაშრ., ტ. III. 1930, გვ. 92—95, სურ. 51.

<sup>37</sup> Schlimann. H. Ilios, Paris. 1885, გვ. 33, სურ. 6.

<sup>38</sup> გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, გვ. 254—257.

<sup>39</sup> Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, გვ. 22—25, ტაბ. I, 2, 10.



დასტურდება ქართული ეთნოგრაფიული მასალების შუქზე, რაც, თავის მხრივ, ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული შესაბამისი მოვლენების ძირძველობის უტყუარი საბუთიცაა.

სვანები, როგორც დადგინდა, უზენაეს ღვთაება ხოშა ღერმეთს უკანასკნელ ხანამდე სწირავდნენ თავისებური ფორმის პურს, რომლის ქამა მხოლოდ მამაკაცებს შეეძლოთ. ამ პურის ერთი სახეობა იწოდებოდა „ჯუარ“ და წარმოდგენდა სამქიმიან ფიგურას, რომლის ქიმებს კონუსის ფორმა ჰქონდათ. მსგავსი სარიტუალო პური ხევსურებთან ბოჭოლა-ბოჩოლად (ე. ი. მოზვრად) იწოდებოდა<sup>40</sup>. სვანებში ოჯახის მფარველი და ბარაქის მომნიჭებელი ძალა, სხვა ცხოველებისა და ფრინველების გვერდით, ხბოს სახითაც ყავდათ წარმოდგენილი<sup>41</sup>, ხოლო დიდი ღმერთის (სვან. „ფუასნაბუასდია“) სახელზე შეწირული ძროხის (სვან. „მუსხჷ“) მოზვრებს დიდი ღმერთის სახელზე შეწირულ ხარებად ბულებად) ზრდიდნენ (სვან. „ჷისხჷ). „უისხჷ“ სვანის ოჯახში იმდენად დიდი პატივისცემით სარგებლობდა, რომ სადაც კი ასეთი შეწირული მოზვერი ყავდათ, საახალწლო მეკვლედ გამოყავდათ<sup>42</sup>. დიდი ღმერთისადმი შეწირულ მოზვერს სვანები არ კოდავდნენ და არც უღელში უბამდნენ. იგი სრული თავისუფლებით სარგებლობდა და ცუდი სიტყვებით მისი მოხსენიება, გალანძვა, ცემა, დამუქრებაც კი აკრძალული იყო. „უისხჷ“ სვანებში სამსხვერპლო ცხოველად ითვლებოდა და მას მზის ღვთაების დღესასწაულზე კლავდნენ<sup>43</sup>.

ცხადია, მოზვრის თავის თიხის მოდელით შემკული საკურთხეველი საერთოდ ხარის კულტის სფეროში შემავალ ძეგლად უნდა წარმოვიდგინოთ, მაგრამ მის ისეთ გამოვლინებად, როცა „ხარი-მხვნელის“ კულტის გვერდით სწამდათ მოზვრის (მწარმოებლის) ძალა და რიტუალშიც სათანადო ადგილს უჩენდნენ მას. სვანების წარმოდგენით, მზის ღვთაებისადმი შეწირული მოზვრების (ბულების) ყოლაზე იყო დამოკიდებული პირუტყვის გამრავლება, წველალობის ზრდა და მეურნეობის წარმატება<sup>44</sup>. როგორც ვ. ბარდაველიძემ დადგინა, წარმართულ დღესასწაულში „ბოსლობა“, რომელიც მესაქონლეობის ღვთაების ბოსელას საპატივცემლოდ იმართება, რიტუალ „მოკოტრების“ სახით შემონახულია უაღრესად არქაული ელემენტი, რომელსაც სადღესასწაულო რიტუალში ცენტრალური ადგილი უჭირავს. გამოირკვა, რომ ღვთაება ბოსელას თავდაპირველი სახე წარმოდგენილი იყო ბულა-მწარმოებლის სახით, ხოლო ხარის კულტის დანარჩენი ატრიბუტები შემუშავებული ჩანს ქართულ წარმართული პანთეონის განვითარების შედარებით მოგვიანო საფეხურზე, კერძოდ, მიწათმოქმედების დაწინაურებულ სტადიაზე<sup>45</sup>. ხარის კულტში „ხარი—მხვნელის“ ატრიბუტი, როგორც ჩანს, მოხვნითი მიწათმოქმედების საფეხურზე ჩანს დაშრევებული.

ასე უნდა გავიგოთ, ჩვენი აზრით, III ნაგებობაში დადასტურებული მოზვრის თავის მოდელეებით შემკული საკურთხეველის ხასიათი. რითაც, აგრეთვე

<sup>40</sup> В. В. Бардавелидзе, Главное божество древнегрузинского пантеона. Гметн. Сб. „Вопросы этнографии Кавказа.“ Тб., 1952, გვ. 315—318.

<sup>41</sup> ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ დღეობათა კალენდარი, ახალი წლის ციკლი, თბ., 1939, გვ. 162, 164.

<sup>42</sup> იქვე, გვ. 94—95.

<sup>43</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования . . . გვ. 198—200.

<sup>45</sup> იქვე, გვ. 177—192, 257.

გარკვეული ნივთიერი საფუძველი ეძებნება ქართულ ეთნოგრაფიულ ყოფაში დატული რიგი მოვლენების ქრონოლოგიას.

ზემოაღნიშნული მონაცემების შუქზე სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს III ნაგებობაში, საკურთხეველის მახლობლად გამოვლენილი ღუმელი. ასეთი ღუმელები, როგორც აღნიშნული გვქონდა, გვხვდება როგორც საცხოვრებელ სახლში, ისე საწესო ნაგებობაში. ისინი, როგორც ჩანს, პურის საცხოვრებელად გამოიყენებოდა. ქართული ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, საწესო რიტუალებში (მათ შორის ხარის კულტთან დაკავშირებულ რიტუალშიც) ფქვილისაგან დამზადებულ ნაწარმს (ნამცხვარს) მნიშვნელოვანი ადგილი მიეკუთვნება. ამისი ილუსტრაციაა შესაწირავ პურთა სახელებისა და ფორმების სიმრავლე („ბასილა“, „ბოჩოლა“, „აგუნას პური“, „ანგელოზის შოთი“, „აშალი“, „ბოკელა“ და ა. შ., „რგოლი“, „ბატონების ჯამი“, „ბატონების კალათა“, „ბატონების ცხენი“, „მერცხალი“, „გუგული“, „თხა“, „ცხვარი“, „ხარი“, „კავ-გუთანი“, „თოხი“, „ცხრილი“, „გობი“, „გუთანში შებმული ხარები“, „უღელი“, „მოზვერი“, „ძროხები“ და ა. შ.). ასევე მრავალგვარია შესაწირავი პურების დანიშნულებაც<sup>46</sup>. როგორც ირკვევა, შესაწირავი პურების გარკვეული ჯგუფით სამლოცველოში არსებულ ღუმელში მზადდებოდა. როგორც გ. ჩაილდი მიუთითებს, შუმერული სახლისათვის დამახასიათებელია გუმბათის ფორმის პურის საცხოვრებელი, ხოლო ტაძრებში დადასტურებულია ნამდვილი „სამზარეულო ქურები“, რომელთაც ზოგჯერ თიხის ჭურჭლის გამოსაწვავ ქურად მიიჩნევდნენ<sup>47</sup>.

ყათნალიხევის ბორცვზე გამოვლენილი ღუმელიანი საწესო სათავსო ქართულ სინამდვილეში გამონაკლისს არ წარმოადგენს. როგორც აღნიშნული გვქონდა, ხოვლეგორის მასალები ამ მხრივაც უფრო მრავალფეროვანი და მრავლისმეტყველია. ვიღებთ რა აზრს პურის (ნამცხვარის) საწესო შეწირვის რიტუალის არქაულობაზე, არ შეიძლება ყურადღება არ მივაქციოთ ძველი ნამოსახლარების გათხრებისას აღმოჩენილი საბეჭდავების დანიშნულების საკითხს. საქართველოს ტერიტორიაზე მათი აღმოჩენის ფაქტები მრავლდება, მაგრამ გამოყენების სფერო ჯერ-ჯერობით მთლად ნათელი არ არის. ცხადია, მოცემულ შემთხვევაში, ჩვენ ლაპარაკი გვაქვს ძირითადად იმ პერიოდის საბეჭდავებზე, როცა კერძო საკუთრების არსებობის დაშვება შეუძლებელია. ირკვევა, რომ თიხის (ქვის) საბეჭდავების ერთი ნაწილი, კლასობრივ საზოგადოებაშიც კი, დაკავშირებული იყო საწესო ნამცხვარის დამზადებასთან. ამაზე მიუთითებს სვანეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დადასტურებული ხის დამღები სპირალის გამოსახულებით, რომლებიც სპეციალურად შესაწირავი პურების დასატვიფრად გამოიყენებოდა<sup>48</sup>.

უფლისციხის შიდა ქალაქის ტერიტორიაზე (II უბანი) სპირალიანი თიხის საბეჭდავი გვიანი შუა საუკუნეების ფენაში აღმოჩნდა, ხოლო ასეთი საბეჭდავების პროტოტიპები ენეოლითური ხანის ფენებშია დადასტურებული. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ძირითად წარმართულ დღესასწაულებთან დაკავშირებული

<sup>46</sup> იქვე, გვ. 12, 14, 91—92, 192—193 და ა. შ.

<sup>47</sup> Гордон Чайлд, Древнейший Восток в свете новых раскопок, М., 1936, გვ. 254.

<sup>48</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования... გვ. 143



საწესო პურების გამოცხოვა სალოცავში (ხატში) არსებულ ღუმელებში წარმოებდა, ხოლო ნამცხვარზე სასურველი გამოსახულების გაკეთება, ე. წ. „საბეჭდავებით“ ხდებოდა. ყათნალიხევის სალოცავის გათხრებისას მოპოვებული იყო ორი საბეჭდავი, რომლებიც II ფენას მიეკუთვნებიან (ტაბ. XIII, 4, 6). საბეჭდავზე მოცემულია თავისებური ფორმის სვასტიკა. ვ. ბარდაველიძეს აღნიშნული აქვს, რომ „ჯვრის გამოსახულება წარმოადგენდა ქართველი ტომების საზოგადოებრივი განვითარების ადრეკლასობრივი საფეხურის პანთეონის ვარსკვლავებად განსახიერებულ ადგილობრივ ღვათებათა მეტამორფოზის ყველაზე ხშირ ფორმას“<sup>49</sup>.

ჯვარის გამოსახულებანი დადასტურებულია არა მარტო ადრეკლასობრივი, არამედ წინაკლასობრივი ხანის ძეგლებში (თრიალეთი<sup>50</sup>, ცხინვალის ნაცარგორა<sup>51</sup>, სოვლე და ა. შ.). იგი ადრიდანვე (ენეოლითი) იჩენს თავს მიწათმოქმედი ხალხების ნივთიერ კულტურაში<sup>52</sup> და სპეციალისტთა ზღიარებით, ხშირად, მზის ერთ-ერთ ძირითად სიმბოლოს წარმოადგენს.

უფლისციხეში (ყათნალიხევი) აღმოჩენილი წარმართული სალოცავი, როგორც აღვნიშნეთ, მზის კულტს უკავშირდება, ხოლო აქ გამოვლენილი საბეჭდავები, რომლებზეც სვასტიკაა გამოსახული, როგორც ჩანს, სალოცავის საქონებელი უნდა ყოფილიყო, რომლითაც შესაწირავ პურებსა და სხვა საგნებს „ბეჭდავდნენ“. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სარიტუალო პურების დაბეჭდვა ხატის ქურუმის საპატიო მოვალეობათაგანი იყო და სვასტიკიანი თიხის საბეჭდავიც მისი „ინსიგნიების“ აუცილებელ ელემენტს შეადგენდა.

უნდა დავუშვათ, რომ კერძო საკუთრების წარმოქმნის ხანაში, საკუთრებისა და გარიგებათა სიმტკიცის დასადასტურებლად გამოყენებული იქნა უკვე არსებული სარწმუნო, პოპულარული და გაუტეხლობის ნიშნით აღბეჭდილი ჩვევა — „დაბეჭდვა“, რაც, როგორც ჩანს, პირველ ხანებში მაინც, ხატის საბეჭდავით უნდა წარმოებულყო<sup>53</sup>. ჩვენი აზრით, კლასობრივი ხანის საერო საბეჭდავები გენეტიკურად წინაკლასობრივი ხანის წარმართულ სალოცავთა საბეჭდავებს უკავშირდებიან.

ამგვარად, III ნაგებობამ მოგვცა უაღრესად საყურადღებო მასალები, რომლებიც ისევ და ისევ დიდი დედა ნანას კულტს უკავშირდებიან. როგორც ჩანს, გამოვლენილი სამლოცველო კომპლექსის ცალკეულ სათავსოში წარმართული პანთეონის ამ მრავალსახოვანი ღვთაების ერთი ან რამდენიმე ატრიბუტი იყო განსახიერებული. III ნაგებობა, კი, როგორც ჩანს, ძირითადად, შინაური საქონლის გამრავლებისა და მასთან დაკავშირებული საწესო რიტუალის აღსასრულებლად იყო განკუთვნილი.

<sup>49</sup> В. В. Бардавелидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 171.

<sup>50</sup> Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Трიაleti, Тб., 1941, გვ. 85, ტაბ. LXXIV.

<sup>51</sup> გ. გ. ბ. ჯ. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., სტალინის ნაცარგორა, გვ. 256.

<sup>52</sup> И. Н. Хлопин, Изображение креста в древнеземледельческих культурах Южной Туркмении, КСИА, 91, 1962, გვ. 14—21, სურ. 2—4. В. М. Массон, Средняя Азия и Иран в III тысячелетии до н. э., КСИА, 93, 1963, გვ. 19—20, სურ. 7.

<sup>53</sup> ადგილზე დანიშნულების, მაგრამ განსხვავებული ფორმის თიხის საგნის ფრაგმენტი უნდა იყოს ხატის ბელის მახლობლად გამოვლენილ ნაგებობაში აღმოჩენილი ნივთი, საკიდი ყუნწით (ტაბ. XIII, 14).

ნ ა გ ე ბ ო ბ ა IV. ნაგებობა III-ეს სამხრეთ-აღმოსავლეთიდან ეკვრის ბორცვის მთავარი ზურვის თხემზე გამოვლენილი კომპლექსის უკანასკნელი, IV ნაგებობა (ტაბ. VIII, 1), რომელიც თავისი შინაარსით მნიშვნელოვნად განსხვავდება ხემაღწერილი სამი ნაგებობისაგან. ნაგებობა ძელური ყოფილა და კომპლექსთან ერთად ხანძარში დაღუპულა. სამხრეთ-აღმოსავლეთ და ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლების კვალი თითქმის აღარ გადარჩენილა. კულტურული ფენა, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით კერამიკულ ფრაგმენტებს თუ მთელ ჭურჭლებს, ძელური ნაგებობის თიხის შელესილობის დეტალებს, ნანგრევ ქვებს, ხელსაფქვავეების ნატეხებს, კევრის კოხებს, სალეს ქვებს, კაყის ნამგლისპირებს და ა. შ., ძირითადად, ხანძრის შედეგად წარმოქმნილი ნაცრით არის წარმოდგენილი.

IV სათავსოს SW კედელთან აღმოჩნდა წრიული ფორმის პატარა ნაგებობა, რომელიც, როგორც გამოირკვა, საკურთხეველს წარმოადგენდა (ტაბ. IV, 2; V, 2). გადარჩენილია ფლეთილი ქვის ფილებით მოგებული იატაკი ( $75 \times 75$  სმ.) და ხარის თავის თიხის მოდელის დეტალები (ტაბ. IX, 3, 4; XIII, 11), რომლებიც საკურთხევლის გადამხურ შრეშივე იქნა ამოჩრილი. მოდელს აქვს ღრმა ვერტიკალური ფოსოები სოლისათვის, რომლითაც იგი საკურთხევლის სიბრტყეზე მაგრდებოდა<sup>54</sup>. საკურთხევლის უკანა კიდეგან საკურთხევლის იატაკის დონიდან ოდნავ მაღლა, აღმოჩნდა დისკოს ფორმის რიყის ქვა (ტაბ. V, 2), რომელიც, როგორც III სათავსოში დადასტურებულ მაგალითზე ვიცოდით, თიხის ჭურჭლის ხუფი უნდა ყოფილიყო. მართლაც, ქვის ქვეშ აღმოჩნდა დახვეწილი ფორმის შავბრიალა მინიატურული ვაზა (ტაბ. XII, 2), რომელშიც დანახშირებული მარცვლები ეყარა. პროფ. მ. რამიშვილმა და დოც. ფ. ერისთავმა მარცვლებში ყურძნის წიბწები და ფშატის კურკები დაადასტურეს.

საკურთხევლიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით 60 სმ-ის დაშორებით დადასტურდა ფლეთილი ქვის ფილებისაგან შედგენილი დაბალი მაგიდა ( $70 \times 65$  სმ.). მაგიდის წინ, თიხის იატაკში, ამოკვეთილია სწორკუთხედის ფორმის ორმო ( $42 \times 30 \times 12$  სმ.), რომლის კიდეები თიხის ხსნარითაა შელესილი, ხოლო შიგა სივრცე ნაცრითაა ამოვსებული. მაგიდის წინ აღმოჩნდა ორი ცალი ხელით ნაძერწი მინიატურული ჭურჭელი, რომელთა ზედაპირი მაღალი ტემპერატურის ზემოქმედების შედეგად ჩანს შეცვლილი (ტაბ. XXVII, 5, 7)

საკურთხეველთან და მის გარშემო აღმოჩნდა კევრის კოხების დიდი რაოდენობა (ტაბ. XVI, 6), კაყის ნამგლისპირები (ტაბ. XVI, 5), კვირისტავეები (ტაბ. XVI, 2), თიხის საბეჭდავის ნატეხი (ტაბ. XIII, 4), ცხოველის (ცხენის) თიხის ფიგურის ნატეხი (ტაბ. XIII, 5, XVIII, 9), ხელსაფქვავეები, სალესი ქვები, სახეხი ქვები, სანაყები, თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტები და ა. შ.

IV ნაგებობაში ყურადღებას იქცევს საკურთხევლის გარშემო, თიხის იატაკზე ამოკვეთილი სხვადასხვა ზომის ხუთმეტამდე ორმო და ცხოველთა სილუეტური გამოსახულები (ტაბ. VI, 1), რომლებიც შესრულებულია არათანაბარი, ღრმა კვეთით და განლაგებულია უსისტემოდ. ისინი ამოვსებულია მოთეთრო ფერის დამწვარი მასით, რომელშიც აქა-იქ დამწვარი ძვლის ნამტვრევებიც ურევია. გამოსახულებებში შეიძლება გამოირჩეს როგორც შინაური, ისე გარე-

<sup>54</sup> რქების ზომებია: სიმაღლე—26 სმ, სიგანე ძირში—13 სმ, სისქე—7,5 სმ, სოლისათვის განკუთვნილი ფოსოს სიღრმე—9 სმ, დიამეტრი—2,5 სმ. მოდელები დამზადებული ყოფილა ზემინარევი, მსხვილი სტრუქტურის თიხისაგან.



ული ცხოველები (ხარ-ძროხა, თხა, ძაღლი, ირემი, შველი, ჯოჯო და ა. შ.) ორ-  
მოები, როგორც ჩანს, ხორბლის შესანახი ხარობის იმიტაციას წარმოადგენდა.

ხარის თავის თიხის მოდელებით (რქებით) შემკული საკურთხევლები ხარის  
კულტანაა დაკავშირებული. ისტორიული ქართლის ტერიტორიაზე ასეთი  
ძეგლები პირველად ხაცარგორაზე იქნა დადასტურებული<sup>55</sup>.

იმ დროს, როცა ნაცარგორისა და უფლისციხე-ყათნალიხევის სალოცავებ-  
ში ხარისა და მოზვრის თავის გამოსახულებებით შემკულ საკურთხევლებს ვა-  
დასტურებთ, ხოვლეს სინქრონულ ფენებში ვერძისა და ცხენის თავის თიხის  
მოდელებით შემკული საკურთხევლებია გავრცელებული. ამ ფაქტის ახსნა,  
როგორც ჩანს, ცალკეული რაიონების მეურნეობრივ თავისებურებებში უნდა  
ვეძიოთ. ხარის კულტი დამახასიათებელი ჩანს იმ რაიონებისათვის, სადაც მოხვ-  
ვნიით მიწათმოქმედება მეურნეობის წამყვანი დარგია. იმ რაიონებში კი, სადაც  
მეურნეობის წამყვანი დარგი მესაქონლეობაა (თუნდაც მოხვნიით მიწათმოქ-  
მედებაც იყოს იქ წარმოდგენილი) აგრარული კულტის გვერდით ცხვრისა და  
ცხენის კულტი ჩანს გავრცელებული. ცხადია, გარკვეული ეთნიკური კოლექტი-  
ვისათვის დამახასიათებელი პანთეონი, მეტნაკლებად ასახავდა რა საზოგადოე-  
ბრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებს, საუკუნეების მანძილზე ყალიბდებო-  
და და ვითარდებოდა; მაგრამ ძველი საზოგადოების მეურნეობრივი განვითა-  
რება, როგორც ჩანს, უფრო სწრაფად ხდებოდა, ვიდრე იდეოლოგიური (რელი-  
გიური) წარმოდგენების განვითარება. მაგალითად, ხოვლეში დადასტურებული  
ცხვრისა და ცხენის კულტი, რამდენადაც არსებული მასალების შუქზე შეიძ-  
ლება შენიშვნა, არ წარმოადგენდა აქაური მოსახლეობის სამეურნეო საქმიანო-  
ბის წამყვანი დარგის (სოფლის მეურნეობა) ასახვას, თუმცა მის გვერდით გარ-  
კვევით ჩანს აგრარულ კულტთა ელემენტებიც (კეცრის კოხების, კაყის ნამგლის-  
პირების, ხელსაფქვავეების შეწირვა და ა. შ.). ზოგიერთი მონაცემების საფუძ-  
ველზე შეიძლება გვეფიქრა, რომ ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარში  
ხოვლეგორაზე დასახლებულა ქვემო ქართლის მთიანეთიდან ჩამოწეული თემი,  
რომლის მეურნეობაში წამყვან დარგად მესაქონლეობა ყოფილა წარმოდგენი-  
ლი. ახალ გარემოცვაში თემის მეურნეობას შესაბამისი ცვლილება განუცდია—  
ნა, ძირითადად, სამიწათმოქმედო პროფილი მიუღია. მაგრამ ძველი, მთიდან  
ჩამოტანილი, მესაქონლე თემისათვის დამახასიათებელი კულტები ტრადიციუ-  
ლად შეუნარჩუნებია. ამ მოსაზრების სათანადო სისრულით დასაბუთება, ცხა-  
დია, დამატებითი მასალების მოპოვებასთანაა დაკავშირებული. მაგრამ მისი  
უარყოფაც, ასევე, საკმაო სიძნელეებს წააწყდებოდა.

ხარის კულტს განსაკუთრებით ძლიერი განვითარება მიუღია წინა აზიისა  
და აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყნებში. ძვ. წ. II ათასწლეულის  
პირველი ნახევრიდან იგი განსაკუთრებით რელიეფურად ჩანს წარმოდგენილი  
კრეტა-მიკენის ნივთიერ კულტურაში. ე. წ. „შესაწირავი რქები“ დადასტურე-  
ბულია როგორც ნაგებობების, ისე საკურთხევლების, სარიტუალო საგნებისა  
და თიხის ტურქლების შემკულობად. ასეთი საკურთხევლები წარმოდგენილია,  
აგრეთვე, კედლის მხატვრობაში და საბეჭდავებზე<sup>56</sup>.

<sup>55</sup> გ. გ. ბ. ე. შ. ვ. ი. ლ. ი., დასახ. ნაშრ., გვ. 252 და შმდ.

<sup>56</sup> Artur Evans, The palace of Minos at Knossos, II, 1, 1928, გვ. 134, სურ. 70 bis, გვ. 146—148, 158, სურ. 75, 76, გვ. 160, სურ. 81, გვ. 184, სურ. 100, გვ. 335—336, სურ. 189—190, II, 2, 1928, გვ. 523—524, სურ. 326, გვ. 607, სურ. 381 a, გვ. 710, სურ.

ხარის კულტის შესახებ არსებულ მასალებში სპეციალურ ყურადღებას იმსახურებს ჰეროდოტესთან დაცული ერთი ცნობა (Herod. VII, 76), რომელიც ხელნაწერის დაზიანების გამო არასრულადაა მოღწეული. ამის გამო, მთლად ნათელი არ არის, თუ რომელი ტომის შეიარაღების აღწერილობაა მოცემული მასში. ჯერ მიშჩენკომ, ხოლო შემდეგ თ. ყაუხჩიშვილმა ეს აღწერილობა ხალინებს მიაკუთვნეს. „(ხალინებს) პატარა ფარები ჰქონდათ გამოუქნელი ხარის ტყავისა; თითოეულს ჰქონდა ორი შუბი ლიკიური ხელობისა, ხოლო თავებზე სპილენძის მუზარადები ეხურათ. მუზარადებზე იყო ხარის ყურები და რქები სპილენძისაგან ნაკეთები, აქვე იყო ბიბილოც. მუხლები ძოწეულის ნაქრებით ჰქონდათ შემოხვეული. ამ ხალხს აქვს არესის სამისნო“<sup>57</sup>. ქართველ ტომებში ხარის კულტის გავრცელებაზე კიდევ არაერთი, ადრეული თუ მოგვიანო, ფაქტის მითითება შეიძლებოდა (კოლხური თეთრი, ბრინჯაოს ბალთები, არქ. ლამბერტის ცნობა და ა. შ.), მაგრამ მასალის სისრულით თავმოყრა და მისი გადმოცემა წინამდებარე ნაშრომის მიზანს არ წარმოადგენს.

ჩვენ უკვე მივუთითებდით, რომ ყათნალიხების საწესო კომპლექსის III და IV ნაგებობებში აღმოჩნდა მოზერისა და ხარის თავის მოდელებით შემკული საკურთხევლები, რომელთაგან IV ნაგებობაში გამოვლენილი საკურთხეველი „ხარი-მხვნილის“ კულტთანა ჩანს დაკავშირებული.

ხარის—როგორც საკულტო ცხოველის ადგილის მიხედვით, ქართული წარმართული რელიგია გარკვეულ სიახლოვეს იჩენს წინა აზიისა და აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ხალხების რელიგიურ სამყაროსთან. როგორც ვ. ბარდაველიძემ მიუთითა, სვანური ლასკარული დღესასწაული უფლიშიერი, შესრულებისა და ძირითადი შინაარსის მიხედვით, თითქმის სრულ იგივეობას ამყარავნებს ზევს სოსიპოლისის საპატივცემულოდ გამართულ დღესასწაულთან. რომელიც მაგნესიაში მდ. მეანდრზეა დადასტურებული. ამასთან, როგორც მკვლევარი ფიქრობს, სვანური დღესასწაული უფრო არქაულ იერს ატარებს. ამავე დროს, სვანეთში დადასტურებული საღვთო ხარების ბრძოლა და სხვა ქართულ თემებში დადასტურებული კურული (ბრძოლა ბუდებთან) უახლეს ანალოგიას ნახულობს კრეტა-მიკენის კულტურაში, სადაც ხარის კულტმა განსაკუთრებული განვითარება მიიღო<sup>58</sup>. სვანურ გრაფიკულ საწესო ხელოვნებაში დადასტურებული ჯვარი, წრეში ჩახატული ჯვარი და ხარის თავის სქემატური გამოსახულება დაკავშირებული ჩანს ციური ბატონის კულტთან და ამ ღვთაების სიმბოლოდ წარმოგვიდგება. ციური ბატონის კულტში, თავის მხრივ, სხვადასხვა კულტი, განსაკუთრებით კი, მზისა და ხარის კულტი ჩანს გაერთიანებული<sup>59</sup>.

ხარის კულტის ხასიათის გასაგებად საყურადღებო მასალას იძლევა დღესასწაული „ბოსლობა“, რომელიც ქართულ სინამდვილეში მრავალი ვარიანტითაა

444. გვ. 716—718. სურ. 449. გვ. 752, სურ. 486. გვ. 767, სურ. 498, გვ. 809, სურ. 524. გვ. 806, სურ. 527, გვ. 803, სურ. 528. გვ. 814 სურ. 532.

III, 1930, გვ. 64, სურ. 37. გვ. 84—87, სურ. 47 48; გვ. 95, სურ. 51. გვ. 161, სურ. 106. გვ. 162, სურ. 107—108. გვ. 463, სურ. 323. გვ. 525, სურ. 367

<sup>57</sup> თ. ყაუხჩიშვილი, ჰეროდოტეს ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1960, გვ. 33—34, 122.

<sup>58</sup> Б. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования... გვ. 259.

<sup>59</sup> იქვე, გვ. 256.



წარმოდგენილი. როგორც უკვე აღნიშნული იყო, „ბოსლობის“ რიტუალი შეიცავს სხვადასხვა ქრონილოგიურ დანაშრევებს, რომელთაგან უძველესი „ბულა-მწარმოებლის“ კულტის სახითაა წარმოდგენილი<sup>60</sup>. გამოირკვა, რომ სახელი „ბოსელი“ უძველეს ხანაში აღნიშნავდა არა მარტო ხარს, არამედ პირუტყვის მფარველი ღვთაების სახელსაც წარმოადგენდა<sup>61</sup>. „ბოსელი“, როგორც შინაური პირუტყვის მფარველი ღვთაება („ბულა-მწარმოებლის“ სახით წარმოდგენილი), მიწათმოქმედების დაწინაურების პერიოდში იერთებს „ხარი მხვენელის“ კულტს და იქცევა შინაური ცხოველებისა და მიწათმოქმედების მფარველ ღვთაებად.

ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ხარი ასრულებდა ასტრალური ღვთაების სიმბოლოს როლს და მასთან იყო დაკავშირებული<sup>62</sup>. „ხარი-მხვენელის“ კულტს ამ გზით მზის კულტის სამყაროში შევყავართ, რომელიც ქართველ ტომებში დიდი დედა ნანას (მზექალი, ბარბარე) სახით იყო წარმოდგენილი. მაშასადამე, გვაქვს გარკვეული საფუძველი IV ნაგებობაში გამოვლენილი საკურთხეველი მზის კულტში კონცენტრირებულ ერთ-ერთი ფუნქციის გამოხატულებად მივიჩნიოთ. ამაზევე უნდა მიუთითებდეს სხვა ფაქტებიც. კერძოდ, ყურადღებას იქცევს საკურთხეველის უკან დადასტურებული თიხის მინიატურული ჭურჭელი, რომელშიც ყურძნის წიბწები და ფშატის კურკები აღმოჩნდა. „საერთოდ ამ ზონაში ფშატი როგორც გვალვის ამტანი მცენარე ძველთაგანვეა გავრცელებული და დღესაც გვხვდება ცოცხალი ღობეების სახით. კურკების შემოწმებით დასტურდება, რომ ფშატის ერთ ფორმასთან გვაქვს საქმე. ყურძნის წიბწები მორფოლოგიური აღნაგობის მიხედვით 4 ჯგუფად იყოფა. ყველას ნათლად ემჩნევა დამახასიათებელი ნისკარტი (მოკლე), ზურგის მხარეზე ქალამა და მუცლის მხარეზე ორი ღარი. ხანდაზმულობის გამო, როგორც ფშატის კურკებს, ისე ყურძნის წიბწებს განუცდიათ დეფორმაცია, რის გამოც ძნელდება ზუსტად დავადგინოთ, კერძოდ, წიბწები კულტურული (V. Sativa) თუ გარეული (V. Silvestris) ვაზისაა.“<sup>63</sup>

უნდა შევნიშნოთ, რომ IV ნაგებობაში აღმოჩენილი ყურძნის წიბწები საქართველოში აღმოჩენილ დათარიღებულ წიბწებში ჯერჯერობით ყველაზე უძველესია, მაგრამ მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა იმის გამოც, რომ ისინი დაკავშირებული აღმოჩნდნენ საწესო ობიექტთან და დაცული არიან სპეციალურ სარიტუალო ჭურჭელში ფშატის კურკებთან ერთად. ეს ფაქტი იმის მოწმობა ჩანს, რომ ამ ხანის შიდა ქართლის მოსახლეობა არა მარტო იცნობდა ვაზს, არამედ თაყვანს სცემდა კიდევ მას. ეს გარემოება, ჩვენი აზრით, საკმაოდ დამაჯერებელი საბუთია იმისათვის, რომ აღნიშნული წიბწები კულტურულ ვაზს მივაკუთვნოთ. ამ დასკვნას მხარს უჭერს ის გარემოებაც, რომ სპეციალისტები ქართული კულტურული ვაზის არსებობას, საკმაოდ დამაჯერებელი მონაცემების საფუძველზე, უფრო ადრეული ხანისათვის ვარაუდობენ<sup>64</sup>.

ჩვენთვის საინტერესო ხანის საქართველოს მოსახლეობაში ვაზის კულტის არსებობის ვარაუდისათვის მდიდარი ეთნოგრაფიული მონაცემები არსებობდა,

<sup>60</sup> იქვე, გვ. 171—191, 257—258.

<sup>61</sup> იქვე, გვ. 188—191.

<sup>62</sup> იქვე, გვ. 198, 258.

<sup>63</sup> პროფ. მ. რამიშვილისა და დოც. ე. ერისთავის დასკვნა.

<sup>64</sup> გ. ცქიტიშვილი, მევინახეობის ისტორიისათვის საქართველოში არქეოლოგიური მასალების მიხედვით, ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, 2. 1959, გვ. 135—145, ლიტ-რა იქვე.

მაგრამ უფლისციხეში მოპოვებული მასალა, რომლის კუთვნილება და ხასიათი სავსებით კონკრეტულადაა განსაზღვრული, პირდაპირ მიუთითებს ასეთი კულტის არსებობაზე ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის, რაც კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ ქართველ მთიელთა რელიგიურ და სადღესასწაულო ტექსტებში, ხშირად, ძალიან არქაული რელიგიის (იდეოლოგიის) ფენებია დაკონსერვებული. ვ. ბარდაველიძეს აღნიშნული აქვს, რომ საწესო საგუნდო სიმღერების ჩვიდმეტივე ვარიანტში, რომლებიც ფიქსირებულია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, ხსენებულია ვაზი, რომელიც ღვთის კარზე მდგარ მაღალ ალვის ხეს ეხვევა. საწესო სიმღერებში ვაზი წარმოდგენილია სიცოცხლისა და სიუხვის ხედ, რომლის მწიფე ნაყოფს, ამავე დროს, სიკვდილისადმი წინააღმდეგობის ძალაც მიეწერება. იგი სიცოცხლეს ახანგრძლივებს და მწიფე ყურძნის ქაშა გააზრებულია როგორც წმინდა ვაზის მაცოცხლებელი ძალის ზიარება. შენიშნული იქნა რომ საწესო სიმღერებში ასახული ვაზი მაღლარია<sup>65</sup>, რაც შიდა ქართლის მოსახლეობის მეურნეობაში ვაზის მოშენების საკმაოდ ადრეულ საფეხურზე უნდა მიუთითებდეს.

ღვთის კარზე მდგარ ალვის ხეზე შემოხვეულ ვაზთან დაკავშირებით გარკვეულ გააზრებას იღებს IV სათავსოში ყურძნის წიბწებთან ერთად აღმოჩენილი ფშატის კურკებიც. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ იმ ხანის უფლისციხის რაიონის მოსახლეობის წარმოდგენაში (იქნებ მეურნეობაშიც?) ვაზი დაკავშირებული იყო არა ალვის ხესთან, არამედ ფშატთან. ამდენად, ირკვევა, რომ ქართველი ტომების ერთი ნაწილი, წმინდა ხეების ჯგუფში ფშატსაც მიათვლიდა, რაც, ცხადია, ამ მცენარის გარკვეულ სამეურნეო მნიშვნელობასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით დადგენილია, რომ წმინდა ხეების რიცხვში, რომლებიც ღვთის კარზე იზრდებოდნენ და სიცოცხლისა და სიუხვის ხეებად იყვნენ მიჩნეული, ათვლებოდა არა მარტო ვაზი, არამედ სხვა ჯიშის ხეებიც. განსაკუთრებით კი ისეთები, რომლებიც საწესო ადგილებში ხელოვნურად იყო მოშენებული<sup>66</sup>.

ვაზის კულტი ასახული ჩანს არა მარტო სასულიერო ტექსტებში, არამედ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს ქართული მარანი და ზედაშე. როგორც დადასტურდა, მარანი წარმოადგენდა იმ საპატიო სამეურნეო ნაგებობას, სადაც ზოგიერთი საოჯახო-რელიგიური რიტუალი სრულდებოდა (სამსხვერპლო ცხრველის დაკვლა, ჯვარის წერა, ბავშვების მონათვლა და ა. შ.). ქართველ ტომებში შემუშავებულია წარმოდგენა, რომ ღვინო აუცილებელი იყო არა მარტო ადამიანებისათვის, არამედ ღვთაებათათვისაც. არსებობდა ღვთაებათადმი შეწირული ღვინის („ზედაშე“) მრავალი სახეობა („საღმართო“, „საძმო“, „სახლთანგელოზი“, „საბატონო“, „საწირავი“, „საკალანდო“, „სამაისო“ და ა. შ.)<sup>67</sup>. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ქართველი ტომები თაყვანს სცემდნენ მევენახეობის მფარველ ღვთაებას. რომელიც აგუნა (ანგურა) სახელს ატარებდა<sup>68</sup>. ვ. ბარდაველიძემ საკითხის სპეციალური შესწავლის შედეგად მიუთითა, რომ ადიღეურ ნართულ თქმულებებში „აგუნა“ ნართების სასმელით სავ-

<sup>65</sup> В. В. Бардавелидзе. Древнейшие религиозные верования... გვ. 57.

<sup>66</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართველი ტომების ასტრალურ ღვთაებათა პანთეონის განვითარების ერთი უძველესი საფეხური, X, გვ. 158—159; В. В. Бардавелидзе, древнейшие религиозные верования..., გვ. 55—65, 100.

<sup>67</sup> იქვე, გვ. 65—70.

<sup>68</sup> იქვე, გვ. 63.



სე ჯადოსნურ კასრს გამოხატავს, ხოლო სპარსულში „angur“ ყურძენს აღნიშნავს. მკვლევარი აღნიშნულ სახელს ქართულ „ღვინოს“ უკავშირებს და ე. პოტმანზე მითითებით აღნიშნავს, რომ ბერძნული *οἶνος* (ღვინო), *βίνη* (ვენახი), *οἶνος* (ყურძენი, ღვინო, ვენახი), ლათინური *Vinum* (ღვინო). სომხური *gini* („ღვინო“), ალბანური *vinë* („ღვინო“), აბსინური *Wain* (ღვინო) და ა. შ. მცირეაზიულ-კავკასიური წყაროდან ამოდიან<sup>69</sup>.

ვაზისა და წმინდა ხის კულტი სამხრეთ ამიერკავკასიის სინამდვილისათვის დადასტურებულია ურარტული ეპიგრაფიკის მონაცემებით. კერძოდ, ურარტელებს წესად ჰქონიათ თავისებური მსხვერპლშეწირვა, რომელიც ვაზის კულტთან ჩანს დაკავშირებული (ყურძენის დამწიფება?, ვენახის გამართვა?). სამწუხაროდ, არ ხერხდება იმის დადგენა, დაკავშირებულია თუ არა იგი მზის ღვთაება შივინის კულტთან<sup>70</sup>.

ქართული მარანი და მარანში მდგარი სიუხვე ხე („ხეხვივანი“), ასახულია მითოლოგიურ თხრობებში და სიმღერაში დიდი დედა ნანას ციურა სამეფოსა და მის ადგილობრივ ღვთაებათა შესახებ<sup>71</sup>. ქართული ასტრალური პანთეონის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როგორც მასალებიდან ჩანს, ქართველები მიწას „სამზეოდ“ (მზის, ანუ დიდი დედა ნანას საბრძანებლად) მიიჩნევდნენ, ხოლო „ბატონების ქვეყანა“ ნანასადმი მიძღვნილ ზღაპრებში გააზრებულია როგორც „მზის ბალი“, სადაც წარმოდგენილია სამი თაობა: „მზისა და მთვარის დედა“, „მზე და მთვარე“ და „მზის სამი ქალი“, რომელთაც ახლავთ ტაროსის ღვთაება ელია, მგელი და ოქროს ვერძი. საყურადღებოა, რომ „მზის ბალის“ მოცემულ სურათში ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია მარანი და ჩინარი. ამასთან, მარანის ხსენება დადასტურებულია მხოლოდ ნანას სადიდებელ საგალობლებში<sup>72</sup>.

დიდი დედა ნანას სალოცავში შენაწირავი ყურძენისა და ფშატის აღმოჩენა, ერთი მხრით, და მარანისა და სიუხვის ხის ამავე ღვთაებასთან დაკავშირება (ეთნოგრაფიული მონაცემები), მეორე მხრით, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ ვაზის კულტი წარმოქმნილი ჩანს ქართული წარმართული პანთეონის განვითარების მოგვიანო საფეხურზე. კერძოდ, ასტრალური პანთეონის განვითარებულ სტადიაზე. ეს გასაგებია: კულტურული ვაზი ხომ საზოგადოების სამეურნეო განვითარების შედარებით გვიანდელ საფეხურს უკავშირდება.

ამგვარად, IV ნაგებობა, ხარის თავის მოდელით შემკული საკურთხევლით და სვასტიკიანი საბეჭდავით, რომლებიც მზის სიმბოლოებსაც წარმოადგენენ, აგრეთვე, შესაწირავი ყურძენითა და ფშატით, ნაყოფიერების ღვთაება დიდი დედა ნანას კულტს უკავშირდება. აქ ასახული ჩანს ამ უზენაესი ღვთაების ის ძირითადი ფუნქცია, რომელიც მიწის ნაყოფიერებას უკავშირდება.

გამოირკვა რა ყათნალიხევის ბორცვის მთავარი ზურგის თხემზე აღმოჩენილი კომპლექსის საწესო დანიშნულება, შესაძლებელი გახდა გამოვლენილი ინვენტარის დიდი ნაწილის ხასიათის გარკვევა: ეთნოგრაფიული მონაცემების მიხედვით ქართულ ხატს გააჩნდა სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი, რომელიც სადღესასწაულო გამასპინძლებათა დროს გამოიყენებოდა და მუდმივად ხატში

<sup>69</sup> იქვე, გვ. 74—75, 247.

<sup>70</sup> Г. А. Мелликишвили, Найри-Урарту, Тб., 1954, გვ. 374—375.

<sup>71</sup> В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования . . . გვ. 247.

<sup>72</sup> იქვე, გვ. 58, 78—81.

ინახებოდა. ზოგიერთ ჭურჭელს სპეციალური დანიშნულებაც ჰქონდა. ბარბარეს სალოცავში, მაგალითად, აუცილებლად უნდა ყოფილიყო „ბარბალეს თასი“, რომლის ხატიდან გამოტანა მხოლოდ იმ ოჯახს შეეძლო, რომელიც სადღესასწაულო გამასპინძლებას ახდენდა<sup>73</sup>. მათ გვერდით ხატის ტერიტორიაზე რჩებოდა შესაწირავი და სარიტუალო (არა პრაქტიკული) დანიშნულების საგნები. ყათნალიხევის სალოცავში გამოვლენილ მასალებიდან ამ ჯგუფში გაერთიანდება: მინიატურული ვაზები, თიხის კოვზი, ცხოველთა ფიგურები, კევრის კოხები, კაყის ხამგლის პირები, ფალის გამოსახულებანი, დისკოს ფორმის საგნები და ა. შ.

ხატისადმი შეწირული საგნების ასორტიმენტს და საერთოდ საქონებელის ხასიათს, როგორც ირკვევა, განსაზღვრავდა იმ ღვთაების ბუნება, რომელსაც სალოცავი ეკუთვნოდა. ე. წ. „ლუვრის ფირფიტამ“ შემოგვინახა ცნობა, რომ ასირიის მეფეს სარგონ II-ს (ძვ. წ. 722—705 წწ.) ურარტელთა უზენაესი ღვთაების ხალდის (ომის ღმერთი) ცენტრალური ტაძრის გაძარცვისას ხელთ უგდია: 305412 სპილენძის მახვილი, 25212 სპილენძისა და 6 ცალი ოქროს ფარი, 1514 ცალი სპილენძისა და 96 ცალი ვერცხლის ხელშუბი, ოქროს ხმალი, ოქროს მძიმე სარტყელი, ვერცხლის მშვილდები, ვერცხლის 12 ცალი მძიმე ფარი, 33 ცალი ვერცხლის ეტლი და ა. შ.<sup>74</sup> მსგავსი ფაქტების მოტანა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ ვფიქრობთ, აღნიშნულიც საკმარისია იმის დასადგენად, თუ როგორი იყო იმ ღვთაების ბუნება, რომლის სალოცავიც ყათნალიხევის ბორცვზე იქნა გამოვლენილი.

\* \* \*

IV ნაგებობაში, როგორც აღვნიშნეთ, დადასტურებული იყო აგრეთვე საწესო სახვითი ხელოვნების ნიმუშების მოზრდილი ჯგუფი. გამოსახულებები შესრულებულია ღრმა კვეთით (10—12 სმ.), მაგრამ ისე, რომ კვეთის სიღრმის თანაბრობა დაცული არ არის. ფიგურათა ერთი ნაწილი დამოუკიდებელია და არ ეხება მეზობლად განლაგებულ გამოსახულებებს, ხოლო მეორე ნაწილი, შეგნებულად თუ შემთხვევით, ერთმანეთზეა გადაბმული. აქ წარმოდგენილი მთელი კომპლექსი მთლიანობის შთაბეჭდილებას სტოვებს. სქემატურ-სილუეტური გამოსახულებები ამოვსებული იყო ნაცრით, რომელშიც ცხოველის დამწვარი ძვლებიც ერია, რაც გვაფიქრებინებს, რომ ნაცარს სამსხვერპლო კერიდან იღებდნენ. ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სვანურ გრაფიკულ საწესო ხელოვნებაში დადასტურებული ხერხი—გამოსახულებების შესრულება ნაცრის ან ფქვილის ხსნარით. ხორბლის ფქვილს სვანები განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევდნენ და მოწიწებით ექცეოდნენ. მას მიეწერებოდა განსაკუთრებული სიწმინდე და დიდი ძალა სიუხვის მოცემაში. ნაცარი და ნახშირი კი, როგორც ჩანს, უკავშირდებოდა დედამიწის ნაყოფის მომცემ ზედა ფენისა და ცეცხლის კულტებს. ამასთან, ნაცარსა და ნახშირს სვანები იყენებდნენ სახალხო მედიცინაში, ავი სულების წინააღმდეგ, ამულეტებად და ა. შ.<sup>75</sup> ვ. ბარდაველიძე,

<sup>73</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან (ღვთაება ბარ-ბარ), გვ. 29—31.

<sup>74</sup> Г. А. Меликишвили, Найри-Урарту, გვ. 366—367.

<sup>75</sup> ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, გვ. 87; В. В. Бардавелидзе, Древнейшие религиозные верования . . . გვ. 121—125.



იკვლევს რა სვანურ საწესო გრაფიკულ ხელოვნებაში ფქვილის, ნაცრისა და ნახშირის მნიშვნელობას მიუთითებს, რომ შესაძლებელია ამ ხერხს გრაფიკული საწესო ხელოვნების ჩასახვიდანვე არ ჰქონოდა მაგიურ-რელიგიური ხასიათი. ასეთი მტკიცების სასარგებლოდ, მისი აზრით, გამოდგებოდა თუნდაც ის ფაქტი, რომ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით ამ ხალხური წარმოდგენების წარმოქმნის არც დრო და არც მათთან დაკავშირებული რელიგიურ-მაგიური პრაქტიკის ხასიათი<sup>76</sup>. უფლისციხური გამოსახულებები გვიდასტურებენ, რომ ნაცრის გამოყენება საწესო (თუმცა არა გრაფიკულ) ხელოვნებაში ამ პერიოდისათვის (ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევარი) უკვე სახეზეა. თუ კი აქედან ურბნისის ქვაცხელების C1 ფენის I ნაგებობაში გამოვლენილ ნაცრის ხელოვნურ გროვებთან კავშირის გაბმვა მოხერხდებოდა, მაშინ ქართველ ტომებში ნაცრის შესახებ რელიგიურ-მაგიურ შეხედულებათა შემუშავების ფესვები უფრო ადრეული ხანისთვისაც დადასტურდებოდა.

IV ნაგებობაში გამოვლენილ გამოსახულებებში, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება გავარჩიოთ როგორც შინაურ ცხოველთა (ხარი, ძაღლი, ცხვარი, თხა და ა. შ.), ისე გარეულთა გამოსახულებანი (ჯიხვი, შველი, კურდღელი, ჯოჯო და ა. შ.). ის ფაქტი, რომ ისინი საკულტო ნაგებობაშია განლაგებული, მათი რელიგიურ-მაგიურ ხასიათის მოწმობა უნდა იყოს. საკითხის ზასარკვევად შეიძლება მივმართოთ მასალების ორ ჯგუფს: ნივთიერსა და ეთნოგრაფიულს. ნივთიერი ძეგლებიდან ყურადღებას იქცევს გამოსახულებანი კლდეებზე, რომლებიც მსოფლიოს თითქმის ყველა კუთხეშია დადასტურებული. მათი უძველესი ნიმუშები პალეოლითურ სადგომშია გამოვლენილი. ხოლო უახლესი შუა საუკუნეებს მიეკუთვნება<sup>77</sup>. ასეთი გამოსახულებანი, როგორც სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, უფრო მეტად იმ ხანისათვისაა დამახასიათებელი, როცა მეურნეობაში წამყვანი, ან ერთი უპირველესი ადგილი ნადირობას ეჭირა. ზოგიერთი ჩამორჩენილი ხალხები განვითარების ამ სტადიას გვიანობამდე შემორჩინენ. მოსახლეობას, რომელსაც ყათნალიხევის ბორცვზე არსებული სამლოცველო ეკუთვნოდა, როგორც არსებული მასალები უთითებენ, განვითარების ეს საფეხური ათასობით წლის წინა ჰქონდა გავლილი. მას მრავალდარგობრივი სოფლის მეურნეობა შეუქმნია, რომელშიც ინტენსიურ დარგებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ძიუხედავად ამისა, ნადირობა, როგორც პრაქტიკულად სასარგებლო საქმიანობა, არა მარტო ამ დროს, არამედ გაცილებით გვიანაც არ კარგავს მნიშვნელობას, რაზედაც ამ ხანის მატერიალურ კულტურაში პირდაპირი მასალებიცაა დაცუ-

<sup>76</sup> В. В. Бардавелидзе, *დასახ. ნაშრ.*, გვ. 124.

<sup>77</sup> ლიტერატურა: В. И. Равдоникас, *Изучение наскальных изображений Онежского озера и Белого моря*, СА, I, 1936; Гордон Чайлд, *У истоков европейской цивилизации*, М., 1952, გვ. 355—356;

А. И. Минорский, *Древние наскальные рисунки горного Алтая*, КСИИМК, XXXVI, 1951; Л. А. Евтюхова, *К вопросу о писаницах Алтая*, КСИИМК, 1951; П. П. Хороших, *Наскальные рисунки на горе Манхай II (Кудийские степи)*, КСИИМК XXXI, 1951; Л. Р. Кизласов, *Сары-Булакская писаница в Бетпах Дала*, КСИИМК, XXXV, 1950; Гордон Чайлд, *Древнейший Восток в свете новых раскопок*, М., 1950, გვ. 53, 93; С. Н. Библиков, *Неолит и энеолит Урала*, СА, XIII, 1950, გვ. 100—105. И. М. Джафарзаде, *наскальные изображения Кобыстана в Азербайджанской ССР*, Труды музея истории Азербайджана, II, 1957, А. Л. Окладников, В. Д. Запорожская, *Ленские писаницы. Наскальные рисунки у деревни Шишкино*, М., 1959.

ლი (გამოსახულებები ბრინჯაოს სარტყელებზე, გარეულ ცხოველთა სკულპტურები, გარეულ ცხოველთა ძვლების სიმრავლე ფენებში და ა. შ.). საზოგადოებრივი განვითარების ხასიათით უნდა აიხსნას ის ფაქტიც, რომ IV ნაგებობის გამოსახულებებში გარეულ ცხოველთა სამყაროს მთავარი ადგილი არ უჭირავს; კომპოზიციაში მის გვერდით წარმოდგენილია შიხაურ ცხოველთა სამყარო და ხორბლის შესანახი ხარობების გამოსახულებანი. ეს ფაქტიც იმის მოწმობაა, რომ სამლოცველოში ასახულია მიწათმოქმედი თემის (თემების?) სულიერი სამყარო და პრაქტიკული ინტერესები. საწესო ხელოვნების ძეგლებში უპირატესად უნდა ასახულიყო ის საგნები და არსებანი, რომლებიც მოცემულ საზოგადოებრივ თუ ეთნიკურ უჯრედს პრაქტიკულად აინტერესებდა. როგორც ვ. ბარდაველიძემ დაადგინა, სვანების გრაფიკულ საწესო ხელოვნებას ნატურალისტური ხასიათი ჰქონდა. სვანები, მკვლევარის ცნობით, ხატავდნენ მხოლოდ იმ საგნებს, რომელთაც კარგად იცნობდნენ და რომლებიც მათ აინტერესებდათ. „სვანური საწესო გრაფიკული ხელოვნების სიუჟეტი,—წერს იგი,—უაღრესად ხაზგასმით ავლენს მესაქონლე-მიწათმოქმედი მოსახლეობის ინტერესებს“<sup>78</sup>. სვანურ საწესო გრაფიკაში თუმცა დაცულია სიმეტრიულობისა და რიტმულობის პრინციპი, მაგრამ ესთეტიკურ მხარეს ყურადღება არ ექცევა. ნახატის შესრულების დროს, დამხატველი ხელმძღვანელობს არა იმდენად ესთეტიკური გრძნობით, რამდენადაც მაგიური და რელიგიური რწმენით და მიზნად ისახავს მატერიალური კეთილდღეობის მოპოვებას, ე. ი. მის მოქმედებას წმინდა პრაქტიკული გამიზნულობა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ სვანური საწესო გრაფიკა შინაარსობრივად დაკავშირებული აღმოჩნდა როგორც ბუნების ძალის აღორძინების (გაზაფხულის დღესასწაული), ისე მრავალ სხვა, მათ შორის, მიცვალებულის კულტთან, იგი ისახავდა პრაქტიკულ მიზანს—ცოცხალთა მატერიალურ კეთილდღეობას და ფიზიკურ ჯანსაღობას<sup>79</sup>.

უფლისციხის გამოსახულებების შესწავლასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს სვანური საწესო გრაფიკის II სერიის ნახატები („გეომეტრიული ნახატები“), რომლებიც მაგიური ხელოვნების ძეგლს მიეკუთვნება და არქაულობით ხასიათდება. შეგროვებითი მეურნეობის პერიოდის მაგიური ხელოვნებისაგან განსხვავებით სვანური საწესო გრაფიკის აღნიშნულ სერიაში უკვე მწარმოებლური საზოგადოების მაგიური საგნებია წარმოდგენილი. მისი მიზანია გამოსახულ საგანთა და არსებათა გამრავლება. გამოსახულებას შესრულებას თან ახლდა სიტყვიერი მაგია, რაც გამოსახული საგნის სახელის წარმოთქმაში გამოიხატებოდა<sup>80</sup>.

IV ნაგებობაში გამოვლენილ ზოგიერთ გამოსახულებას არ შეიძლებოდა პირდაპირი პრაქტიკულ-მაგიური დანიშნულება ჰქონოდა. მაგალითად, არავინ იფიქრებს, რომ იმ დროის ადამიანი ჯოჯოების მომრავლებაში პრაქტიკულად ყოფილიყო დაინტერესებული. რომ ამ ხანაში და სწორედ ამ რაიონში ჯოჯოს რაღაც ფორმით პატივსა სცემდნენ, კარგად ჩანს იმ ფაქტიდან, რომ კასპში აღმოჩენილ ერთ-ერთ ლეგად გაპრიალებულ ქილაზე, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით თარიღდება მიძერწილია ჯოჯოს გამოსახულება<sup>81</sup>. ამ

<sup>78</sup> В. В. Бардавелидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 126.

<sup>79</sup> იქვე, გვ. 129—131, 162—164.

<sup>80</sup> იქვე, გვ. 204—209.

<sup>81</sup> მ. ბარაბოქს გამოუქვეყნებელი მასალის გაცნობისათვის მადლობას მოვასხენებ.



მოვლენას ერთგვარ ახსნას აძლევს XIX საუკუნის თბილისის ყოფაში შემორჩენილი რელიგიური დღესასწაული „ჯოჯოს დღე“. მისი პირველი აღწერილობა, რომელიც ნ. ბერძენიშვილის (ბერძენოვის) კალამს ეკუთვნის გამოქვეყნდა 1851 წელს. მისი ცნობით, აღდგომის შემდეგ, ნათელი კვირის ორშაბათს, თბილისელი ქალები, უპირატესად ახალგაზრდები, შაქრით მომარაგებულნი მიდიან ავლაბარში, სადაც, ე. წ. „ძაღლის უბანთან“, მტკვრის პირა შვეულ კლდეში არის ძნელად მისასვლელი გამოქვაბული. ისინი არ ერიდებიან ჩასვლის სიძნელეს და მოლოცვის შემდეგ ჯოჯოებს უტოვებენ შაქარს. ავტორს ვერ დაუდგენია, თუ რატომ უმასპინძლდებიან ჯოჯოებს სწორედ შაქრით; ადგილობრივ არსებულა გადმოცემა, რომ გამოქვაბულში თითქოს უცხოვრია ვიღაც საკვირველ კაცს, რომელსაც ხელის შეხებით შეეძლო სახეზე ჭორფლის მოცილება, მაგრამ ვერ დაუდგენია, თუ რა საერთო იყო ჭორფლის მკურნალობასა და ჯოჯოებისადმი ვედრებას შორის<sup>82</sup>. 1855 წ. ქვეყნდება „ჯოჯოს დღის“ ახალი აღწერილობა<sup>83</sup>, საიდანაც ირკვევა, რომ 1851 წლის წერილში მოვლენა სრულად არ ყოფილა აღწერილი. პირველ და მეორე აღწერილობათა შორის დიდი სხვაობაა: 1855 წ. ცნობით სალოცავად მიდიან ის ქალები, რომელთა ახლობელი ტყვეობაში, პატიმრობაში, ან სადმე შორეთში იმყოფება. მოლოცველი ჩაჩოქილია და თითქოს ეკითხება ჯოჯოს მის სადარდელზე. თუ კი ჯოჯო არ გაიქცევა და მოლოცველს პირდაპირ შეხედავს სახეში, ყველაფერი კარგად დამთავრდება: ტყვე და პატიმარი გათავისუფლდება, ხოლო შორეულ მგზავრობაში წასული მშვიდობით დაბრუნდება. ზოგიერთი მოლოცველი გამოქვაბულში ტოვებს შაქარს. თუ მეორე დღეს შაქარი აღარ დახვდა, ყველაფერი კარგად დასრულდება. როგორც აღწერილობიდან ჩანს, ჯოჯოს მიეწერებოდა გარკვეული მაგიური ძალა, რომლის ფესვები, როგორც ჩანს, წინაქრისტიანული ხანის ადამიანის წარმოდგენაშია საქმბარი. ამის საბუთი უნდა იყოს, როგორც ამ მოვლენის შეუსაბამობა ქრისტიანულ მსოფლმხედველობასთან, ისე გამოსახულება ყათნალიხევის გორას IV ნაგებობაში და კასპში აღმოჩენილ თიხის ქილაზე.

ამგვარად, ყათნალიხევის გორას IV ნაგებობაში დადასტურებულ გამოსახულებათა სიუყეტში ნადირობასთან დაკავშირებული მაგიის გვერდით ძირითადი ადგილი უჭირავს შინაური ცხოველების მომრავლებისა, მოსავლიანობის გაზრდისა და ადამიანის ჯანმრთელობა-კეთილდღეობის მაგიას. ამ გამოსახულებათა სახით, როგორც ჩანს, წარმოდგენილი გვაქვს ქართული საწესო სახვითი ხელოვნების განვითარების ერთ-ერთი საფეხურის ნაკვალევი, სადაც შიშათმოქმედი თემის რელიგიური მსოფლმხედველობის ერთი მხარეა ასახული. ნაგებობის მთელი კომპლექსი კი გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ამ თემის სამეურნეო საქმიანობაზე, პრაქტიკულ ინტერესებზე და სულიერ სამყაროზე.

\* \* \*

ს ა მ ლ ო ც ვ ე ლ ო ს ბ ე დ ე ლ ი: ბორცვის მცირე ზურგის გათხრებისას გამოვლინდა ორი ფენა, რომელთაგან ზედა, ადრე შუასაუკუნეებს მიეკუთვნება

<sup>82</sup> Н. Берзенов. Мтацминдский праздник, „Кавказ“, 1851, № 43.

<sup>83</sup> Заметки Тифлисского фельетониста, „Кавказ“, 1855. № 26. „შენიშვნების“ ბოლოს უნის ავტორის ხელმოწერა „ნ“. ავტორი ფიქრობს, რომ „ჯოჯოობა დღე“ წმ. დოდოს დღეობის სახელის გარდაქმნით უნდა იყოს მიღებული, მაგრამ მისი აზრის მცდარობა ცხადადვე ჩანს წერილშივე მოტანილი ფაქტიური მასალიდან.

და ალიზსამარხები თაა წარმოდგენილი, ხოლო ქვედა—სამლოცველოს სინქრონულია და ბორცვის II ფენას მიეკუთვნება. ბორცვის მცირე ზურგის ტერიტორიაზე, როგორც აღნიშნული გვექონდა, კულტურული ფენა დაცულია თხემის ერთ ნაწილში (ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე და აღმოსავლეთ ფერდობის ერთ მონაკვეთზე).

მცირე ზურგის თხემზე დადასტურდა მარცვლის შესანახი 5 ცალი ხარო (ტაბ. VIII, 2) და რამდენიმე ცალი დიდი ზომის, შავად გაპრიალებული, ძირგახვრეტილი დერგი (ტაბ. XXVII, 1, 4), რომლებიც ხაროების ორმოშივე იყო ჩალეწილი. თაბაშიროვან თიხებში ამოკვეთილი ორმოების კიდეები და იატაკი შელესილი იყო თიხის ხსნარით. ხაროების ძირში დადასტურდა მტკრად ქცეული მარცვლეულის ნაშთები. ორმოების სიმაღლე გათხრის მომენტში 35-დან 80 სმ-მდე მერყეობდა, ხოლო დიამეტრი—80-დან 140 სმ-მდე. ერთ-ერთი ორმო (№ 4), რომელშიც ჩალეწილი იყო ორი ცალი შავპრიალა, ძირგახვრეტილი დერგი (ქოცო), ადრეშუასაუკუნეების სამარხს (ალიზსამარხი № 2) დაუზიანებია. აღნიშნული სამარხის ინვენტარი ორი ცალი საყურით იყო წარმოდგენილი, რომელთაგან ერთი ოქროს, ხოლო მეორე ვერცხლის მავთულისაგან იყო დამზადებული. ხაროების გადამხური ფარდულის ნაკვალევი არ გადარჩენილა.

მცირე ზურგის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზე დადასტურდა ნასიკრადამწერი ფარდული. ფერდობში ჩაჭრილი ფარდულის სამხრეთ-დასავლეთ კედლის სიმაღლე 2 მეტრს აღემატებოდა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთი და ჩრდილო-დასავლეთი კედლები, ბუნებრივად, ფერდობის დახრილობას იმეორებდნენ. ფარდული გადახურული ყოფილა მსხვილი კოჭებით, რომელთა ბოლოები, როგორც დადასტურდა წრიული კვეთის მსხვილ ბოძებზე ყოფილა დამაგრებული. ჭერი ბანური ჰქონია. რაზედაც კოჭების თავზე სუფთა ალიზის სქელი დამწვარი შრე მიუთითებს. გაუგებრობას იწვევს ნაგებობის დაქანებული იატაკი, რაც, უნდა ვიფიქროთ, ფარდულის დანიშნულებით იყო გაპირობებული.

ფარდული ძლიერი ხანძრის შედეგად განადგურებულა. რომელიც იმდენად მიძინვარე ყოფილა, რომ დიდი ზომის ნაგლეჯი ლოდები, გამოყენებული ფარდულის კონსტრუქციაში, მთელ სისქეზე წითლადაა შეფერადებული. ასევე წითელი ფერი მიუღია იატაკს, კედლებს და ბანზე მდებარე ალიზს. როგორც ჩანს, ფარდულში საწვავის დიდი რაოდენობა იყო თავმოყრილი. იმის გამო, რომ ბანი ადრე ჩამოქცეულა, მსხვილი ბოძებისა და კოჭების ზოგიერთი ნაწილი დანახშერებულ მდგომარეობაში გადარჩენილა.

ფარდულის ნანგრევებში და იატაკზე გამოვლინდა მსხვილი ჭურჭლების ნატეხები, თიხის შელესილობის მცირე დეტალები (რომელთა ერთი ნაწილი, ტემპერატურის ზემოქმედებით, წილად იყო ქცეული), დანახშირებული ძელების დიდი რაოდენობა, თიხის ჭურჭელთა ნატეხებიდან დამზადებული დისკოს ფორმის საგნები (რამდენიმე ცალი), „საბეჭდავის“ ფორმის თიხის ნივთის ფრაგმენტი (ტაბ. XIII, 14), ხანძარში „დამწვარი“ ნაგლეჯი ქვების დიდი რაოდენობა და ა. შ. ფარდულის ნანგრევებს ზემოდან ფარავდა ბორცვის მთავარი ზურგის სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ფერდობიდან დარეცხილი ნაცრის შრე, რომელიც აქა-იქ შეიცავდა სხვადასხვაგვარ თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებს.

ფარდულის ცენტრალურ ნაწილში აღმოჩნდა მცირე ზომის, სწორკუთხედის ფორმის ორმო, რომელსაც გვერდები ნაგლეჯი ქვით აქვს ნაგები. იგი გამართულია ნაგებობის განადგურებამდე და კენოტაფს მოგვაგონებს.



ბორცვის მცირე ზურგზე აღმოჩენილი ბეღელი (ხაროები) და ფარდული სამლოცველოს სამეურნეო სათავსოებად უნდა მივიჩნიოთ.

წერილობით წყაროებში დაცული ცნობებისა და არქეოლოგიური მასალების მიხედვით ცნობილია, რომ წარმართულ ტაძრებსა და სალოცავებს მეტწილად სიდიდის საქონებელი ჰქონდათ. მცირე, მაგრამ საყურადღებო ცნობები არის შენახული ამიერკავკასიის წარმართულ ტაძართა შესახებაც. სტრაბონის ცნობით, მესხების ტერიტორიაზე არსებული ლევკოთეას ტაძარი იმდენად მდიდარი ყოფილა, რომ იგი ჯერ ფარნაკს გაუძარცვავს, ხოლო შემდეგ—მიტრიდატე პერგამელს<sup>84</sup>. სტრაბონისავე ცნობით, იბერიის (ქართულის) აღმოსავლეთ საზღვართან, ალბანეთის ტერიტორიაზე არსებული მთვარის სალოცავი დიდი უძრავ-მოძრავი ქონების პატრონი ყოფილა. აღნიშნული სალოცავის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მისი ქურღში მთელ ქვეყანაში უწარჩინებულესი კაცი იყო მეფის შემდეგ (გაიხსენეთ სტრაბონის ცნობა იბერიის ქურღშითა გენეს შესახებ). ალბანური მთვარის ტაძრის ქონებაში სტრაბონი მიუთითებს კარგად დასახლებულ ვრცელ ტერიტორიას და სატაძრო მონებს<sup>85</sup>.

XIX საუკუნეში და XX საუკუნის დამდეგს საქართველოს მთიანეთში შემორჩენილ წარმართულ სალოცავებს ჯერ კიდევ ჰქონდათ საკმაოდ დიდი უძრავ-მოძრავი ქონება: სახნავი და სათიბი მიწები, საძოვრები, ტყე, ვენახები (ბარში), ცხვარი და მსხვილფეხა პირუტყვი, სამეურნეო ინვენტარი, წმინდა რელიკვიები, ღული, საკულტო და სამეურნეო ნაგებობანი და ა. შ. საკულტო და სამეურნეო ნაგებობებიდან დადასტურებულია: დობილთ კოშკი, დროშათ საბრძანი კოშკი, საზარე, სასანთლე, დარბაზი, ბეღელი, საქვაბე, საკოდე, სადიასახლისო, სახელოსნო, საბერო, სადასტურო და ა. შ.<sup>86</sup>

ჩვენთვის, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, საინტერესოა ხატის ბეღელი და მასთან დაკავშირებული ნაგებობანი: ქართლის მთიანეთში შემორჩენილი წარმართული სალოცავების სახნავ-სათესი მიწებიდან გამოიყოფოდა ე. წ. „სალუდე“ (ხოდაბუნი, ნაკევრალი), რომელსაც მთელი თემი კოლექტიურად ამუშავებდა. მიღებულ მოსავალს, სათესლე მარცვლის გამოყოფის შემდეგ, ხატის ბეღელში ინახავდნენ და სადღესასწაულო ღუდის მოსახარშად იყენებდნენ. ხატის ბეღელი მარცვლეულის ძირითადი საცავი იყო და სალოცავის მთავარ ეკონომს—უფროს დასტურს ებარა<sup>87</sup>.

მოტანილი მასალების შუქზე ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ ყათნალიხევის ბორცვის მცირე ზურგზე გამოვლენილი ხაროები და მარცვლის შესანახი ტურჭლები სალოცავის ბეღლის ნაშთია. მაშასადამე, სალოცავს ჰქონია საკუთარი შემოსავალი, რომელიც აქვე, ბეღელში, ინახებოდა და გარკვეული რელიგიური დღესასწაულების დროს იხარჯებოდა (შესაწირავი პურები, სადღესასწაულო სასმელები, საერთო სახატო გამასპინძლება და ა. შ.).

<sup>84</sup> Strabo, XI, 2, 16. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, გვ. 124.

<sup>85</sup> Strabo, XI, 4, 7. თ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 134.

<sup>86</sup> В. В. Бардавелидзе, Земельные владения древнегрузинских святилищ, СЭ, 1949, № 1, გვ. 95—96. ნ. ხ ი ზ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ეთნოგრაფიული ნაწერები, თბ., 1940, გვ. 21—22. ლ ბ ო ქ ო რ ი შ ვ ი ლ ი, ხვესურული „ჯვარი“, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის V, 1951, გვ. 81.

<sup>87</sup> В. В. Бардавелидзе, დასახ. ნაშრ., გვ. 103—105,

როგორც ვხედავთ, ყათნალიხევის ბორცვის მთავარ ზურგზე განლაგებული ყოფილა საწესო-რიტუალი ნაგებობანი, ხოლო მცირე ზურგზე—სამეურნეო სათავსოები<sup>88</sup>. ამავე დროს, დადასტურდა ნიშნები სალოცავის კუთვნილი მიწების არსებობაზე და გამოვლინდა რიგი მასალები ამ რაიონის სოფლის მეურნეობის ხასიათის შესახებ.

ამგვარად, უფლისციხე—ყათნალიხევის ბორცვის მეორე ფენის ნაგებობების სახით დაცული კომპლექსი დიდი დედა ნანას სამლოცველოა, რომელშიც გაერთიანებული ჩანს წინარე საფეხურის მრავალ ღვთაებათა ატრიბუტებიც; სამლოცველოში განსახიერებული ღვთაების ძირითადი ხასიათი დაკავშირებულია ჩანს მიწის ნაყოფიერების სიუხვევსთან, ადამიანისა და შინაური პირუტყვის გამრავლებასთან და საერთოდ ადამიანის კეთილდღეობასთან.

II ფენის დათარიღებისათვის: II ფენის დათარიღებისათვის ჩვენს განკარგულებაშია დიდი რაოდენობის კერამიკული ნაწარმი. რომელიც მოპოვებული მასალის ოთხ მეხუთედს შეადგენს, აგრეთვე, ხის მერქნის ნაშთები, რომელიც ქრონოლოგიური განსაზღვრისათვის გადაეცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რადიო-ნახშირბადის ლაბორატორიას.

კერამიკული ნაწარმი წარმოდგენილია შემდეგი ჯგუფებით: სამწარეულო და სუფრის ჭურჭელი, სარიტუალო-შესაწირავი ჭურჭელი, სამეურნეო ჭურჭელი, საბეჭდავები, სკულპტურული გამოსახულებები (ცხვარი, ცხენი, ქალღმერთი), ხარისა და მოზერის რქები, ურმის თვლის მოდელები და ა. შ.

დათარიღებისთვის საკმაოდ საიმედო საყრდენს იძლევა თიხის ჭურჭლის ფორმები და განსაკუთრებით დეკორის ზოგიერთი თავისებურებანი.

ჭურჭლის შემკულობაში გავრცელებული სახეებია ტვიფრული „სოლები“ (ლურსმები), რელიეფური, გრეხილი თუ სადა სარტყლები; ხშირად გვხვდება დაშტრისული, სადა თუ წერტილებით შევსებული სამკუთხედები, კონცენტრული წრეები, წიწვოვანი ორნამენტი, ამოდარული სარტყლები. განსაკუთრებით ხშირია ქუსლის შემკობა ნაჭდევებით. მაგრამ იშვიათად გვხვდება ზოომორფული ყურები და საერთოდაც ყურიანი ჭურჭელი საკმაო იშვიათობაა.

კეციტ, დეკორითა და ფორმით II ფენის კერამიკა მეტ სიახლოვეს იჩენს ნაცარგორის III ფენის, ვიდრე ხოვლეს ნამოსახლარისა და სამთავროს კერამიკასთან.

როგორც აღვნიშნეთ, II ფენის კერამიკის შემკულობის ერთ-ერთ გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს სამწერლო ლურსმების ფორმის სოლები (ტაბ. XXII, 1—15, XXV, 1—12). მსგავსი ჭურჭელი, როგორც ცნობილია, დიდი რაოდენობით აღმოჩნდა ცხინვალის ნაცარგორის III (ზედა) ფენაში<sup>89</sup>, რომელიც გ. გობეჯიშვილმა ჯერ ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულითა და I ათასწლეულის პირველი ნახევრით დაათარიღა<sup>90</sup>, ხოლო შემდეგ თარიღი დაა-

<sup>88</sup> საქართველოს მთიანეთის მეცხვარეობის რაიონებში (მთიულეთი, გუდამაყარი) უხე-ნავსი ღვთაების, ღმერთის, კულტში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა საძოვრების მადლა აშენებულ „სალოცავ კოშკებს.“ სადაც ვერძის ფიგურებს და შეწირულ ვერძებსაც ინახავდნენ, რომლებიც შემდეგ ორაკულის როლში გამოყავდათ. იხ. В. В. Бардавелидзе, Главное божество древнегрузинского пантеона. Гмерტი, გვ. 304. შეწირული პირუტყვის სადგომი უნდა ყოფილიყო მცირე ზურვის O ფერდობზე აღმოჩენილი ფარდული.

<sup>89</sup> გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, გვ. 251, ტაბ. X, 6, XVI, 1.

<sup>90</sup> იქვე, გვ. 209.



ზუსტა და ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრით შემოიფარგლა<sup>91</sup>. ბ. კუფტინმა ცხინვალის ნაცარგორის ის ფენა, რომელიც სოლებით (ლურსმებით) შემკულ კერამიკას შეიცავდა ბრინჯაოს ხანის დასასრულსა და რკინის ხანის დასაწყისს, ანუ ადრერკინის ხანას მიაკუთვნა<sup>92</sup>. ამავე დროს, იგი, ეხება რა ნაცარგორის ზედა ფენის კერამიკას, აღნიშნავს: „Типологический состав керамики древне-железного (урартского) и позднебронзового возраста здесь . . . обнаруживает связь с соответствующими хронологическими слоями Куро-Араксского междуречья, как бы даже минуя территорию Мыхета, где не получают, повидимому, достаточного выражения ни днища горшков с корезным и шнуровидным украшением края, ни безручные формы кувшинов и бокалов, ни украшение глубоким клиновидным, хорошо представленным в могильнике соседнего Плависмани, а также концентрическо-кружковым штампом, за исключением единичных экземпляров“<sup>93</sup>.

გ. გობეჯიშვილმა შემკულობის ეს სახეობა ლურსმული დამწერლობის მოტივებს დაუკავშირა და აღნიშნა, რომ ეს გარემოება „ურარტულ სამყაროსთან გაძლიერებულ ურთიერთობაზე უნდა მიგვიჩივებდეს“<sup>94</sup>. ამასთან დაკავშირებით დ. ქორიძემ მართებულად შენიშნა, რომ შიდა ქართლი ურარტუს სამეფოს წარმოშობამდეც, კერძოდ ძვ. წ. XIV—XIII სს-შიც კარგად იცნობდა შემკულობის ამ სახეობას. იგი მიუთითებს, რომ ქართველი ტომები ურარტუმდე იცნობდნენ დეკორის ამ მოტივებს, იყენებდნენ მას ჭურჭელთა შესამკობად და ავითარებდნენ შემდეგ პერიოდში. ლურსმების ზომებისა და ტვიფრის სიღრმის სვებას მკვლევარი იმ აზრამდე მიუყვანია, რომ „...ამ სახის ორნამენტის (ლურსმის.—დ. ხ.) სადიდე ნივთის ასაკითაც არის დაპირობებული.. ნაცარგორის მცირე ფენის მასალებში მცირე რაოდენობით წარმოდგენილი სოლისებრი ორნამენტი პატარა ზომისაა, ხოლო მესამე ფენის თიხის ჭურჭლის ფრაგმენტებზე სოლები დიდი ზომისაა“<sup>95</sup>. მკვლევარის დაკვირვება ორი სახის სოლების (ლურსმების) არსებობაზე ფაქტიური მასალითაა დასაბუთებული (ნაცარგორა., ფლავისმანი, ღრმადელე, სამთავრო, ხოვლეგორა, ბეშთაშენი და ა. შ.), მაგრამ იგივე არ შეიძლება ითქვას მათი ქრონოლოგიური მონაცვლეობის სქემის შესახებ—ღრმა ქდევით (ტვიფრვით) შესრულებული, მცირე ზომის სოლებით შემკული ჭურჭელი, ძირითადად სასმისები, დადასტურებულია, როგორც გვიანი ბრინჯაოს ადრეული საფეხურის (სამთავრო<sup>96</sup>, ბეშთაშენი<sup>97</sup> და ა. შ.), ისე ადრერკინის ხანის (ძვ. წ. X—IX სს.) მასალებში (ხოვლეგორა). ამავე დროს, შედარებით დიდი ზომის, სუსტი ტვიფრით შესრულებული ლურსმებით (სოლებით) შემკული თიხის ჭურჭელი და სხვა ინვენტარი გვხვდება როგორც გვიანი ბრინჯაოს

<sup>91</sup> საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, გვ. 159.

<sup>92</sup> Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция 1945 года в Юго-Осетию и Имеретию, Тб., 1949, გვ. 51—64. განსაკ. გვ. 60—62. სურ. 26, 1, ტაბ. XLV, 4, 5, LI, 5.

<sup>93</sup> იქვე, გვ. 60.

<sup>94</sup> გ. გობეჯიშვილი, სტალინის ნაცარგორა, გვ. 251.

<sup>95</sup> დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, ნაწ. 1, თბ., 1955, გვ. 135—137.

<sup>96</sup> ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955, გვ. 65, ტაბ. XV.

<sup>97</sup> Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 66—67.

(ფლავისმანის<sup>98</sup> და ღრმალელის სამაროვნები<sup>99</sup>), ისე ბრინჯაოდან რკინაზე გარდამავალი პერიოდისა (სამთავრო, S უბანი, ორმოსამარხები № 62 (1938 წ.), № 160 (1939 წ.)—ძვ. წ. XII—XI სს.)<sup>100</sup> და ადრერკინის ხანის მასალებში (ხოვლე IV და V, ნაცარგორა III, კენჭყარას გორა და ა. შ.). ამგვარად, სოლების (ლურსმების) ეს ორი სახეობა ქრონოლოგიურად ერთმანეთს კი არ ენაცვლება, არამედ სინქრონულად გამოიყურება. ამასთან, თუ ცალკეული სახის გავრცელების არეალს და მასიურობას გავითვალისწინებთ ვნახავთ, რომ სამწერლო ლურსმების ფორმის სოლებით შემკული ჭურჭლები მასიურადაა გავრცელებული მხოლოდ ცალკეულ რაიონებში, ხოლო სხვაგან თითო-ორი ნიმუშია დადასტურებული. ფლავისმანის ნეკროპოლის მასალებში, რომელიც ფოთლისებური სატევრით, თავხვია საკინძებით და მასრაგახსნილი შუბისპირით თარიღდება, ასეთი შემკულობის ერთი დერგია დადასტურებული (ტაბ. XXV, 19). ს. მაკალათიამ ნეკროპოლი ძვ. წ. XIII—IX სს-ით დაათარიღა<sup>101</sup>, მაგრამ მასალა, თუ კომპლექსები სწორადაა დალაგებული, როგორც ჩანს, ძვ. წ. XII საუკუნეს აღარ გადმოცდება. სამთავროში ასეთი შემკულობის ჭურჭელი ორი ცალია აღმოჩენილი. მათ შორის შავპრილა ხელადა სამხრეთ უბნის № 160 ორმოსამარხში (1939 წ.) და შავპრილა დერგი, სამხრეთ უბნის № 62 ორმოსამარხში (1938 წ.). აღნიშნულ სამარხებს ალ. კალანდაძე ძვ. წ. XII—XI სს-ით ათარიღებს. კიდევ ორი ცალი ასეთივე ჭურჭელი აღმოჩენილია ღრმალელის სამაროვანზე, ამათგან, ლეგაპრილა დიდი დორა № 4 სამარხში (ტაბ. XXV, 18) და დიდი დერგი № 6 სამარხში. დ. ქორიძე აღნიშნულ სამარხებს გვიანი ბრინჯაოს ადრეული საფეხურით ათარიღებს<sup>102</sup>. ასეთივე შემკულობის ჭურჭელი რ. აბრამიშვილმა ლაგოდების რაიონის სოფელ ახალ ულიანოვკასთან გათხრილ გვიანი ბრინჯაოს ადრეული სათიხორის ყორთანში გამოავლინა. ხოლო კ. თიკაილაურს სოფელ კაკაბეთის მახლობლად მდებარე „საბადურის გორის“ ანაკრფ მასალებში აქვს წარმოდგენილი (ტაბ. XXV, 17). მისივე ცნობით, ისტორიული კახეთის ტერიტორიაზე გამოვლენილ მასალაში ამგვარი კერამიკის მხოლოდ რამდენიმე ნიმუშია წარმოდგენილი<sup>103</sup>.

ყათნალიხვის გორას II ფენის დათარიღებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხოვლეგორის გათხრებისას აღმოჩენილ შისაბამის მასალას. აქ მსგავსი შემკულობის მხოლოდ ორიოდ ფრაგმენტი იყო აღმოჩენილი. ერთი IV ფენაში, რომელიც ძვ. წ. IX—VIII საუკუნეებით თარიღდება და ერთი კენჭყარას გორაზე, რომელიც ქრონოლოგიურად ხოვლეგორა IV—V სს-ეს შესაბა-

<sup>98</sup> ს. მაკალათია, ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი, საქართველოს მუზეუმის მოამზე, V, 1930, გვ. 231, სურ. 12—13.

<sup>99</sup> დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94, 106, 135—137, სურ. 26, 41.

<sup>100</sup> ალ. კალანდაძე აღნიშნული მასალის გაცნობისა და თარიღის მოწოდებისათვის უღრმეს მადლობას მოვახსენებ. ალ. კალანდაძეს ამ სამარხების თარიღად ძვ. წ. XII—XI სს-ში მიიჩნია, თუმცა დ. ქორიძე № 160 ორმოსამარხს გვიანი ბრინჯაოს ადრეული საფეხურის ძეგლად აღიარებს. იხ. დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 135.

<sup>101</sup> ს. მაკალათია, ფლავისმანის უძველესი ნეკროპოლი, გვ. 231, სურ. 12—13.

<sup>102</sup> დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 94, სურ. 26, გვ. 106, 135—137.

<sup>103</sup> ლიხვის, ფრონესა და დვანს წყლის ხეობათა სამოსახლო გორების დაზვერვების დროს ისტორიის ინსტ. ექსპედიციამ ლურსმებით შემკული ჭურჭლები არაერთ გორაზე აღმოაჩინა და სწორედ იმ ფენის მასალებში, რომელიც გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანით თარიღდება. დ. მუსხელიშვილი, გ. ცქიტიშვილი. შიდა ქართლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960 წ., გვ. 189—190, ტაბ. XXII, 2.



მება. ხოვლურ კერამიკაში დეკორის ეს სახე საერთოდ არაა დამახასიათებელი და ზემომითითებული ფრაგმენტი აქაურ სახელოსნოებში დამზადებულ ჭურჭელს არ უნდა ეკუთვნოდეს. სინქრონული სახელოსნოების გათხრების დროს მსგავსი დეკორის რაიმე ნიშნები აღმოჩენილი არ ყოფილა. იგი არ ყოფილა შენიშნული ნამოსახლარებისა და სამაროვანის მასალაში. მართალია, ხოვლეგორისა და ყათნალიხევი II-ის კერამიკა იჩენს გარკვეულ საერთო მსგავსებას, მაგრამ დეტალებში არსებით განსხვავებას ამჟღავნებს. ყათნალიხევი II, როგორც ჩანს, ხოვლეგორა IV—V-ის (ძვ. წ. XII—VIII სს.) სინქრონულია. ამაზე მიუთითებს სოლებით შემკული ჭურჭლის ერთეული ნიმუშები ხოვლეგორა IV-ში და მსგავსი დეკორის მასიურობა ყათნალიხევის მასალებში. კიდევ მეტი, ხოვლეგორას IV—V ფენებისა და ყათნალიხევის გორას II ფენის სინქრონულობა დასტურდება სხვა მონაცემებითაც. კერძოდ, ყათნალიხევის II ფენის კერამიკაში დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი მსხვილ სილამინარევი თიხისაგან დამზადებული უსეში ჭურჭლები (ტაბ. XXI, 13; XXIV, 1, 6), რომლებიც თიხის სტრუქტურით, მაგრამ არა ფორმით, გარკვეულ სიახლოვეს ამჟღავნებენ დას. საქართველოს წინაანტიკური ხანის ზღვისპირა ნამოსახლარების ხელით ნაძერწ უსეშ კერამიკასთან. ხოვლეგორაზე, ყათნალიხევის II ფენისათვის დამახასიათებელი ამგვარი კერამიკის მხოლოდ ორი ფრაგმენტია აღმოჩენილი: ერთი ქუსლდაკეცილი დერგისა IV ფენაში (სავ. №2093/3), ხოლო მეორე—V ფენაში (სავ. № 2367). ორივე ფრაგმენტი ხოვლეში მოპოვებული კერამიკის მთელ მასაში განცალკევებით დგას და აქაური სახელოსნოებიდან გამოსული არ უნდა იყოს. ხოვლეგორას ფენების ქრონოლოგია იქ მოპოვებული ლითონის ნაწარმით საკმაოდ კარგადაა განსაზღვრული. ამდენად, მტკვრის მარცხენა სანაპიროდან ხოვლეგორაზე მოხვედრილი, ამ კულტურისათვის უჩვეულო თითო-ოროლა ჭურჭელის დადასტურება სწორედ ისეთი ფაქტია, რასაც მნიშვნელობა აქვს ყათნალიხევის II ფენის დათარიღებისათვის. ამ მონაცემების შუქზე ყათნალიხევის II ფენა დროის მიხედვით ემთხვევა ხოვლეგორას, IV-V ფენებს, ე. ი. ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნით თარიღდება. ასეთ დათარიღებას არ ეწინააღმდეგება კერამიკის სხვა ჯგუფის შესწავლაც. კერძოდ, ყათნალიხევის II ფენაში აღმოჩენილი ძირწვეტა მინიატურული ჭურჭელი უახლოეს ანალოგიას ნახულობს კასპის ძველი სამაროვანის № 6 ორმოსამარხში (1962 წ.) აღმოჩენილ ჭურჭელთან, რომელიც მ. ბარამიძის ცნობით ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით თარიღდება. მსგავსივე ჭურჭლები აღმოჩენილია სამთავროს სამაროვანის N უბნის № 156 და № 178 ორმოსამარხებში (1940 წ.), რომელიც ტ. ჩუბინიშვილს გვიანი ბრინჯაოს ადრეული საფეხურითა აქვს დათარიღებული<sup>104</sup>.

პარალელური მასალის შუქზე ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნას მიეკუთვნება ქუსლდაკეცილი ჭურჭლებიც (ტაბ. XXI, 1—10) (ნაცარგორა III, ხოვლეგორა IV და ხოვლეგორა V), რომლებიც ყათნალიხევიში და ნაცარგორაზე<sup>105</sup> დიდი რაოდენობით გვხვდება, ხოლო ხოვლესა და სამთავროში მცირედაა წარმოდგენილი.

<sup>104</sup> ტ. ჩუბინიშვილი, მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1955, გვ. 41, 42—43, ტაბ. VI.

<sup>105</sup> Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция . . . გვ. 60, ტ. XLVII, 7—9. გ. გობეჯიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 252, 268.

ყათნალისხევის გორას II ფენის სამეურნეო ჭურჭლებიდან აღსანიშნავია დახვეწილი ფორმის, კარგად გაპრიალებული, ლეგა და შავი ფერის ძირგახვრეტილი დიდი დერგები, რომლებიც, როგორც ჩანს, მარცვლის შესანახად გამოიყენებოდა (ტაბ. XXVII, 1, 4). ერთ-ერთი უკეთ დაცული დერგი აღმოჩნდა „ბელლის“ № 4 ხაროში, რომელიც ადრე შუა საუკუნეების ალიზსამარტხს დაუზიანებია (დერგის h—70 სმ, პირის d—24,5 სმ., მუცლის d—68 სმ., ძირის d—14,5 სმ., კეცის სისქე—1,5 სმ.). სამეურნეო ჭურჭლები, როგორც აღვნიშნეთ, გულმოდგინედაა დამზადებული. იმ დროს, როცა სუფრისა და სამზარეულო, აგრეთვე, „სარიტუალო“ ჭურჭლების ჯგუფში გემოვნებით დამზადებული ნივთების გვერდით, ხელით ნაძერწი, უყურადღებოდ ნაკეთები ჭურჭელიც გვხვდება. დიდი დერგები დადასტურებულია ხოვლეგორას IV—V ფენაში, აგრეთვე, ღრმადღეს № 6 სამარხში, რომელიც დ. ქორიძეს გვიანი ბრინჯაოს ადრეული საფეხურით აქვს დათარიღებული<sup>106</sup>.

საყურადღებოა I ნაგებობაში გამოვლენილი ლეგა ფერის, მოკლეტარიანი კოვზი, დამზადებული სილამინარევი თიხისაგან (საერთო სიგრძე—7 სმ., აქედან ტარისა—3.2 სმ.) კოვზის პირი ნავის ფორმისაა (სიგანე—3,8 სმ., სიგრძე—6.5 სმ., სიღრმე—2 სმ.) და აქვს ტუჩი სითხის გადმოსაღვრელად (ტაბ. XIV, 7). ასეთი ფორმის კოვზები სხვადასხვა პერიოდის ძეგლებიდანაა ცნობილი და სპეციალურ ლიტერატურაში მათ ლითონის ნივთების, ძირითადად სამკაულის, ჩამოსხმას უკავშირებენ. შიდა ქართლში მსგავსი კოვზები აღმოჩენილია ხოვლეგორას V ფენაში (ე. წ. „ვერძისთავეებიანი ოთახი“), რომელიც ძვ. წ. XII—X სს-ით თარიღდება, აგრეთვე, დვანის ნეკროპოლის ძვ-11 ორმოსამარხის მახლობლად<sup>107</sup>, მაგრამ იმ ფენაში, რომელშიაც სამარხებია ჩაშვებული. აღნიშნულ სამაროვანს ს. მაკალათია „ადრინდელ რკინის ეპოქას“ მიაკუთვნებს და ძვ. წ. VII—VI სს-ით ათარიღებს<sup>108</sup>. რ. აბრამიშვილმა დვანის აღნიშნული ნეკროპოლი რკინის ფართო სამეურნეო ათვისების III საფეხურის ძეგლებს მიაკუთვნა და ძვ. წ. VII საუკუნის მეორე ნახევრითა და VI საუკუნით დაათარიღა<sup>109</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც დვანში<sup>110</sup>, ისე ხოვლეში თიხის კოვზებს ახლდათ წვრილი ნივთების ჩამოსასხმელი ყალიბის ფრაგმენტი. ყათნალისხევისა და ხოვლეს თიხის კოვზებს თავდაპირველად შესაძლებელია პრაქტიკული დანიშნულება ჰქონოდათ, მაგრამ ორივე კონკრეტულ შემთხვევაში ისინი საწესო ნაგებობებშია დადასტურებული და შესაწირავი საგნების ჯგუფს მიეკუთვნება. ცხადია, პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონია ურმის თვლის მინიატურულ მოდელებს (ტაბ. XIII, 8, 9, XVIII, 17, 19), რომლებიც ბევრგანაა დადასტურებული (ნაცარგორა, ხოვლე, ჯემიკენტი, მინგეჩაური და ა. შ.). ქრონოლოგიურად, ურმის თვლის თიხის მოდელები ენეოლითიდან მოყოლებული (შრეშ-ბლური...),

<sup>106</sup> დ. ქორიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 106—107, ტაბ. XX, 1, XXI, 2.

<sup>107</sup> სერგი მაკალათია, დვანის ნეკროპოლის არქეოლოგიური გათხრები, თბ., 1948. გვ. 39, ტაბ. XV, 6.

<sup>108</sup> იქვე, გვ. 40—44.

<sup>109</sup> რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის შიშვე. ტ. XXII—B, 1961, გვ. 372.

<sup>110</sup> ს. მაკალათია, დასახ. ნაშრ., გვ. 43, ტაბ. XV, 4.



გვიანანტიკურ ხანამდე გვხვდება (ტასუნოვოს ნაქალაქარი)<sup>111</sup>. ისინი, ცხადია, რეალურად არსებული ტრანსპორტის სახეობის გათვალისწინების საშუალებასაც გვაძლევს. ამიერკავკასიასა და წინააზიაში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრებით მოპოვებული მასალა ცხადყოფს, რომ ურმისა და ურმის თვლების მინიატურული მოდელები საკმაოდ რეალისტურად გადმოსცემდა ფაქტიურ ვითარებას.

ცხადია, მასალის აღწერილობა შეიძლებოდა გაგვეგრძელებია, მაგრამ დათარიღებისათვის ისინი (ცხოველთა ფიგურები, საბეჭდავები და ა. შ.) ახალს არაფერს შეიცავენ და II ფენის თარიღს, რომელიც ჩვენ ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულითა და I ათასწლეულის დამდეგით განვსაზღვრეთ, არ სცვლიან.

ამგვარად, ყათნალიხევის ბორცვის II ფენის სახით ჩვენ დადასტურებული გვაქვს ძვ. წ. II და I ათასწლეულთა მიჯნის საწესო ძეგლის ნაშთები, რომელიც, როგორც დასტურდება, ჩვეულებრივი სამოსახლოს ადგილას ჩანს წარმოქმნილი.

ყათნალიხევის გორას I ფენა აღნიშნული ფენის მასალები, როგორც მითითებული გვქონდა, მეტად მცირე ოდენობით გადარჩა. კერძოდ, მისი კვალი დადასტურდა დამცველი თხრილის იატაკზე მდებარე 60 სმ სიღრმის ფენის სახით (თხრილი I, 1958 წ.). აქ მოპოვებული მასალების შუქზე (ტაბ. XV, 5; XXIII, 12; XVIII, 16, 18, XXIV, 4) I ფენა უფრო „საერო“ ხასიათს ატარებს: აქ შენიშნული არ ყოფილა საწესო დანიშნულების რაიმე საგანი ან მისი კვალი. მასალა წარმოდგენილია ობსიდიანის რამდენიმე ანატაკეციით და საფხეკით, ძვლის ჩხირებით, ბრინჯაოს სადგისით, რომელიც კვეთში კვადრატის იძლევა, წრიული კვეთის ხის ძელების ანაბეჭდებით და თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტებით. I ფენის კერამიკა II ფენის კერამიკასთან შედარებით ოდნავ არქაულ იერს ატარებს და მისგან რიგი ნიშნებით გამოირჩევა: 1. აქ არ გვხვდება ძეორადი გამოწვის არც ერთი ფრაგმენტი, მათ შორის არც ძეღური შელესილობის დეტალები. 2. I ფენის კერამიკა უფრო სქელკეციანია და ზედაპირიც უფრო უკეთ აქვს დამუშავებული (გაპრიალეებული). ვიდრე II ფენის ჭურჭელს. 3. I ფენის კერამიკაში დადასტურებული არ ყოფილა ლურსმებით (სოლებით) შემკული ჭურჭლის არც ერთი ფრაგმენტი, რაც ასე ფართოდ იყო წარმოდგენილი II ფენის კერამიკაში. 4. I ფენის თიხის ჭურჭელი დეკორის მხრივ უფრო სადაა, ვიდრე II ფენისა.

I ფენა იმდენად მცირე ფართობზე იყო შემორჩენილი, რომ სამოსახლოს გარკვეული სურათის წარმოდგენა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ცხადი უნდა იყოს, რომ II ფენის კუთვნილი ძეგლის წარმოქმნის წინ მოსახლეობას უორა მიუტოვებია და საცხოვრებლად მდინარის პირას ჩაწეულა. ამისი საბუთია ყათნალიხევისა და სოფ. უფლისციხის სინქრონული მასალები. ჩანს, რომ გორა ქცეულა ხატად, ე. ი. იგი მიუტოვებია მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც ხატის მსახურებასთან პირდაპირი დამოკიდებულება არ ჰქონია. დაბოლოს, დროის გარკვეულ მონაკვეთში, რომელიც ბორცვის II ფენის დაღუპვას ემთხვევა, თერთა (სამოსახლოთა) და მათ სამლოცველოთა შორის არსებული შუღლი ყათნალიხევის ბორცვზე არსებული სამლოცველოს დაღუპვით დამთავრებულა. სამ-

<sup>111</sup> В. Д. Блаватский, Д. Б. Шелов, Разведки на Керченском полуострове, КСИИМК, вып. 58, 1955, гл. 104—106, стр. 41,5.

ლოცველოს განადგურების უკან იმ თემის დამარცხების სურათი ჩანს, რომელსაც აღნიშნული ხატი ეკუთვნოდა. ასეთი დასკვნის სისწორეზე მიუთითებს არა მარტო ყათნალიხევის, არამედ, უფრო მეტად, ზოვლეგორა IV—V და ნაცარგორა III-ის საწესო ნაგებობათა განადგურების სურათი.

ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ საუკუნეებში უფლისციხის მიდამოების თემთა საწესო ცენტრს კლდეში ნაკვეთი სამოსახლოსაკენ უნდა გადაენაცვლა. აქეთვე უნდა ვიგუღვოთ დაწინაურებული თემის საცხოვრისი. როგორც უფლისციხის კლდეში ნაკვეთი სამოსახლოს მასალები და სამოსახლოს შემდგომი განვითარების სურათი გვიჩვენებს. ამ მოვლენას დასაწყისი ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგიდან ეძლევა.

ამგვარად, ჩვენ მივადექით მეტად საინტერესო ფაქტს, თუ როგორ შეენაცვლა სამოსახლოს სამლოცველო და როგორ დაეცა უკანასკნელი ცალკეულ თემთა შორის ბრძოლის ნიადაგზე. იგი საუკეთესო ილუსტრაციაა კად. ნ. ბერძენიშვილის ცნობილი კონცეპციისა უძველეს გორათა წარმოქმნა-განვითარების ძირითადი გზების შესახებ<sup>112</sup>.

## 2. წინაანტიკური ხანის ძეგლები სოფ. უფლისციხიდან

1957 წელს, არქეოლოგიური კვლევა-ძიების დაწყებისთანავე, ცნობილი გახდა, რომ სოფ. უფლისციხის ტერიტორიაზე არსებობდა წინაანტიკური ხანის სამაროვანი, რომელიც მახლობლად მდებარე მოსახლობას უნდა ჰკუთვნებოდა: ადგილობრივმა მცხოვრებლებმა ექსპედიციას გადმოსცეს ბრინჯაოს სამეურნეო იარაღების კოლექცია და ერთი ორმოსამარხის ინვენტარი, რომლებიც ქრონოლოგიურად ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსა (ბრინჯაოს ნივთების კოლექცია) და I ათასწლეულის დამდეგს ეკუთვნოდა (სამარხი). მომდევნო წლებში, მშენებლობასთან დაკავშირებული მიწის სამუშაოების წარმოების დროს, წინაანტიკური ხანის კიდევ რამდენიმე სამარხი აღმოჩნდა. სამაროვანი, როგორც სამარხთა ტერიტორიული განლაგება გვიჩვენებს, საკმაოდ ვრცელი ყოფილა. სამწუხაროდ, დასახლების (ნაგებობების) დიდი სიმჭიდროვის გამო, არქეოლოგიური გათხრა არ მოხერხდა, მაგრამ შემთხვევით მოპოვებული მასალები ვარკვეულ წარმოდგენას გვაძლევენ სამაროვანის ხასიათზე.

ბ რ ი ნ ჯ ა ო ს ნ ი ვ თ ე ბ ი ს კ ო ლ ე ქ ც ი ა. შეიცავს სპილენძის ორ ნამგალსა და ბრტყელ ცულს (ტაბ. XV; 1—3). ლითონის ნამგალი, როგორც დადგენილია, აწინდელი საქართველოს ტერიტორიაზე გვიანბრინჯაოს ხანაში ვრცელდება. ოთ. ჯაფარიძემ თავი მოუყარა უძველესი ხანის შესაბამის მასალებს და დაადგინა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ყველა ნამგალი უყუნწოა, რითაც ისინი ემსგავსებიან წინააზიურ ნამგლებს და განსხვავდებიან ჩრდილო კავკასიისა და ევროპაში აღმოჩენილი ბრინჯაოს ნამგლებისაგან<sup>113</sup>.

<sup>112</sup> ნ. ბერძენიშვილი, ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, I, თბ., 1960, გვ. 19—20. ნ. ბერძენიშვილი, ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან, იქვე, გვ. 152—156, 170—172 და ა. შ.

<sup>113</sup> ო. ჯაფარიძე, მიწათმოქმედების იარაღები დასავლურ-ქართულ კულტურაში, თსუ შრომები, 49, 1953, გვ. 202—211.



სოფ. უფლისციხის ნამგლები ერთხელ კიდევ ადასტურებენ ამ აზრის სისწორეს, რამდენადაც ისინი მსგავსი იარაღის იმ ტიპს მიეკუთვნებიან, რომელიც საქართველოსათვისაა დამახასიათებელი. კონკრეტულად, ისინი ახლო მსგავსებას ამჟღავნებენ ბეშთაშენში (საფარ-ხარაბა) აღმოჩენილ ბრინჯაოს ნამგლებთან (ორმოსამარხი № 4 და № 13), რომელთა ხნოვანების ზედა საზღვრად ბ. კუფტინს ძვ. წ. XII—XI სს. აქვს მითითებული<sup>114</sup>, ხოლო რ. აბრამიშვილი მათ ძვ. წ. XIV—XIII სს-ით ათარიღებს და სათანადო, დამაჯერებელ არგუმენტაციასაც ადგენს<sup>115</sup>. ამავე ხანისა უნდა იყოს ბრინჯაოს ბრტყელი ცული, რომელიც თავისი ფორმით ახლო დგას სევანის ტბისა და სასირეთის განძის ხელეჩოებთან<sup>116</sup>. უკანასკნელი რ. აბრამიშვილმა ძვ. წ. XIII—XII სს. მიაკუთვნა<sup>117</sup>.

აღნიშნული სამეურნეო იარაღები, განსაკუთრებით კი ნამგლები<sup>118</sup>, ყათნალიხების ბორცვზე გამოვლენილ კვერის ნაშთებთან და ყურძნის წიბწებთან ერთად, აგრეთვე ხატის ბეღელი და გორაზე დადასტურებული სასოფლო-სამეურნეო კულტები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვაძლევს უფლისციხის რაიონის მოსახლეობის უძველესი მეურნეობის ხასიათზე და მის დარგობრივ თავისებურებებზე.

სამაროვანი:

ორმოსამარხი №1. აღმოჩნდა სოფელ უფლისციხის მცხოვრების დ. ზ. გაბინაშვილის სახლის სარდაფში ქვევრის ჩასაშვები ორმოს ამოღების დროს. მისი ცნობით, სამარხში უპოვნიათ ადამიანის ძვლები და თიხის სამი ცალი ჭურჭელი:

1. დოჭი, ლეგაპრიალა, პირფართო, მუცელგამობერილი (ტაბ. XXVIII, 1); დამზადებული მორგვზე კარგად გაცრილი, სუფთა სილამინარევი თიხისაგან (სიმაღლე: საერთო—24 სმ, ყელის—4 სმ, ქუსლის—0,5 სმ, d: პირისა—10,5 სმ, მუცლისა—25 სმ, ძირისა—9 სმ).

2. ქოთანი, ლეგაპრიალა, მუცელგამობერილი, ოდნავ პირგადმოშლილი (ტაბ. XXVIII, 2), დამზადებული მორგვზე კარგად გაცრილი, სილამინარევი თიხისაგან (სიმაღლე—9 სმ, d: პირისა—8 სმ, მუცლისა—12 სმ, ქუსლისა—5 სმ).

3. დიდი ჯამი, რომელიც ორმოდან ამოღების დროს დამტვრეულა და აღარ შეუნახავთ.

<sup>114</sup> Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, გვ. 70 და შმდ. ტაბ. XL, XLIV, XLVII.

<sup>115</sup> რ. აბრამიშვილი, რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, გვ. 310—311, 316—315.

<sup>116</sup> Б. А. Куфтин, Урартский „колумбарий“ у подошвы Арарата и Куро-Араксский энеолит, საქ. სახ. მუზეუმის მოამბე, XIII-B, 1947, გვ. 30, სურ. XXIII, 5—6.

<sup>117</sup> რ. აბრამიშვილი, სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი გვიანი ბრინჯაოსა და რკინის ფართო ათვისების ხანის ძეგლების დათარიღებისათვის, აკად. ს. ჯანაშიას სახ. საქ. სახ. მუზ. მოამბე, ტ. XIX—A და XXI—B, 1957, გვ. 138—139.

<sup>118</sup> აღნიშნული ნივთები, როგორც რ. ბახტაძემ გამოიკვლია, დამზადებულია დარიშხანიანი სპილენძისაგან. სპილენძის ოდენობა იცვლება 92, 69%-დან 97,40%-მდე. კალა მცირე ოდენობით (0,42%) მხოლოდ ხელეჩოში აღმოჩნდა, ხოლო ანთიმონი არც ერთ ნივთში არ დადასტურდა. ყველა მინარევი, რომელიც ნივთებშია დადასტურებული (დარიშხანი, ტყვია, რკინა), მისი აზრით, სხმულში მადნისაგანაა გადმოსული. სამივე ნივთი ჩამოსხულია და არ ატარებს კედვის კვალს.

ორმოსამარხი № 2. აღმოჩნდა სოფ. უფლისციხის მცხოვრების ი. გ. პაპიაშვილის სახლის მშენებლობის დროს, № 1 სამარხიდან აღმ-ით 70—80 მეტრის მანძილზე. სამარხში უპოვნიათ ადამიანის ძვლები და თიხის 7 ცალი ჭურჭელი: ორი ცალი ლეგაპრიალა დერგი (h—39 სმ, d—32.4 სმ, ტაბ. XIV, 4, 6), მაღალი დახვეწილი ფორმის სასმისი (h—13, 5 სმ, ტაბ. XXVIII, 3), ხელით ნაძერწი ხელიანი ტოლჩა (h—14, სმ, ტაბ. XXVII, 9), პატარა ფიალა (ტაბ. XXVII, 2), ცალყურა, კოჭობის ფორმის, ყურგანსნილი სასმისი (h—8.5 სმ, ტაბ. XXVIII, 5) და ცალყურა კოჭობი (h—15 სმ, ტაბ. XXVIII, 6).

ორმოსამარხი № 3. აღმოჩნდა ვ. პ. წიწიკაშვილის ეზოში, პურის საცხობი ნაგებობის („სათონის“) მშენებლობის დროს, № 1 ორმოსამარხის ჩრდილოეთით, 100 მეტრის მანძილზე. სამარხში უპოვნიათ კარაქის სადღვეები (h—34 სმ, ტაბ. XXVII, 6), დიდი დერგი (h—40 სმ, ტაბ. XXVII, 8), ცალყურა ქოთანის (h—15, 3 სმ, ტაბ. XVII, 10) და ცალყურა კოჭობი (h—9,3 სმ, ტაბ. XXVII, 3). ჭურჭლები ლეგაფერისაა და ზედაპირი გაპრიალებული აქვთ.

ორმოსამარხი № 4. 1960 წელს დავით ზაქარაძე გაბინაშვილის სახლის კედლის მახლობლად, სახლის კედლიდან 5 მეტრისა და № 1 ორმოსამარხიდან 12 მეტრის დაშორებით, ორმოს ამოღებისას, მიწის ზედაპირიდან 1.5 მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილა ლეგაპრიალა დოქი (h—19 სმ., ტაბ. XXVII, 11). ჭურჭლის მახლობლად შეუნიშნავთ ადამიანის ჩონჩხის ნაწილები. 1960 წ. სამარხის გათხრამ დამატებით მოგვცა პასტისა და სარდიონის რამდენიმე წვრილი მძივი და ადამიანის ჩონჩხის ცალკეული ფრაგმენტი.

ოთხივე სამარხი სინქრონული ჩანს და ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულია და I ათასწლეულის დამდეგით თარიღდება.

აღწერილი სამარხების ტერიტორიული განლაგებიდან ჩანს, რომ სოფ. უფლისციხის წინაანტიკური ხანის სამაროვანი საკმაოდ დიდ ფართობზე ყოფილა გაშლილი. სამწუხაროდ, არ მოხერხდა იმ სამოსახლოს მიგნება, რომელსაც სამაროვანი ეკუთვნოდა. სოფელი უფლისციხე, რომლის ერთი ნაწილი წინაანტიკური ხანის სამაროვანზეა გაშენებული, განლაგებულია იმ შვეული კლდეების მიდევნებით, რომლის ზურგზე კლდეში ნაკვეთი ანსამბლია წარმოდგენილი. ქვიშაქვების ინტენსიური დაშლისა და ნაშალის ასევე ინტენსიურად დარეცხვის გამო, სამაროვანი დაუფარავს 4—5 მეტრის სისქის სტერილურ შრეს, რის გამოც საძიებო სამუშაოების წარმოება დიდ სახსრებს მოითხოვს. რამდენიმე სადაზვერვო თხრილს, რომელიც სოფლის სხვადასხვა უბანში იქნა გაკეთებული, შედეგი არ მოუტია. ასეთ ვითარებაში ბუნებრივად დაისვა საკითხი სამაროვანისა და კლდეში ნაკვეთი სამოსახლოს ურთიერთობის შესახებ. იგი ჯერჯერობით საბოლოოდ გადაჭრილად არ ჩაითვლება, მაგრამ უფლისციხის შიდა ქალაქის ტერიტორიაზე გამოვლენილი წინაანტიკური ხანის მასალები, აგრეთვე, ზოგიერთი არაპირდაპირი მონაცემი საშუალებას გვაძლევს ამ საკითხში ერთგვარი სიცხადე შევიტანოთ.

### 3. წინაანტიკური ხანის მასალები შიდა ქალაქიდან

1957 წლამდე თითქმის არავინ ფიქრობდა, რომ უფლისციხის შიდა ქალაქის ტერიტორიაზე წინაანტიკური ხანის ფენები იქნებოდა. მართალია სპეციალური ლიტერატურაში ნაცადი იყო კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარის ნაგებობათა ურარტულ სამყაროსთან დაკავშირება, მაგრამ ეს უფრო მიმზიდველი ჰიპოთეზა იყო,



ვიდრე დასაბუთებული მოსაზრება. რამდენადაც ამ ხანისათვის კონკრეტული მასალა არ არსებობდა, ბუნებრივია, არგუმენტირებული მოსაზრების წამოყენებაც შეუძლებელი იყო. ჯერ კიდევ დასამტკიცებელი იყო, რომ უფლისციხეში არსებობდა ურარტული ხანის კლდეში ნაკვეთი კომპლექსები, რის შემდეგ დაისმოდა საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ კულტურულ წრეს მიეკუთვნებოდა აქაური ძეგლები. მაგრამ მასალების უქონლობის გამო საკითხს ამ კუთხიდან არავინ უდგებოდა, რის გამოც ზოგიერთი, ზოგჯერ საკმაოდ ავტორიტეტული მკვლევარიც კი, უფლისციხეს, ვარძიისა და გარეჯას, თითქმის უსაბუთოდ, ერთ ჯგუფში ათავსებდა და ხალღური კულტურის ძეგლებად მიიჩნევდა<sup>119</sup>.

1957 წელს ჩატარებული მუშაობის შედეგად გაირკვა, რომ უფლისციხის შიდა ქალაქის ტერიტორიაზე გადარჩენილია მასალა, რომელიც მიუთითებს, რომ აქ წინაანტიკურ ხანაშივე წარმოქმნილა გორას ტიპის სამოსახლო, რომლის შემდგომ განვითარებას მონათმფლობელური ქალაქი მოუცია<sup>120</sup>. იმის გამო, რომ კლდეში ნაკვეთი კომპლექსები არა ერთხელ იწმინდებოდა, უძველესი მასალა ადვილ-ადვილაა დაცული. კერძოდ იგი დადასტურდა კლდეში ნაკვეთი სამხავიანი ბაზილიკის გარშემო და აგურის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე უბანზე. აქ წარმოდგენილია შავი და ლევაპრიალა თეფშების, ქოთნების, დერგების და ცხოველის ფიგურის ფრაგმენტები (ტაბ. XXIX, 1, 2, 4, 13, 14, 15). ასეთივე მასალები დიდი რაოდენობით აღმოჩნდა შიდა ქალაქის დას. ფლატის ძირობაზე. ამიტომ ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა, როცა 1963 წ., II უბანზე, ანტიკური ფენის აღების შემდეგ უძველესი ფენა იქნა გამოვლენილი, რომელიც მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 6 მ სიღრმეზე 40 სმ სიღრმის ნაცროვანი შრის სახით იყო წარმოდგენილი. იგი დიდი რაოდენობით შეიცავდა ლევა- და შავპრიალა თიხის ჭურჭელთა ნატეხებს (ტაბ. XXIX, 3, 5—12). რომლებიც თიხის სტრუქტურით, კეცით, ფერით, დეკორით, ფორმებითა და დამუშავების ხერხებით იმდენად ზუსტად იმეორებენ ყათნალიხევის ბორცვის II ფენის კერამიკას, რომ ისინი არა მარტო სინქრონულ, არამედ უდავოდ ერთი სახელოსნო ცენტრის ნაწარმად წარმოგვიდგება. ამგვარად, გამოვლენილი მასალების მიხედვით დადასტურდა, რომ უფლისციხის შიდა ქალაქის ტერიტორიაზე გორას ტიპის სამოსახლო ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულსა და I ათასწლეულის დამდეგს წარმოქმნილა. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შიდა ქალაქის ტერიტორიაზე უძველესი მასალის გვერდით აღმოჩნდა ადრეანტიკური, ელინისტური, გვიანანტიკური და შუა საუკუნეების მასალები, ცხადი გახდება რამდენად ხანგრძლივი ყოფილა უფლისციხის ცხოვრება.

წინაანტიკურ ხანაში უფლისციხის შიდა ქალაქის ტერიტორიაზე, როგორც აღვნიშნეთ, გორას ტიპის სამოსახლო არსებულა. მაშასადამე, კლდის სახლების ამოკვეთა აქ ჯერ კიდევ წინაანტიკურ ხანაში დაწყებულა. კლდის მასივში ასეთი სამუშაოების წარმოება, ბუნებრივია, მოითხოვდა შესაბამისი სამუშაო იარაღების ქონებას. შემთხვევითი არ უნდა იყოს, რომ უფლისციხის შიდა ქალაქში მოპოვებული უძველესი მასალა რკინის სამეურნეო ათვისების I საფეხურის სინქრონულია. ამავე ხანაში განადგურდა ყათნალიხევის ბორცვზე არსებული

<sup>119</sup> C. F. Lehmann-Haupt, დასახ. ნაშრ., გვ. 43 და შმდ. იგივე ახრი 1944 წ. გაიმეორეს ისეთი კაპიტალური ნაშრომის ავტორებმა, როგორიცაა „Всеобщая история архитектуры“ (ტ. I, გვ. 125).

<sup>120</sup> დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე ახალმოპოვებული მასალების სინათლეზე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის შოამზე, ტ. XXI, №3, 1958, გვ. 370.

წარმართული სამლოცველო; ხოვლეს მაგალითის მიხედვით ვიცით, რომ ადრე-რკინის ხანაში საკულტო ადგილისა და სამოსახლოს გეოგრაფიული გამიჯვნა, თუ პირობები საშუალებას იძლეოდა, არ ყოფილა სასურველი. ხოვლეს ძველ სინამდვილეში საკმაოდ რთული სამოსახლო და საკულტო ცენტრი ტერიტორიულად განუყოფელ ერთეულადაა წარმოდგენილი. გარეგნულად განსხვავებული სურათია დადასტურებული ყათნალიხევის ბორცვზე, სადაც, ტერიტორიის უკმარობის გამო, მოსახლეობა ჩამოშორდა ბორცვს და მტკვრისპირა სამოსახლოებს შეერწყა. ძვ. წ. I ათასწლეულის დამდეგს წარმოიქმნა კლდეში ნაკვეთი სამოსახლო, რომელიც სწრაფად გაძლიერდა და, როგორც მოვლენების შემდგომი განვითარება გვიჩვენებს, დაუპირისპირდა იმ სამოსახლოებს (თემებს), რომელთაც ყათნალიხევის ბორცვის სამლოცველო ეკუთვნოდათ. ბრძოლა იმ თემის სასარგებლოდ დამთავრებულა, რომელსაც კლდეში ნაკვეთი სამოსახლო ეკუთვნოდა. თემთა შორის პოლიტიკური ჰეგემონის ძალმომრეობით შეცვლას გამოუწვევია დამარცხებული თემის სამლოცველოს დაცემა, რომლის ფუნქციები ამიერიდან გამარჯვებული თემის ხატს აუღია. კლდეში ნაკვეთი სამოსახლო ქცეულა უფლისციხის მიდამოების სამოსახლოთა (თემთა) არა მარტო პოლიტიკურ, არამედ რელიგიურ ცენტრად და ჰეგემონად. რამდენიმე საუკუნის შემდეგ კლდეში ნაკვეთი სამოსახლო საკმაოდ დიდი რაიონის ეკონომიურ ცენტრად გვევლინება, ჩოლო მისი ხატი, ახლა უკვე ტერიტორიულადაც შერწყმული მოსახლობასთან, იმდენად დიდ გავლენას იძენს, რომ ათასზე მეტი წლის შემდეგ, უკვე ქრისტიანული რელიგიის განუყოფელი ბატონობის ხანაში, შეიმჩნევა მისი გამოძახილი. ამის საბუთი უნდა იყოს ანტიოქიის მსოფლიო საეკლესიო კრების ძეგლის დების ქართული თარგმანის ბოლოში<sup>121</sup>, აგრეთვე, ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომში<sup>122</sup> შემონახული ცნობები.

უფლისციხის შიდა ქალაქის არქეოლოგიური შესწავლა დამთავრებული არ არის. შესასწავლია სწორედ ის უბნები, სადაც რელიეფის თავისებურებათა გამო, კულტურული ფენის დაშრევება იმთავითვე ინტენსიური ყოფილა. ზოგიერთ ამ უბანთაგანის გათხრის პროცესში ელინისტური ხანის დონე მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 2—4 მეტრის სიღრმეზე დადასტურდა. ამ დონის ქვეშ განლაგებულია უფრო ადრეული ფენები, რომელთა უეჭვო არსებობაზე აქამდე მოპოვებული მასალებიც მიუთითებენ<sup>123</sup>.

ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ სოფ. უფლისციხის ტერიტორიაზე გამოვლენილი სამაროვანი შიდა ქალაქის ტერიტორიაზე არსებულ წინაანტიკური ხანის სამოსახლოს ეკუთვნოდა.

უკანასკნელი პერიოდის გათხრები გვიდასტურებენ, რომ უძველესი ხანის გორა-სამოსახლოთა სამაროვნები განლაგებული იყო სამოსახლოს მახლობლად მდებარე დაბლობ ადგილებში (მცხეთის გორა და სამთავრო, ამირანის გორა და სამაროვანი, ხოვლეგორა და სამაროვანი, კენჭყარას გორა და სამაროვანი, ნაცარგორა და სამაროვანი და ა. შ.). უფლისციხის წინაანტიკური კლდეში ნაკვეთი გორა-სამოსახლოს ნეკროპოლის თანამედროვე სოფლის ტერიტორიაზე არსე-

<sup>121</sup> Ф. Жордания, Описание рукописей Церковного музея, II, გვ. 200. ივ. ჯავახიძე, ქართველი ერის ისტორია, I, 4, თბ., 1951, გვ. 89.

<sup>122</sup> ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბ., 1941, გვ. 73.

<sup>123</sup> II უბნის გათხრებმა 1963 წ. სურათი კიდევ უფრო ნათელი გახადა.



შობა დასტურდება იმ ფაქტიდანაც, რომ მდ. მტკვარი, ადრეულ შუა საუკუნეებშიც კი, უშუალოდ შიდა ქალაქის S და SO გარე კიდეებთან მიედინებოდა, ხოლო შიდა ქალაქის O და N მხარეები კლდოვანი მასივით იყო წარმოდგენილი. ამგვარად, არა მარტო წინაანტიკურ ხანაში, სოფ. უფლისციხის ტერიტორია წარმოდგენდა ერთადერთ უბანს, სადაც კლდეში ნაკვეთი სამოსახლოს სამაროვანი შეიძლებოდა ყოფილიყო. ამდენად, ყველა მონაცემი ჯერჯერობით იმაზე მიუთითებს, რომ სოფ. უფლისციხეში გამოვლენილი წინაანტიკური ხანის ნეკროპოლი კლდეში ნაკვეთ გორა-სამოსახლოს ეკუთვნოდა.

როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, უფლისციხის მიდამოებში ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან სახლებულა საკმაოდ დაწინაურებული თემები, რომელთა მეურნეობაში ინტენსიური კულტურები (ვენახი) და მოხვნითი მიწათმოქმედებაა წარმოდგენილი, რაც კულტების ხასიათშიც ნათლადაა ასახული.

უფლისციხისა და მისი მიდამოების ანტიკური ხანის ძეგლები


1. ანტიკური ხანის ძეგლები შიდა ქალაქიდან

უფლისციხეში წინაფეოდალური ხანის კომპლექსების არსებობა ადრევე იყო შეხიშნული, მაგრამ პირდაპირი მასალების უქონლობის გამო, არა ერთი ურთიერთ გამომრიცხველი მოსაზრება იყო გამოთქმული. ზოგიერთი, მაგალითად, შუა საუკუნეების კომპლექსებს ანტიკურ ხანას აკუთვნებდა და, პირიქით, ზოგჯერ, ანტიკური ხანის კომპლექსებს შუა საუკუნეებითაც ათარიღებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ძეგლზე მუშაობა ასზე მეტი წლის წინათ დაიწყო, უფლისციხის ქრონოლოგიის შესწავლაც კი, თავი რომ დავანებოთ სხვა საკითხებს (გენეზისი, ხასიათი, განვითარების ეტაპები და თავისებურებანი და ა. შ.) დიდად არ წაწეულა წინ.


უფლისციხის შიდა ქალაქის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების დაწყებისთანავე (1957 წ.), წინაანტიკური ხანის კლდეში ნაკვეთი სამოსახლოს არსებობის ნიშნების პარალელურად აღმოჩნდა მასალები, რომლებიც მიუთითებდნენ ადრეანტიკური, ელინისტური და რომაული ხანის ფენების არსებობაზე. საამისო პირველი უდავო მოწმობა ანაკრედ კერამიკაში იქნა დადასტურებული (ტაბ. XXIX, XXX), რომელშიც შუა საუკუნეების ნაწარმის გვერდით წარმოდგენილი იყო ადრეული მასალებიც. კერძოდ, აქ გვხვდებოდა სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი, აგრეთვე კრამიტის ორივე სახეობა (ბრტყელი, ღარიანი). შემდგომში, ადრეანტიკური ხანისა და მომდევნო პერიოდის ფენები, მეტ-ნაკლებად დაცული სახით, არქეოლოგიური გათხრების პროცესშიც იქნა დადასტურებული. კერძოდ, ადრეანტიკური ხანის ფენა აღმოჩნდა კლდეში ნაკვეთი ბაზილიკის NW კუთხის თავზე მდებარე წყალსაწრეტ არხში. განსაკუთრებით მდიდარი მასალები მოგვცა შიდა ქალაქის II უბნის გათხრებმა, სადაც შუასაუკუნეების ფენის ქვეშ დადგენილი იქნა ფენა გვიანანტიკური, ელინისტური, ადრეანტიკური და წინაანტიკური ხანის დონეებით. გვიანანტიკური ხანის დონე წარმოდგენილია როგორც ნაგებობებით, ისე კერამიკული ნაწარმით. აქ გამოიყოფა ორი ჰორიზონტი, რომელთაგან ზედა ადრექრისტიანულ ხანას მიეკუთვნება და ახ. წ. IV—VI საუკუნეებით თარიღდება. ამ ჰორიზონტის კერამიკული ნაწარმიდან აღსანიშნავია წერნაქით მოხატული და შეღებილი თიხის ჭურჭლის გვიანი სახე. წერნაქით შეღებილი ღარიანი და ბრტყელი კრამიტები, გვერდებდაკბილული თხელკედლიანი ქვევრები და ა. შ. (ტაბ. XXXI, 11, 21, 24, 25). ნაგებობათაგან აღსანიშნავია ალიზით ნაგები დიდი ოთხკუთხა კოშკი („კოშკი № 1“), რომელიც ქვათლილების ლოგინზე მდგარა და რამდენიმე სართული ჰქონია. ქვათლილები, როგორც ჩანს, უფრო ადრეულ ნაგებობას ჰყუ-



თვნებია, რომლის მშენებლობისას, თავის მხრივ, უფრო ადრეული ნაგებობის ნახვრევები თუ ცალკეული ფრაგმენტები ყოფილა გამოყენებული. გვიანანტიკური ხანის მეორე ჰორიზონტი, რომელიც № 1 კოშკის ჩრდილოეთითაა დადასტურებული (ნაგებობანი IV, V, VI, VII) ახ. წ. I—III საუკუნეებს მიეკუთვნება. ამ ჰორიზონტის კერამიკული ნაწარმი შეიცავს ორივე ტიპის კრამიტს, სუფრისა და სამხარეულ კურჭელს, რომელიც ითვლის როგორც სადა, ისე წერნაქით მოხატულ თუ შეღებილ ნაწარმს. ამათგან ყურადღებას იქცევს კურჭლის ფრაგმენტი გრიფონის გამოსახულებით (ტაბ. XX XII, 3), რომელიც პართული კერამიკის მიბაძვით უნდა იყოს შესრულებული. ამ ჰორიზონტის ქვევრების დიდ რაოდენობაში, უფლისციხის სინამდვილისათვის უნიკალური იყო ორი ცალი ქვევრის პირი არმაზულ ტიპის წარწერებით (ტაბ. XX II, 1, 2; სურ. 1, 2), რომლებიც ამოკაწვრითაა შესრულებული. წარწერები წასაკითხად გადაეცა აკად. გ. წერეთელს. ურბნისის ნაქალაქარზე ქვევრის პირი არმაზული ტიპის წარწერით II—IV სს-ის ფენაში იქნა აღმოჩენილი. აკად. გ. წერეთელის აზრით ურბნისის ქვევრზე სწერია: „სამსხვერპლო“, „მსხვერპლად შესაწირი“<sup>1</sup>.



სურ. 1. არამეული (არმაზული) წარწერა ქვევრის პირზე შიდა ქალაქიდან



სურ. 2. არამეული (არმაზული) წარწერა ქვევრის პირზე შიდა ქალაქიდან

ელინისტური ხანის დონე შირითადად თიხის კურჭლითაა წარმოადგენილი. აქ გვხვდება წითელი ფერით მოხატული თუ შეღებილი კურჭლები, მაგრამ სჭარბობს შავი და ლევა ფერის კარგად გაპრიალებული ნაწარმი (ტაბ. XXX I, 3, 4, 6—9, 15—20, 22). ამ დონის კერამიკიდან ყურადღებას იქცევს ერთი შავპრიალა ფრაგმენტი, რომელიც სპილოს თავს გადმოსცემს და რიტონს უნდა ეკუთვნოდეს (ტაბ. XX XII, 4). ისიც აღმოსავლური, როგორც ჩანს, ირანული კერამიკის მიბაძვით უნდა იყოს დამზადებული, მაგრამ ადგილობრივი (ირანული ჩამომავლობის?) ხელოსნის მიერ. კურჭელი გრიფონის გამოსახულებით და რიტონი სპილოს თავის ბიუსტით, შესაძლებელია, ქართლის ქალაქების ხელოსნურ ნაწილში ირანული ელემენტის არსებობის ნივთიერი საბუთიც იყოს; VI ს. მცხეთაში ასეთი ელემენტის არსებობაზე ხომ პირდაპირი წერილობითი ცნობაც მოგვეპოვება. ამაზევე მიუთითებენ შედარებით მოგვიანო ქართული წერილობითი წყაროების („მოქცევაჲ ქართლისაჲ“, წმ. ნინოს ცხოვრების უძველესი ვარიანტი, ლეონტი მროველი) ის ადგილები, რომელიც ანტიკურ ქალაქებს შეეხება. ამავე ფენაში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს შავლაკიანი კერამიკის მცირეაზიული გვიანდელი მინაბაძისა (ტაბ. XXX, 14) და ელინისტური ხანის წითელლაკიანი ჯამების ფრაგმენტები, რომლებიც პერგამული თუ ალექსანდრიული სახელოსნოების ნაწარმი ჩანს.

<sup>1</sup> ლევა ნ ქ ი ლ ა შ ვ ი ლ ი, ნაქალაქარი ურბნისი, თბ., 1964, გვ. 54, ტაბ. XIV, 4.

ამ სახის არქეოლოგიური მასალის გამოვლენამ ბუნებრივად დასვა საკითხი სინქრონული ნაგებობებისა და ძეგლების გამოვლენის შესაძლებლობაზე. 1957 წელსვე შიდა ქალაქის SO უბანზე, ცენტრალური ქუჩის აღმოსავლეთით, შუა საუკუნეების ორფენოვანი კედლის ქვეშ გამოვლინდა ქვათლილების წყობა, რომელიც უდუღაბოდ ნაგები კედლის ნაშთი აღმოჩნდა (ტაბ. XXXIII, 1). ქვათლილები ერთმანეთთან დაკავშირებული ყოფილა გარკვეული ფორმის სოლებით, რომლებიც სათანადო ფოსოებში მაგრდებოდა. ასეთი ფოსოები სპეციალურ ლიტერატურაში „მერცხლისკუდას“ სახელითაა ცნობილი. მომდევნო წლებში ამ უბანზე მსგავსი ნაგებობის კიდევ რამდენიმე ფრაგმენტი დადასტურდა (ტაბ. XXXVI). აღნიშნულ ნაგებობათა ნანგრევები გადახურული იყო შუა საუკუნეების ორი ფენით, რომელთაგან ზედა, დათარიღებული ქართლის მეფის კონსტანტინეს მონეტით, XIV—XV სს-ს მიეკუთვნებოდა. ხოლო ქვედა—XII—XIII საუკუნეებს.

ქვათლილების კედელი, აშენებული კლდეში ნაკვეთ თარაზულ საფეხურებზე, წარმოადგენდა თავისებურ „საწოლს“, რომელზედაც ალიზის კედელი იყო აღმართული. ამ აღმოჩენამ შუქი მოჰფინა იმ კიბისებურ ნაკვეთობათა რაობას, რომელიც შიდა ქალაქის კლდეში ნაკვეთი თხრილის შიდა კიდეს მიუყვებოდა. გამოირკვა, რომ უფლისციხის შიდა ქალაქის მშენებლებს სასიმაგრო კედლების ქვათლილთა პირველი რიგის დაქანებულ, კლდოვან რელიეფზე დასამაგრებლად ამოუკვეთიათ სპეციალური ბუდეები, რომელთაც კიბისებური ფორმა ჰქონია. მშენებლობის ეს ხერხი ამიერკავკასიის სინამდვილეში ურარტული ხანის ძეგლებშია ცნობილი. კერძოდ, იგი დადასტურებულია ვანის ციტადელის, თოფრახ კალესა და ჰაიკაბერდის ურარტული ხანის საფორტიფიკაციო ნაგებობათა იმ მონაკვეთებზე, რომლებიც დაქანებული რელიეფის მქონე კლდოვან მასივებზეა ნაგები<sup>2</sup>. მსგავსი კიბეები წინა აზიის კლდეში ნაკვეთ ძეგლებში არა ერთგან ყოფილა დადასტურებული (ურარტუ, ირანი, მესოპოტომია, მცირე აზია, სირია-პალესტინა და ა. შ.). ლეონარდმა შეისწავლა პაფლაგონიის შესაბამისი ძეგლები და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ მსგავსი კიბეები მაღლობ ადგილზე მდგარ წარმართულ ტაძრებთან („ღვთის ტახტთან“) მისასვლელებს წარმოადგენდა. ლემან-ჰაუბტმა გაიზიარა ლეონარდის ეს მოსაზრება, მაგრამ თავის მხრივ დაუმატა, რომ ზოგიერთ მათგანს პრაქტიკული დანიშნულებაც უნდა ჰქონოდათ<sup>3</sup>. ამავე მასალაზე დაყრდნობით აკად. ი. ა. ორბელი იძლევა კიბისებურ ნაკვეთობათა ხასიათის მეცნიერულ ახსნას და სათანადო საბუთების მოტანით ასკვნის, რომ ე. წ. „კლდის კიბეები“ დაქანებული რელიეფის მქონე კლდის მასივზე კედლების დასამაგრებლად იყო ამოკვეთილი<sup>4</sup>. ბ. ბ. პიოტროვსკი იზიარებს აკად. ი. ორბელის მოსაზრებას და ფიქრობს, რომ კლდის კიბეებს, უმრავლეს შემთხვევაში, საღმშენებლო დანიშნულება ჰქონდათ<sup>5</sup>. ამავე აზრს ემხრობა აკად. გ. ჩუბინაშვილი<sup>6</sup>.

საქართველოში საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობის ეს ძირძველი ხერხი პირველად არმაზციხის გათხრების დროს იქნა დადასტურებული, სადაც

<sup>2</sup> Н. Я. Марр и И. А. Орбели. Археологическая экспедиция 1916 г. в Ван, Петербург, 1922, гз. 10—11, ტაბ. V, 1, 2 VI, 1.

<sup>3</sup> С. F. Lehmann-Haupt. Armenia. . II, 2, გვ. 624.

<sup>4</sup> Н. Я. Марр и И. А. Орбели, დასახ. ნაშრ., გვ. 10—11.

<sup>5</sup> Б. Б. Пиотровский; Ванское царство, М., 1959, გვ. 208.

<sup>6</sup> Г. Н. Чубинашвили, Очерк развития в Грузии дофеодальной архитектуры, საბჭოთა ხელოვნება, 5, 1959, გვ. 60.



ძვ. წ. IV—III საუკუნეების ალიზით ნაგებ სასიმაგრო კედელთა ის მონაკვეთები, რომლებიც დაქანებულ რელიეფს მიუყვება, კლდეში ნაკვეთ თაროებზე დაგებულ ქვათლილებზეა აღმართული. ა. აფაქიძემ არმაზციხის მშენებლობაში დადასტურებული ეს ხერხი წინააზიურ სამშენებლო ტრადიციას დაუკავშირა და მოძებნა რიგი ნიშნები, რომლითაც არმაზციხე ურარტულ-აქემინიდურ ციხეებთან ამყდავენებს სიახლოვეს<sup>7</sup>.

საფორტიფიკაციო ნაგებობათა მშენებლობის მიზნობრივი ძველი ტრადიცია მეტად ნათლადაა შემონახული უფლისციხის შიდა ქალაქის უძველესი ფენის საფორტიფიკაციო ნაგებობებში. კერძოდ, აქ დამატებით შეინიშნება ერთი; საკმაოდ საყურადღებო დეტალი: სადაც კი კედელთა ბოლოები ებჯინება კლდოვან მასივს, კედლის ბოლოთა უკანასკნელი ქვათლილები შეშვებულია კლდეში ამოჭრილ ფოსოებში, რითაც კედელს დამატებით სიმტკიცე ეძლევა და დაცულია დაცოცების საფრთხისაგან.

უფლისციხის შიდა ქალაქის უძველესი საფორტიფიკაციო ნაგებობანი, სამწუხაროდ, ძალიან ფრაგმენტულადაა გადარჩენილი. კერძოდ, კედლები გადარჩენილია უფრო იმ ადგილებში, სადაც ჩამონარეცი ფენების დალექვა ინტენსიური ყოფილა (ტაბ. XX XVI). შიდა ქალაქის NO უბანზე ჩატარებული გათხრებისას გამოიჩინა, რომ ძვ. წ. I საუკუნეში (პომპეუსის ლაშქრობა?) ადრეული კედლები ადგილ-ადგილ საძირკვლამდე მოუთხრიათ. აღდგენილ კედელთა ზედა ნაწილი, რომელიც ისევ ალიზის აგურითაა ნაგები, დგას შედარებით ძვირად ზომის ქვათლილების ლოგინზე. ქვათლილები თავის მხრივ კლდეში ნაკვეთ საფეხურებზეა განლაგებული (ტაბ. XXX III, 2), რომლებიც, როგორც ჩანს, აღრინდელი კედლის მშენებლობისას ყოფილა ამოკვეთილი.

უფლისციხის შიდა ქალაქის უძველესი სასიმაგრო კედლები, რომელთა სიგანე 4 მეტრამდე აღწევს, როგორც აღვნიშნეთ, მიუყვება კლდეში ნაკვეთი გრანდიოზული თხრილის კედეს, რომლის სიგანე 10—15 მეტრია. ხოლო სიმაღლე 10 მეტრამდე აღწევს. თხრილი იცავს შიდა ქალაქის აღმოსავლეთ და ჩრდილო (იოლმისადგომ) მხარეებს, ხოლო სამხრეთი და დასავლეთი მხარე ბუნებრივადაა დაცული კლდის შვეული კედლით (ფლატე), რომლის სიმაღლე ზოგიერთ უბანზე რამდენიმე ათეულ მეტრს აღწევს.

ის გარემოება, რომ უძველესი სასიმაგრო კედელი, რომელიც ადრეელანისტურ ხანაზე გვიანდელი არ არის, სასიმაგრო თხრილის მიდევნებითაა აგებული, იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ ისინი ერთდროული ძეგლებია. ცხადია, აღნიშნული არგუმენტი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ კედელი თხრილზე უფრო გვიანდელი იყოს, ხოლო თხრილის გვიანდლობის, დაშვების საწინააღმდეგოდ. გარდა აღნიშნულისა, მიუთითებს ის ფაქტიც, რომ თხრილის გარეთ განლაგებულია კლდეში ნაკვეთი კომპლექსები. რომელთა ამოკვეთა შიდა ქალაქის ტერიტორიის სრული ათვისების შემდეგ ჩანს განხორციელებული. უფლისციხის შიდა ქალაქის ტერიტორიაზე წინაანტიკური ხანის გორა-სამოსახლოს არსებობის დადასტურება ბუნებრივად გვაფიქრებინებს, რომ მონათმფლობელური ქალაქის დამცველი თხრილი იმ ძირძველი ტრადიციის გაგრძელებაა, როცა წინაკლასობრივი ხანის გორა-სამოსახლოს საფორტიფიკაციო სისტემის ერთერთ ელემენტს თხრილი წარმოადგენდა (ხოვლე, მცხეთის გორა, ყათალიხევის გორა, ნაცარგორა, დაბლაგომი, ბათუმის გორა, ნაოხვამუ და ა. შ.). ცნობილი წყაროები ადასტურებენ, რომ ქართულ სამყაროში ხელოვნური

<sup>7</sup> ა. აფაქიძე, მცხეთა, ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959, გვ. 26, 36—37.

თხრილებით სამოსახლოთა და ციხეთა გამაგრების ტრადიციან ანტიკურ ხანასა და შუა საუკუნეებშიც იყო გავრცელებული (ქსენოფონტე, იაკობ ცურტაველი, ბათუმის გორა, ხოვლე, წოფი და ა. შ.). შეიძლება ვიფიქროთ, რომ უფლისციხის შიდა ქალაქის დამცველ თხრილს ახლანდელი სახე გორა-სამოსახლოს დამცველი თხრილის გადაკეთების შემდეგ მიუღია. ამგვარად, მონათმფლობელური ხანის ქალაქ უფლისციხის შიდა ქალაქის გაფორმების დრო ადრეელისისტურ ხანას არ გადმოსცილდება. ამას ადასტურებს როგორც უძველესი ნაგებობების თანმხლები მასალები. ისე თვით მშენებლობის ხერხების შესწავლა. ამ მონაცემების ვათვალისწინების შემდეგ სავსებით ბუნებრივი იყო საკითხის დასმა სინქრონული კლდეში ნაკვეთი კომპლექსების არსებობის შესახებ, რომელიც ნაწილობრივ მაინც, სავსებით მოულოდნელად გადაწყდა.

\* \* \*

1958 წ. ჩატარდა უფლისციხის შიდა ქალაქის დას. ფლატეში არსებული ორი, ე. წ. „მიუვალი გამოქვაბულის“ შესწავლა<sup>8</sup>, რომელთა შესახებ გვქონდა ცნობა, რომ სპეციალისტების მიერ ისინი მოხილული იყო დიდი სამამულო ომის წინ. მიუხედავად ამისა, მოულოდნელი შედეგები მოგვცა იმ მიუვალა კლდის სახლის შესწავლამ, რომელიც კესონურ-თაღიანი კომპლექსის მახლობლად არის განლაგებული<sup>9</sup>. გამოირკვა, რომ მითითებული „მიუვალი“ კომპლექსი თავიდანვე არ ყოფილა მიუვალი, მას ასეთი სახე, როგორც ჩანს, მიუღია ზას შემდეგ, რაც ერთ-ერთი ძლიერი მიწისძვრის დროს (?) შიდა ქალაქის დასავლეთ ნაწილი, კლდის მასივის დანგრევის გამო, ძლიერ დაზიანებულა. დღესაც კი. შიდა ქალაქის დასავლეთ ფლატის მიდევნებით განლაგებულია არა ერთა საყურადღებო კომპლექსი, რომელიც კლდის მასივის ჩამონგრევის გამო მეტნაკლებად დაზიანებულა. საბედნიეროდ, მითითებული კომპლექსი მას შემდეგ, რაც იგი მიუვალი გახდა, გამოყენებული არ ყოფილა. იატაკზე იდო 70 სმ სიმაღლის სტერილური ფენა, რომელიც ნაგებობის კედლების თანდათანობით დაშლის შედეგად წარმოქმნილა. იატაკზე, რომლის შრე (10—15 სმ) მეტი სიმკვრივით გამოირჩეოდა, აღმოჩნდა თიხის ჭურჭელთა რამდენიმე ნატეხი (ტაბ. XXX, 10—13), რომელთაც აღმოჩენის ადგილის მიხედვით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებათ. ფრაგმენტები ოთხი სხვადასხვა ჭურჭელისაა, რომელთაგან სამი შედარებით სქელკედლიან, მსხვილი სტრუქტურის თიხისაგან დამზადებულ, ლეგა და მოწაბლისფრო, გაპრიალებულ ჭურჭლებს, ხოლო მეოთხე ღია მოწითალო ფერის, თხელკედლიან (0,4 სმ.) ჭურჭელს ეკუთვნის. უკანასკნელი დამზადებულია სუფთად გაცრილი, კარგად დამუშავებული თიხისაგან და ზედაპირზე გაპრიალებული აქვს. ნაგებობის იატაკზე გამოვლენილი კერამიკული მასალა წინაელებისტური ხანისაა და ძვ. წ. V—IV საუკუნეებს მიეკუთვნება. მსგავსი კერამიკა უფლისციხის მასალებში ზამბების მოსახლობის № 1 ორ-

<sup>8</sup> გამოქვაბულების შესწავლაში მონაწილეობა მიიღეს: ი. ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს სახ. ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომლებმა, სპორტის ოსტატმა თ. ტ ა ტ ი შ ვ ი ლ მ ა, თ. თ ო რ თ ლ ა ძ ე მ და დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ მ ა, საქ. სსრ ხელოვნების სახ. მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლებმა გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ მ ა და კ. ვ ა ჩ ე ი შ ვ ი ლ მ ა.

<sup>9</sup> აღნიშნული გამოქვაბულის შესახებ სპეციალური წერილი მომზადებული აქვს გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ს.



მოსამარხშია დადასტურებული. მეორე მხრივ, იგი მხარს უბამს ხოვლეს მოსახლობის ზედაფენის კერამიკას, რომელიც ასევე ძვ. წ. V—IV საუკუნეებით თარიღდება. ნაგებობაში არ აღმოჩენილა სხვა რამ მასალა, რომელიც უფრო მოგვიანო (ელინისტური, გვიანანტიკური, შუასაუკუნეები) ან ადრეულ (წინაანტიკური) პერიოდებს მიეკუთვნებოდეს. ბუნებრივი იყო გაგვეკეთებია დასკვნა, რომ ნაგებობა მიუვალი გამხდარა ჯერ კიდევ წინაელინისტურ ხანაში, მაგრამ არა უადრეს ძვ. წ. V—IV საუკუნისა. ამ მოსაზრებას ამაგრებს შემდეგი ფაქტიც: შიდა ქალაქში ჩვენს მიერ გათხრილი ყველა კომპლექსი, დამოუკიდებლად იმისა, თუ რა ხანას ეკუთვნიან ისინი, გამოყენებული ყოფილა შუა საუკუნეებშიც. თითქმის ყველა კომპლექსში გვხვდება ერთიდან ათამდე თონე, შუა საუკუნეების კერამიკული ფრაგმენტების დიდი რაოდენობა თუ სხვა ნაწარმი, რომელსაც აქა-იქ ახლავს წინაფეოდალური ხანის თიხის ნაწარმის ნატეხები. „მიუვალ“ კომპლექსში კი, როგორც აღვნიშნეთ, გვიანდელი მასალა არ აღმოჩენილა. აქ არ შეინიშნება გვიანდელ გადაკეთებათა კვალი. რაც, როგორც წესი, გვხვდება შიდა ქალაქის წინა ფეოდალური ხანის ყველა კომპლექსში. ყველაფერი ეს, ვფიქრობთ, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ „მიუვალი“ გამოქვაბული წინაელინისტური ხანის ნაგებობაა და ძვ. წ. VI—IV სს ეკუთვნის.

„მიუვალი გამოქვაბულის“ დათარიღებამ ახლებურად დააყენა უფლისციხის შიდა ქალაქის კლდეში ნაკვეთი კომპლექსების ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფის ქრონოლოგიის საკითხი. ამ ფაქტის მნიშვნელობა ნათელი გახდება თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ „მიუვალი“ კომპლექსი, ჭერის გაფორმების მხრივ, იმეორებს ორსვეტიანი კომპლექსის (ე. წ. „თამარის სასახლე“) ძირითად დარბაზს, რომლის ბრტყელი ჭერი მზიდავ კოჭზეა დაყრდნობილი (ტაბ. XXVII, 1, XXXVIII, 1, ქვედა).

როგორც ცნობილია, აღნიშნული კომპლექსის ხნოვანებაზე მკვლევართა შორის ერთსულოვნება არ არსებობს: ერთ ჯგუფს იგი ადრეულად მიაჩნია, მეორე ჯგუფი რომაული ხანით ათარიღებს, ხოლო მესამე—განვითარებულ შუა საუკუნეებს აკუთვნებს.

კლდეში ნაკვეთ კომპლექსთა ამ ჯგუფის შუა საუკუნეებით დათარიღების საწინააღმდეგოდ მიუთითებს კიდევ ერთი უდავო ფაქტი: დადგინდა, რომ შუა საუკუნეების კლდის სახლები, კედლების ზედაპირის დამუშავების მიხედვითაც, მკვეთრად განსხვავდება წინაფეოდალური ხანის კლდის სახლებისაგან. წინაფეოდალური (მონათმფლობელური) ხანის კლდის სახლთა კედლებისა და ჭერის ზედაპირი სპეციალურადაა დამუშავებული გახეხვის გზით. ზედაპირს ადარ ემჩნევა იმ იარაღის კვალი, რომლითაც კლდის კვეთა სწარმოებდა. ამ ხანაში ზედაპირის დამუშავების ტექნიკა იმდენად დაწინაურებული ყოფილა, რომ ქვიშაქვის კედელს თითქმის ისეთივე სახე აქვს შერჩენილი, როგორიც 2000-ზე მეტი წლის წინათ ჰქონდა. სამაგიეროდ, თუ ავიღებთ შუა საუკუნის კლდის სახლებს და დავაკვირდებით კედლის ზედაპირს, ვნახავთ, რომ ამ პერიოდში კედლის ზედაპირის დამუშავება ფაქტიურად არ ხდებოდა და მას ნათლად ემჩნევა იმ იარაღების კვალი, რომლითაც კლდის კაფვა მიმდინარეობდა<sup>10</sup>. საილუსტრაციოდ შეიძლება მიგვეთითებინა კოჭურგადახურვიანი ორსვეტიანი დარბაზი (ე. წ. „თამარის დარბაზი“), რომელსაც შუა საუკუნეებში უმნიშვნელო გადაკეთება განუც-

<sup>10</sup> დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე ახალაღმოჩენილი მასალების სინათლეზე, გვ. 373.

დია, მაგრამ სადაც აშკარად შეიმჩნევა ძირეული განსხვავება კედლის ზედაპირის დამუშავების ანტიკურ და ფეოდალურ ხერხებს შორის. ამ მონაცემების შუქზე, რომელსაც მხარს უჭერს ახალგამოვლენილი არქეოლოგიური მასალები, უფლისციხის შიდა ქალაქის კლდეში ნაკვეთ კომპლექსთა დიდი ნაწილი, რომელთა ჭერი ხის კონსტრუქციების მქონე ჭერის განმეორებას წარმოადგენს, მოათმფლობელური ხანისაა. ამათგან, როგორც „მიუვალი“ კომპლექსის შესწავლამ გვიჩვენა, კოჭურ გადახურვიანი ბრტყელჭერიანი კომპლექსები ადრე-ანტიკურ ხანას (ძვ. წ. VI—IV სს-ბს) მიეკუთვნება. ხოვლეგორას გათხრებმა ცხადყო, რომ ჭერის ეს ფორმა შიდა ქართლის სინამდვილეში ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულისათვის უკვე შემუშავებული ყოფილა. ამასთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, გადასასინჯი იქნება ადრე გამოთქმული მოსაზრება, რომელშიც ასეთი კონსტრუქციის სახლსამყოფის ქართლში გამოჩენა მესხების შემოღწევასთანაა დაკავშირებული<sup>11</sup>.

„მიუვალი გამოქვაბული“ ჭერის გაფორმების მხრივ აუ სასახლის ძირითად დარბაზს ემსგავსება. იგი უფრო მეტ საერთო სიახლოვეს იჩენს იმ კომპლექსთან, რომელიც თავისი ეზოთი მაგისტრალური ქუჩის დასავლეთ კიდეზე ებჯინება და შემორჩენილი აქვს ფრონტონის (?) კვალი. მართალია, ეს კომპლექსი თავისი გეგმით და სათავსოთა სიმრავლით გაცილებით რთულია, ვიდრე „მიუვალი“ კომპლექსი. მაგრამ ძირითად ღერძზე მდებარე სათავსოები ერთმანეთს იმეორებენ არა მარტო ჭერის გაფორმებით, არამედ კონსტრუქციული აღნაგობითაც. კერძოდ, ორივეგან, კომპლექსის ეზოში გამოშვებული ოთახის ჭერი კამაროსანია. ასეთი გაფორმების ჭერი სპეციალურ ლიტერატურაში გვიანდელ მოვლენად იყო მიჩნეული, მაგრამ, როგორც ჩანს, საჭირო გახდება მათი წარმოქმნის თარიღის ადრეანტიკურ ხანაში გადატანა. ამასთან დაკავშირებით დგება კესონურ-კამაროსანი, ფრონტონიანი კომპლექსის (ე. წ. სანახაობითი კომპლექსი) დათარიღებაში ერთგვარი კორექტივის შეტანის საკითხიც, რადგან აქაც ისეთივე კამაროსანი ოთახია წარმოდგენილი, როგორიც „მიუვალსა“ და მაგისტრალური ქუჩის დასავლეთით განლაგებულ კომპლექსში. რაც შეეხება იმას, რომ „სანახაობითი კომპლექსის“ კესონები რომაული ხანას მიეკუთვნება (დიუბუა, პ. უვაროვა, შ. ამირანაშვილი), აქ შეუთანხმებელი და გაუგებართითქოსდა არაფერია—სავსებით შესაძლებელია, რომ უკვე არსებული კამარის შიგა პირი კესონური დეკორით გვიან (რომაულ ხანაში) შეამკეს, რაც, შესაძლოა, ეპოქის სუნთქვითა და კომპლექსის ახალი დანიშნულებითაც იყო ნაკარნახევი.

ამგვარად, უფლისციხის შიდა ქალაქის მთელი რიგი კლდეში ნაკვეთი კომპლექსები, განლაგებული, ძირითადად, ცენტრალურ უბანში, ადრეანტიკური ხანისა ჩანს. ამ საკითხის შემდგომი დეტალური შესწავლა სცილდება ჩვენი კომპენტენციის ფარგლებს, მაგრამ გვეჩვენება, რომ არქეოლოგიური გათხრების შედეგად ნაპოვნი იქნა საკმაოდ საიმედო საყრდენი, რომელიც საშუალებას იძლევა, ახლებურად მივუდგეთ უფლისციხის შიდა ქალაქის ქრონოლოგიის საკითხებს.

<sup>11</sup> კ. მელითაური, სახლსამყოფის ერთი სახე საქართველოში. გვ. 319.



\* \* \*

შიდა ქალაქში გამოვლენილ ძეგლთაგან განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს კლდეში ნაკვეთი 5 საწნახელი<sup>12</sup>, რომელთაგან 4 ცალი ორსვეტიანი დარბაზის (სასახლის) კომპლექსის სამხრეთ და დასავლეთ სათავსოებშია დადასტურებული (ორ-ორი ცალი თითოეულ სათავსოში), ხოლო ერთი ცალი გამოვლინდა შიდა ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, გვირაბის მახლობლად მდებარე კლდეში ნაკვეთ ღია ნაგებობაში. უკანასკნელი მდებარეობს შიდა ქალაქის „გარეუბანში“. იგი, როგორც ჩანს, ეკუთვნის რიგით მოქალაქეს და ზომების სიმცირით გამოირჩევა.

სუთივე საწნახელი აღნაგობით ერთნაირია, მაგრამ განსხვავებაა ზომებში.

**ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი № 1** (ტაბ. XL, 1, I). აღმოჩნდა (1959 წ.) კლდეში ნაკვეთ სათავსოში, რომელიც ორსვეტიანი დარბაზის (სასახლის) კომპლექსში შედის და მისგან SO-ით მდებარეობს. საწნახელი შედგება ორი ძირითადი განყოფილებისაგან: I განყოფილება, რომელიც გეგმაში სწორკუთხედს იძლევა, წარმოადგენს საკუთრივ „საწნახელს“, ე. ი. იმ ნაწილს, სადაც ყურძნის დაჭყლეტა წარმოებდა (ტაბ. XL, 1, I, 1), მისი ფართობი შეადგენს 6,3 მ<sup>2</sup> (2,8×2,25 მეტრი), ხოლო სიმაღლე დაცულია 50 სმ. II განყოფილება, რომელიც გეგმაში კვადრატს იძლევა, წარმოადგენს აუზს, სადაც ყურძნის წვენი გროვდებოდა. მისი ფართობი შეადგენს 1, 2 მ<sup>2</sup> (1×1,2 მეტრი), ხოლო მოცულობა 1,2 მ<sup>3</sup> (სიმაღლე—90—100 სმ.) ანუ 1200 ლიტრს. განყოფილებები ერთმანეთს უკავშირდება სპეციალური სადინარით, რომლის ქიგრძე შეადგენს 95 სმ-ს, ხოლო სიგანე—15—25 სმ (თანდათანობით ფართოვდება აუზისაკენ). იმის გამო, რომ საწნახლის იატაკი უფრო მაღლა მდებარეობს, ვიდრე აუზის პირი, ყურძნის დაჭყლეტისას მიღებული წვენი თვითდინებით ეშვებოდა აუზისაკენ. I განყოფილების O მხარეს, საწნახელთანვე, ამოკვეთილია სპეციალური ფოსო (75×40×25 სმ.), რომელიც ხვრელით I განყოფილებას უკავშირდება და ჭაჭის დასაწურად (საქაჯავი) უნდა იყოს განკუთვნილი. საწნახელს სამხრეთით აქვს კლდეში ნაკვეთი კიბე, რომელიც ყურძნის ჩატვირთვის გასაადვილებლადაა ამოკვეთილი. საწნახელთან საწნახის დანადგარის არსებობის რაიმე კვალი არ აღმოჩენილა და ასე-ეი რამ, როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, აქ არც იყო მოსალოდნელი.

**ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი №2** (ტაბ. XL, 2, II). აღმოჩნდა იმავე სათავსოში, I საწნახლის აღმოსავლეთით. მას გააჩნია I საწნახლის ყველა ელემენტი, და აგებული-ბითაც მას იმეორებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დამხრობას, რაც კლდის მასივის რელიეფის თავისებურებით არის გაპირობებული. მართალია, საწნახ-ლები გეგმით დმეორებენ ერთმანეთს, მაგრამ № 2 საწნახლის I განყოფილება თავდაპირველი სახით არ შემონახულა—შუა საუკუნეებში იგი დაულრმავებიათ და განყოფილებათა იატაკის დონეებს შორის ახლა ოდნავ სხვაობას (15—20 სმ.) ვადასტურებთ. I განყოფილების ფართობი 8,3 მ<sup>2</sup> შეადგენს (3,2×2,6 მეტრი), ხოლო II განყოფილების მოცულობა—0,6 მ<sup>3</sup> (1,3×1,1×0,5 მეტრი). ანუ 700 ლიტრს. საქაჯავის ზომებია: 100×45×20 სმ. I და II განყოფილებების შემაერთებელი არხის სიგრძეა 140 სმ., ხოლო სიგანე—15—28 სმ.

<sup>12</sup> დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, ახალი მასალები ელინისტური ხანის ქართლის ქალაქების მეურნეობის ისტორიისათვის, საქ. მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოაპბე, 1963 წ., № 2, გვ. 114—127.

ორივე საწნახლის აუზში გამართული იყო შუა საუკუნეების თონეები, ხოლო განყოფილებათა შემაერთებელი ღარები თონეთა „სასულედ“ იყო გამოყენებული.

ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი № 3 აღმოჩნდა ორსვეტიანი ღარბაზის დასავლეთით, იმ სათავსოში, რომელიც ფლატის პირას ყოფილა განლაგებული და კლდის ჩამონგრევის გამო, სანახევროდ-ღა არის გადარჩენილი. სასახლის ჩრდილო სათავსოდან, სადაც თერთმეტ ქვევრიანი მარანია გამართული. საწნახლებიანი სათავსოსაკენ ამოკვეთილია სპეციალური სარკმელი, რომელიც, როგორც ჩანს, საწნახლებიან სათავსოსა და სასახლის კარის მარანს აკავშირებდა. კლდის ჩამონგრევას დაუზიანებია არა მარტო სათავსო, არამედ № 3 საწნახლის I განყოფილებაც, ხოლო ამ დაზიანების გარდა, როგორც № 3, ისე № 4 საწნახლების I განყოფილებები შუა საუკუნეებში II განყოფილების (აუზის) პირის დონემდე მოუკაფიათ და ახლა კონტურების კვალიაა გადარჩენილი. აუზებში კი, შუა საუკუნეების რომელიღაც მონაკვეთში დიდი თონეები გაუმართავთ, ხოლო სადინარი არხები „სასულეებად“ გამოუყენებიათ. თონეების გამართვის დროს დაუზიანებიათ აუზებიც, მაგრამ იმდენად უმნიშვნელოდ, რომ თავდაპირველი სახე სავსაოდ კარგადაა დაცული.

ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი № 4 აღმოჩნდა № 3 საწნახლის გვერდით, ოდნავ ჩრდილოეთით. მისი დაცულობაც ისეთივეა, როგორც № 3 საწნახლისა.

ამგვარად, სასახლის კომპლექსში აღმოჩნდა ოთხი საწნახელი, რომლებიც ყველა ნიშნით ერთ პატრონსა და ერთ პერიოდს მიეკუთვნებიან, მაგრამ გარკვეული მორიგეობით არიან ამოკვეთილი. როგორც ჩანს, შემოსავლის განუზრეღ ზრდას დაუსვამს საკითხი დამატებითი საწნახლების საჭიროებაზე. ჯერ ამოუკვეთიათ ერთი საწნახელი, მაგრამ საბოლოოდ სასახლის პატრონთა შემოსავლის გადამუშავებაზე უკვე ოთხი საწნახელი ყოფილა დაკავებული. რომ ეს ფაქტორი არა, ყოვლად წარმოუდგენელი იქნებოდა ასეთ მნიშვნელოვან ადგილას (სასახლის გვერდით) ფართობი უსარგებლო ნაგებობებით დაეკავებინათ. მაშასადამე, სასახლის კომპლექსის სათავსოებში განლაგებულ კლდეში ნაკვეთ საწნახლების პატრონი ყურძნის დიდი შემოსავლის მქონებელია. იმის შესახებ, თუ როგორია ამ შემოსავლის წყარო, ჩვენ სხვა ადგილას გვქონდა საუბარი<sup>13</sup> და აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

ს ა წ ნ ა ხ ე ლ ი № 5 აღმოჩნდა (1961 წ. V უბანი) შიდა ქალაქის SO ნაწილში; გვირაბის მახლობლად მდებარე კლდეში ნაკვეთ ღია ნაგებობაში. საწნახელი, რომელიც გეგმით იმეორებს ზემოაღწერილ საწნახლებს, შუა საუკუნეებში ძლიერ დაზიანებულა. კერძოდ, I განყოფილებიდან გადარჩენილა მხოლოდ ორი კედელი (O და S), რომლებიც იმავე დროს, ნაგებობის კედლებიც ყოფილა. ორი სხვა კედელი კი (N და W) მოუკაფავთ. II განყოფილებაში (აუზი) შუა საუკუნეებში გაუმართავთ ჯერ დიდი თონე, რომლის დაზიანების შემდეგ მასში უფრო მომცრო თონე ჩაუდგამთ. საწნახლის განყოფილებათა შემაერთებელი ღარი თონის გამართვის დროს ოდნავ გადაუკეთებიათ და „სასულედ“ გამოუყენებიათ. საწნახლის I განყოფილების ზომებია:  $2,2 \times 1,5 \times 0,6$  მეტრი, მეორე განყოფილებისა— $1 \times 0,95 \times 0,7$  მეტრი (მოცულობა:  $0,665$  მ<sup>3</sup>, ანუ 665 ლიტრი.

<sup>13</sup> დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 120—126.



შიდა ქალაქის ამ უბანზე, რომელსაც პირობით „კლდეკარის უბანი“ შეიძლება ვუწოდოთ, მხოლოდ ეს ერთი საწნახელი დადასტურდა (იმის მოწმობა, რომ ძველი უფლისციხელები სულაც არ იყვნენ გატაცებული ისეთი საქმიანობით, თუნდაც საწნახლების ამოკვეთით, რასაც პრაქტიკული მიზანი არ ექნებოდა), სასახლის უბნის ოთხი საწნახლის წინააღმდეგ. ამის გვერდით, ამ უბნის ნაგებობათა მოცულობითი სიმცირე, არქიტექტურული სიმარტივე და საერთო შინაარსობრივი სიღარიბე მათ მცხოვრებელთა არც თუ მაღალ საზოგადოებრივ მდგომარეობაზე და ეკონომიურ სისუსტეზე უნდა მიუთითებდეს. ამის გამო, ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ № 5 საწნახელი რიგით მოქალაქეს, შესაძლებელია სულაც რიგით მოქალაქეთა მთელ უბანს ემსახურებოდა, რომელთა მოვალეობას, ალბათ, შიდა ქალაქის კარების დაცვაც შეადგენდა.

უფლისციხის შიდა ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილი კლდეში ნაკვეთი საწნახლების დათარიღებისათვის, პირდაპირი მასალების უქონლობის გამო, სხვა რიგის მონაცემებს უნდა დავეყრდნოთ: 1. კომპლექსი, რომლის სათავესაც განლაგებულია პირველი ოთხი საწნახელი, რომორც ნაჩვენები იყო (იხ. ზემოთ), ადრეანტიკურ ხანას მიეკუთვნება. ცხადია, ეს ფაქტი სრულებითაც არ მიუთითებს იმაზე, რომ ნაგებობანი და საწნახლები ერთდროულად იყო ამოკვეთილი. მაგრამ მისი მხედველობიდან გაშვებაც არ იქნებოდა მართებული, რადგან საწნახლები, ყველა მონაცემების მიხედვით, წინაფეოდალურ ხანაში ჩანს ამოკვეთილი. ამაზე ორი უდავო ფაქტი მიუთითებს: ა) ხუთივე საწნახელი, შუა საუკუნეებში, არადანიშნულებისამებრ ყოფილა გამოყენებული (ზოგიერთ მათგანს მნიშვნელოვანი გადაკეთებაც განუცდია, ყველა საწნახლის აუზში გამართულია თონე), ბ) შუა საუკუნეების საწნახლები სულ სხვა ფორმისაა, ვიდრე უფლისციხის შიდა ქალაქის საწნახლები. კერძოდ, უფლისციხის შიდა ქალაქის აღმოსავლეთით, ე. წ. სალიზვარის ხევსა და მის მიდამოებში აღმოჩენილი კლდეში ნაკვეთივე საწნახლები (1962 წ.), რომლებიც ერთ-ერთი საწნახლის იატაკზე აღმოჩენილი ვერცხლის მონეტის მიხედვით XII—XIII სს-ის მიჯნაზეც ყოფილა გამოყენებული სულ სხვა აღნაგობისაა (ტაბ. XLI), ვიდრე შიდა ქალაქის საწნახლები. ისინი იმეორებენ საქართველოს სხვა რაიონებში აღმოჩენილ შუა საუკუნეების საწნახლებს (ვარძია, ფია, ახჩია, ვაღმა ჭაჭკარი და ა. შ.<sup>14</sup>). თუ გავიხსენებთ, რომ პალესტინაში, ახ. წ. VI საუკუნის ქართულ მონასტერში დადასტურებული საწნახელი ისეთივე აგებულებისაა<sup>15</sup>, როგორიც შუა საუკუნეების ქართული საწნახლები. ცხადი გახდება, რომ საწნახლის ის ტიპი, რომელსაც წინ უსწრებს შიდა ქალაქში აღმოჩენილი საწნახლები, შემუშავებული ყოფილა ახ. წ. VI საუკუნემდე, ე. ი. წინაფეოდალურ ხანაში. სამწუხაროდ, მასალების უქონლობის გამო, ჯერ-ჯერობით არ ხერხდება განსაზღვრა, თუ როდის და რო-

<sup>14</sup> Г. Гаприндашвили, Пещерный ансамбль Вардзиа, Тб., 1960, გვ. 86 და შმდ. სურ. 20, 22, ტაბ. 31—33. გ. გაფრინდაშვილი, XI-XII სს. ანანაურის კლდის სოფელი ვარძიის ქვაბთა ანსამბლში: კრებულში „საქართველოს მღვიმეები და გამოქვაბულები“, I, თბ., 1963, გვ. 142 — 143, ნახ. 15, 24, 27—29, სურ. 8, 16. კ. მელითაური ვარძიის საღმრთნებლო-ხუროთმოძღვრული შესწავლის საკითხები, თბ., 1961, გვ. 56—57, 65, სურ. 95, 97, 108, 109. ა. ბოხოჩაძე, მევენახეობა-მეღვინეობა ძველ საქართველოში \*განათხარი მასალის მიხედვით, თბ. 1963.

<sup>15</sup> Virgilio Corbo, Gli scavi di Khirbet Siyar-el Ghanam, Gerusalemme, 1955, გვ. 118, სურ. 31, გვ. 128, სურ. 38. გ. წერეთელი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბ., 1960, გვ. 8, ტაბ. II.

გორ მოხდა საწნახლების I ტიპის (შიდა ქალაქი) განვითარება საწნახლების II ტიპად (სალიზვარის ხევი და ა. შ.). არსებული მასალების საფუძველზე შეიძლებოდა მხოლოდ იმის აღნიშვნა, რომ ეს პროცესი გვიანელინისტური ხანიდან შეიძლებოდა დაწყებულიყო და გვიანანტიკურ ხანაში მომთავრებულიყო.

2. უფლისციხის შიდა ქალაქის საწნახლების დათარიღებისათვის საყურადღებო და პირდაპირ მონაცემებს იძლევა პარალელური ძეგლები; კერძოდ, საწნახლების ამ ტიპს იმეორებენ ყირიმში (ტირიტაკი, მირმეკიონი, პანტიკაპეა, დაბა პარტიზანო) აღმოჩენილი ადრეული საწნახლები, რომლებიც ძვ. წ. III—II სს-ით თარიღდებიან<sup>16</sup>. როგორც ვ. ფ. გაიდუკევიჩი აღნიშნავს, ძვ. წ. III—II სს-ის საწნახლებისათვის დამახასიათებელია საწნახო დანადგართა უქონლობა. პრიმიტიული საწნახო დანადგარი პირველად II საუკუნეში ჩნდება, მაგრამ როგორც ტექნიკური სიახლე და მხოლოდ I საუკუნეში იქცევა იგი საწნახლის აუცილებელ ელემენტად, რასაც მოყვა შესაბამისი ცვლილებები საწნახლის კონსტრუქციაში<sup>17</sup>. ძვ. წ. III საუკუნის საწნახლებში დადასტურებულია ე. წ. საქაჯავი ( таранан ), რომელიც საწნახო დანადგარის გამოჩენის პარალელურად გამოდის ხმარებიდან და მხოლოდ საოჯახო წარმოებაში ინახავს თავს<sup>18</sup>. უფლისციხის შიდა ქალაქის საწნახლებს, როგორც აღვნიშნეთ, არ გააჩნდათ საწნახო დანადგარი, მაგრამ ჰქონდათ საქაჯავი. ამ ნიშნით, ისევე როგორც საერთო აღნაგობით, ისინი იმეორებენ ადრეელინისტური ხანის ყირიმულ საწნახლებს, აგრეთვე. პალესტინის კლდეში ნაკვეთი საწნახლების უმარტივეს ტიპს<sup>19</sup> (ტაბ. XL, 2—2,3). თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ძვ. წ. IV—III საუკუნეები არის უფლისციხეში გრანდიოზული საქალაქო მშენებლობისა და საქალაქო ეკონომიკის აღმავლობის ხანა, აგრეთვე, პარალელური ძეგლების მონაცემებს და სხვა არაპირდაპირ მასალებს, უფლისციხური უძველესი საწნახლები ძვ. წ. IV—III საუკუნეების ძეგლებად წარმოგვიდგებიან<sup>20</sup>.

\* \* \*

ბუნებრივია, ამავე ხანას მივაკუთვნოთ შიდა ქალაქის ძირითადი შესასვლელი, რომელიც სპეციალური კლდეკარით არის წარმოდგენილი (ტაბ. XXXIX, 2). კლდეკარის სიგრძე 50 მეტრამდე აღწევს, ხოლო სიგანე 2 მეტრზე მეტია. იგი იწყება შიდა ქალაქის SO კიდესთან, ფლატის ძირას და უერთდება მაგისტრალურ ქუჩას, რომელიც შიდა ქალაქს აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილებად ყოფს (ტაბ. I). კლდეკარი სპეციალური კოშკით, ხოლო ადგილ-ადგილ კედლებითაც ყოფილა გამაგრებული. უფლისციხის კლდეკარი, როგორც შიდა ქალაქის შესასვლელის სახე, მონათმფლობელური ხანის იბერიის ქალაქების სინამდვილეში ერთად-ერთ ძეგლს არ წარმოადგენს. როგორც ა. აფაქიძემ დაადგინა, საგანგებო კლდეკარი, რომლითაც დედაციხე ქალაქს უკავშირდებოდა,

<sup>16</sup> В. Ф. Гайдукевич, Виноделие на Боспоре, МИА СССР, 85, 1958, გვ. 352.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 373 და შმდ.

<sup>18</sup> იქვე, გვ. 437 და შმდ.

<sup>19</sup> G. Dalman, Arbeit und Sitte in Palästina, B. IV, Brot, Öl und Wein, Schriften des Deutschen Palästina-Instituts, B. VII, Cütersloh, 1935, გვ. 360, სურ. 102

<sup>20</sup> დ. ხახუტაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 119.



ჰქონდა იბერიის დედაქალაქსაც<sup>21</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ უფლისციხის არქეოლოგიური შესწავლისათვის საყურადღებო საკონტროლო მონაცემებს ვპოულობთ დედაქალაქობის ხანის მცხეთის არქეოლოგიურ მასალებში, მათ შორის მონაცემებს ქალაქების ისტორიულ ტოპოგრაფიაზე.

შიდა ქალაქის უძველესი ნაგებობების განლაგება პირდაპირ მიუთითებს, რომ ქალაქის გეგმარების ძირითადი სქემა შემუშავებული იყო არაუგვიანეს ადრეელინისტური ხანისა. ქალაქის ეს ნაწილი გაყოფილია სამ უბნად, რომლისგან პირველი ორი წარმოდგენილია ცენტრალური ქუჩის მარცხნივ და მარჯვნივ გახლაგებული კომპლექსებით. აქ კლდის სახლთა ერთი ნაწილი უშუალოდ მაგისტრალურ ქუჩაზე გამოდის, ხოლო მათ უკან განლაგებული კომპლექსები გვერდითი ქუჩებით ანხორციელებდნენ კომუნიკაციას. მაგისტრალური ქუჩა მთავრდება იმ კომპლექსებთან, რომელთა ჯგუფში ე. წ. პილასტრებიანი, ხელის გამოსახულების მქონე დარბაზიც შედის. მაგისტრალურ ქუჩას დასასრულთან უერთდება ორი გვერდითი ქუჩა, რომლებიც სამხრეთიდან საზღვრავენ შიდა ქალაქის მესამე (ჩრდილო) უბანს. მას ჩრდილო და სამხრეთ ნაწილებად ყოფს მაგისტრალური ქუჩის პერპენდიკულარულად (O—W) ამოკვეთილი ქუჩა. შიდა ქალაქის ქუჩები ბორბლიანი ტრანსპორტის მოძრაობისათვის არ არის განკუთვნილი. რაც რელიეფის თავისებურებითა და ქალაქის ამ ნაწილის საერთო ხასიათით უნდა აიხსნებოდეს.

მცირე კლდეკარის ქვეშ გადის გრანდიოზული გვირაბი, რომელიც კლდეკარის თავზე მდებარე მოედანზე იწყება და მდ. მტკვარზე ეშვება. მართალია, გვირაბის დათარიღებისათვის ჩვენ პირდაპირ მასალები არ გავაჩნია, მაგრამ არაპირდაპირ მონაცემებს თუ გავითვალისწინებთ, ისიც შიდა ქალაქის თავდაპირველი გეგმით ამოკვეთილად წარმოგვიდგება. ამ მხრივ შეიძლება იყურადღებოდა მიგვექცია ერთი დეტალისათვის: უბანი, სადაც გვირაბი იწყება გაფორმებულია არა უგვიანეს ძვ. წ. IV—III სს-სა (გვირაბის მახლობლად მდებარე ერთ-ერთ კომპლექსში დადასტურდა ერთი უძველესი საწნახელთაგანი). ამ დროს, შიდა ქალაქის მთელი ტერიტორია ათვისებულია. რომ გვირაბის ამოკვეთა შიდა ქალაქის მშენებლობის თავდაპირველი გეგმით არ იყოს განხორციელებული, მაშინ გვირაბს, რომლის შესასვლელის დიამეტრი 4—5 მეტრია, უნდა დაეზიანებია აქ არსებული კომპლექსები, მაგრამ დაზიანებული კომპლექსების ნაცვლად გვირაბში ჩასასვლელის გარშემო ვადასტურებთ თავისუფალ მოედანს, რომელიც მოედნის გარშემო განლაგებულ კლდეში ნაკვეთ კომპლექსთა იატაკთან შედარებით საკმაოდ მაღლა მდებარეობს. ამ მონაცემების მიხედვით ეს მოედანი იმთავითვე იყო დატოვებული. მაშასადამე, გვირაბი შიდა ქალაქის თავდაპირველი გეგმითაა ამოკვეთილი და ადრეელინისტური ხანის ძეგლია. როგორც ირკვევა, მონათმფლობელური ხანის შიდა ქართლის (და, როგორც ჩანს, არა მარტო შიდა ქართლის) ქალაქს, უნდა ჰქონოდა მდინარეზე საიმედო მისასვლელი, ამიტომაცაა, რომ შიდა ქართლის უძველესი ქალაქები სწორედ მდინარის მიყოლებითაა განლაგებული (გორი, კასპი, უფლისციხე, მცხეთა, რუსთავი და ა. შ.). მდინარეზე საიმედო მისასვლელის ქონება უკავშირდება არა მარტო თავდაცვის საკითხს (გარემოცვის დროს წყლით მომარაგება, მაშველი ჯარებისა და სურსათის მიღება...), არამედ, საერთოდ, ქალაქის მეურნეობასაც. დასტურდება, რომ

<sup>21</sup> ა. აფაქიძე, არმაზციხის ლოკალიზაციის საკითხისათვის, ივ. ჯავახიშვილი სახ. ისტორიის ინსტიტუტის შრომები, IV, 1, 1958, გვ. 97.

შიდა ქართლის უძველეს ქალაქებს სამდინარო ნავსადგურებიც ჰქონდათ, რაც ქალაქის ეკონომიკაში წყლის ტრანსპორტის გარკვეულ მნიშვნელობაზე მიუთითებს<sup>22</sup>.

\* \* \*

უფლისციხის შიდა ქალაქის ანტიკური ძეგლების მიმოხილვისას, შეიძლება გავკრით მაინც შევხებოდით უფლისციხის დიდ კლდეკარს<sup>23</sup>, რომელიც, მართალია, შიდა ქალაქის ტერიტორიაზე არ მდებარეობს (განლაგებულია მისგან ჩრდილოეთით 700—800 მეტრზე), მაგრამ მისი გაგება მხოლოდ შიდა ქალაქთან და საერთოდ ქალაქთან კავშირში თუ შეიძლება. დიდი კლდეკარი წარმოადგენს კლდის მასივში ამოკვეთილ თავლია გვირაბს, რომლის სიგრძე 150 მეტრია, სიგანე—2,5 მეტრი, ხოლო სიმაღლე ადგილ-ადგილ 10 მეტრამდე აღწევს.

უფლისციხის დიდი კლდეკარი, რომელსაც ბორბლიანი ტრანსპორტის მოძრაობისათვის დღესაც იყენებენ (ტაბ. XXXIX. 1), იმ გზაზე მდებარეობს, რომელიც სოფ. უფლისციხეს ნადარბაზევის გზით კასთან აკავშირებს (უფლისციხე, აღუანთ ხევი, დიდი კლდეკარი, კოტალაკები, ყვავის საყდარი, ახაშნების წყარო, სოფ. ავაზანი, ავაზნების წყარო, ნადარბაზევის ტბა, სოფ. ნადარბაზევი, ნადარბაზევის ხევი, აშურიანის ველი და კასპი). როგორც ცნობილია, უფლისციხე მდებარეობდა ანტიკური ხანის ორ პუნქტს შორის: მისგან აღმოსავლეთით კასპი იყო, ხოლო დასავლეთით—გორი. „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ცნობით, მონათმფლობელური ხანის კასპი და უფლისციხე მჭიდროდ ყოფილან დაკავშირებული. ძეგლის მიხედვით უფლისციხე ჯერ კიდევ წინაელისტურ ხანაში კასპის ციხეს წარმოადგენდა<sup>24</sup>. წყაროს ეს ცნობა, თუ პირდაპირი მნიშვნელობით გაგებას შეეცდებით, მთლად ნათელი არ არის. მაგრამ გადამწერის მიერ ხელნაწერის დამახინჯების შესაძლებლობას თუ გამოვრიცხავთ და ცნობას ჩვენამდე შემონახული სახით ავიღებთ, შეიძლება მასში ის ვითარება დავინახოთ, როცა კასპი გარკვეული ადმინისტრაციული ერთეულის (კასპის სასპასპეტო?) ცენტრი იყო, რომელშიც უფლისციხეც შედიოდა. ცხადია, VII საუკუნის ავტორი შეიძლება შეცდომაში შეეყვანა სახელწოდებას „უფლისციხე“ („ციხე“), მით უფრო, რომ ამ დროისათვის უფლისციხის ძირითადი მნიშვნელობა, როგორც ჩანს, მართლაც ციხის სახით იყო წარმოდგენილი, ხოლო ქალაქს დაქვემდებარებული მნიშვნელობა ჰქონდა. ასეთი ვითარება სწორედ ადრე შუა საუკუნეების ქალაქებისათვის იყო დამახასიათებელი (უჯარმა, წოფი, არტანუჯი, ადრეული თბილისი და ა. შ.)<sup>25</sup>.

წერილობითი წყაროების ცნობათა საფუძველზე დადგენილი იყო, რომ ადრეელისტური ხანის ამიერკავკასიის ქვეყნებზე (ალბანია, იბერია, კოლხე-

<sup>22</sup> დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, ანტიკური ხანის უფლისციხე... გვ. 372.

<sup>23</sup> შიდა ქალაქის კლდეკარს ჩვენ „მცირე კლდეკარს“ ვუწოდებთ.

<sup>24</sup> Е. Такайшвили, Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, т. II, Тифлис, 1906—1912, გვ. 708.

<sup>25</sup> დ. ხ ა ხ უ ტ ა ი შ ვ ი ლ ი, მონათმფლობელური საქართველოს ქალაქების გენეზისისა და რაობის საკითხისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 1961 წ. № 2, გვ. 308—311.



თი) გადიოდა იმ ხანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სატრანზიტო—სავაჭრო გზა (აკად. ს. ჯანაშია, ოთ. ლორთქიფანიძე და სხვ.). ბუნებრივი იყო გვეფიქრა, რომ აღნიშნულ გზას უნდა გაევიღო ისეთ საქალაქო ცენტრთანაც, როგორც უფლისციხე იყო. სწორედ ამ მონაცემების შუქზე მიიქცია ყურადღება უფლისციხის დიდმა კლდეკარმა (აღგ. „კლდი ორღობე“), რომელიც აღრევე. აკად. ნ. ბერძენიშვილმა საქართველოს უძველეს კლდეკართა რიცხვს მიათვალა<sup>26</sup>. ყველა მონაცემი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ უფლისციხის დიდი კლდეკარი უფლისციხეში საქალაქო ცხოვრების აღმავლობის ხანას დაეუკავშიროთ და ძვ. წ. IV—III სს-ით დავათარილოთ. კლდეკარისა და ნათანადო ტოპონიმიკური მასალის გათვალისწინებით, ჩვენ საშუალება გვეძლევა დავადგინოთ ამიერკავკასიაზე გამავალი ერთ-ერთი უძველესი და დიდმნიშვნელოვანი სავაჭრო გზის გარკვეული მონაკვეთის ზუსტი ტრასა: კასპი, აშურიანის ველი, ნადარბაზევის ხევი, სოფ. ნადარბაზევი, ნადარბაზევის ტბა, სოფ. ავაზნები, ახაშენების წყარო, ყვავის საყდრის მინდორი, კოტალაკები, დიდი კლდეკარი, აღუანთ ხევი, სოფ. უფლისციხე, მცირე კლდეკარი და შიდა ქალაქი. გორისაკენ: შიდა ქალაქი—სოფ. უფლისციხე, დაბა ადგილი ბამბებში, დაბა ყათნალიხევეში, ლალაანთ ხევეში, დაბა ღრმა ხევეში, ფარჩოს ხევი, გორი (იხ. რუკა).

ამგვარად, უფლისციხის შიდა ქალაქში გამოვლენილი იქნა დღემდე უცნობი მასალები, რომელთა შუქზე ახლებურად ისმის ქართული კულტურის ამ უნიკალური ანსამბლის წარმოქმნა-განვითარების ძირითადი საკითხები. მოპოვებულია საყურადღებო მასალები მონათმფლობელური იბერიის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი საქალაქო ცენტრის სოციალური და ეკონომიური ყოფის, ისტორიული ტოპოგრაფიის, მშენებლობის ხელოვნებისა და კულტურის ისტორიის, გზებისა და სატრანსპორტო საშუალებათა ხასიათის, თუ ცხოვრების სხვა მხარეების შესწავლისათვის. უკვე აღნიშნული იყო რომ უფლისციხის შიდა ქალაქის მასალების მიხედვით, ქალაქის მშენებლობაზე დასაქმებული ყოფილა მონების დიდი რაოდენობა<sup>27</sup>. მონათმფლობელური ხანის ქართლის ქალაქების შესწავლაში ამ ფაქტების მნიშვნელობაზე ფართო საუბარი შრომის მეორე ნაწილში უფრო იქნებოდა გამართლებული.

მაგრამ უფლისციხის არქეოლოგიური შესწავლა შიდა ქალაქით არ განსაზღვრულა. ძნელი იყო კლდეში ნაკვეთი კომპლექსები ცალკე მდგარ. დამოუკიდებელ უჯრედად მიგვეჩნია და არ გვეფიქრება, რომ მის გარშემო წინა ფეოდალური ხანის არა ერთი საყურადღებო ძეგლი იქნებოდა წარმოდგენილი. ჩატარებულმა კვლევა-ძიებამ სავსებით დაადასტურა ამ ვარაუდის საფუძვლიანობა და მოგვცა ახალი მასალები მონათმფლობელური ხანის ქართული ქალაქის მეურნეობაზე, აღნაგობაზე, სოციალურ ყოფაზე თუ ცხოვრების სხვა მხარეებზე.

## 2. ანტიკური ხანის მოსახლეობა აღბილ ბამბებში

ბ ა მ ბ ე ბ ი ს ნ ა მ ო ს ა ხ ლ ა რ ი მდებარეობს კლდეში ნაკვეთი ნაქალაქარის დასავლეთით 0,5 კმ, აღუანთ ხევის მარჯვენა მხარეზე, სოფ. უფლისციხის ქ. გორთან დამაკავშირებელ გზას და მდ. მტკვარს შორის, მდ. მტკვრის მარც-

<sup>26</sup> ნ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან (აგრანი), ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის „იმომხილველი“, II, 1951, გვ. 40.

<sup>27</sup> დ. ხახუტაიშვილი, ანტიკური ხანის უფლისციხე... გვ. 372—375.

ხენა ნაპირთან (იხ. რუკა). ნამოსახლარის დიდი ნაწილი მდინარის მოძალეების გამო დაღუპულა და შვეულ ფლატეში დღესაც კარგად შეინიშნება ძველი ნამოსახლარების დონე, რომელიც მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 2,5—4 მეტრის სიღრმეზე მდებარეობს.

1958 წლიდან წარმოებული გათხრები მიზნად ისახავდა ნამოსახლარის ხასიათსა და ხნოვანების განსაზღვრას.

გათხრითი სამუშაოების დაწყების წინ გაიწმინდა ერთი დაზიანებული ორმოსამარხი, რომელიც, როგორც გამოირკვა, ძვ. წ. V—IV სს-ბს ეკუთვნოდა და გადახურული იყო ნამოსახლარის ერთ-ერთი ნაგებობის თიხატყეპნილი იატაკით. ადგილობრივ მცხოვრებთა გამოკითხვისას გამოირკვა, რომ ამგვარი სამარხები მითითებულ ადგილას, მტკვრის ფლატეების ჩამოშლის შედეგად, ადრევეც ჩნდებოდა. ამგვარად, გათხრების დაწყების წინ ცნობილი გახდა, რომ მამბებში არსებობდა ძვ. წ. V—IV საუკუნეების სამაროვანი და მომდევნო პერიოდის ნამოსახლარი.

1959—1960 წლებში ჩატარდა ერთ-ერთი დაზიანებული ნაგებობის გათხრა. ნაგებობის ნანგრევთა ფენა გადახურული იყო 4 მეტრი სიღრმის სტერილური შრით. რომელშიც აქა-იქ ცხოველის ძვლები და თიხის კურჭელთა ფრაგმენტები გვხვდებოდა.

თუ დავაკვირდებით თანამედროვე რელიეფს, ვნახავთ, რომ იგი დაქანებულია მდ. მტკვრისაკენ, რის გამოც ასეთი სიმძლავრის ფენის დაშრევა აქ თითქოსდა წარმოუდგენლად მოგვეჩვენება. ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ თავის დროზე აღნიშნულ ნაგებობას მდინარის მხრიდან საზღვრავდა რელიეფის ბუნებრივი ბარიერი, რომელიც მდინარის ინტენსიური ზემოქმედების შედეგად, არც თუ დიდი ხნის წინათ, დანგრეულა.

ნამოსახლარი მდ. მტკვრის მიდევნებით ხუთასიოდე მეტრზეა გაშლილი და მთელ ამ სიგრძეზე მის ქვეშ ცალკეულ ჯგუფებად დასტურდება წინაფეოდალური ხანის სხვადასხვა პერიოდის ნეკროპოლები და ნასახლარები.

1959—1960 წლებში გათხრილი ნაგებობა ძეგლური ყოფილა, რომელსაც, როგორც დანახშირებული, წრიული კვეთის ძეგლების<sup>28</sup> განლაგების მიხედვით შეიძლება ვარაუდი, ბანური ჭერი ჰქონია. ამ ხანაში, კლდეში ნაკვეთი შიდა ქალაქის რიგი კომპლექსების მიხედვით, სწორედ ბანური ჭერია გავრცელებული (შიდა ქალაქის „მიუვალი გამოქვაბული“, ორსვეტიანი დარბაზი, პილასტრებიანი დარბაზი, შეწყვილებულკოჭობიანი დარბაზი და ა. შ.) და ჯერ კიდევ არ ჩანს შემუშავებული (?) სახურავის ის ფორმა, რომელიც მცხეთის სადგურის აკლდამაშია წარმოდგენილი (იხ. წ. I საუკუნე)<sup>29</sup>. ნაგებობის გეგმიდან გადარჩენილია სვეტის რამდენიმე ბუდე. იატაკი თიხატყეპნილი ყოფილა, რომელიც ხანძრის შედეგად წითლად შეფერადებული.

ნაგებობის იატაკის გადამხურ ფენაში გამოვლინდა ორმოსამარხი, რომელიც ძვ. წ. II—I საუკუნეებით თარიღდება (იხ. ქვემოთ, ორმოსამარხი № 3), ხოლო იატაკის დონის ქვეშ კი სამი ორმოსამარხი (№1, № 4 და № 5), რომლებიც ძვ. წ. V—IV საუკუნეებს მიეკუთვნება. ამგვარად, გათხრილი ნაგებობა, ისევე როგორც სინქრონული ნამოსახლარი, არ შეიძლება იყოს ძვ. წ. II საუ-

<sup>28</sup> ძეგლების ნაშთები დათარიღებისათვის გადაეცა თსუ რადიონახშირბადის ლაბორატორიას 1962 წელს.

<sup>29</sup> გ. ლომთათიძე და ი. ციციშვილი, ახლად აღმოჩენილი აკლდამა მცხეთაში, საქ. სსრ მეცნ. აკად. მოამბე, ტ. XII, № 10, გვ. 541—548.



კუნეზე უგვიანესი და ძვ. წ. IV საუკუნეზე უადრესი. ამასვე ადასტურებს ნაგებობის იატაკზე გამოვლენილი მასალებიც:

1. ამფორა (სურ. 3), ძირწვეტა, გადარჩენილა ქვედა ნახევარი (გადარჩენილი ნაწილის სიმაღლე—39 სმ. კეცის სისქე—1 სმ). თიხა დიდი რაოდენობით შეიცავს ქარსს. გამოწვის ფერი — მოწითალო—მოყავისფრო. იგი ფორმით, ფერით და თიხის სტრუქტურით იმეორებს ელინისტური ხანის კოლხურ ამფორებს (ვანი, დაბალგომი, ფიქვნარი, კოხის „ნაჯიხურალი“ და ა. შ.). აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ამფორები დღემდე დადასტურებული არ ყოფილა. როგორც ჩანს, კოლხეთისა და იბერიის ქალაქების სავაჭრო ურთიერთობა ანტიკურ ხანაში გაცილებით ფართო იყო, ვიდრე აქამდე გვქონდა წარმოდგენილი. შავლავიანი კერამიკის აღმოჩენა ხოვლესა და რუსთავის გორაზე (ღვანის წყლის ხეობა)<sup>30</sup>, ავლევიში<sup>31</sup>, ამფორის და შავლავიანი კერამიკის აღმოჩენა უფლისციხეში იმის დასტურია, რომ ზღვისპირეთისა და მტკვრისპირა ქალაქების სავაჭრო საქონლის ასორტიმენტში კერამიკული ნაწარმიც იყო წარმოდგენილი. კიდევ მეტი, ამფორის აღმოჩენა იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ გაცვლა-გამოცვლა უფრო ფართო იყო და იგი თხევად პროდუქტებსაც მოიცავდა (ღვინო, ზეთი, თაფლი და ა. შ.). სადავო არ უნდა იყოს, რომ ანტიკური ქართლის არაქალაქურ დასახლებათა ფენებში გამოვლენილი იმპორტული ნაწარმი აქ მტკვრისპირა ქალაქებიდან არის მოხვედრილი, რომელთაც, თავის მხრივ, ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონიათ კოლხეთის საქალაქო ცენტრებთან.

2. თიხისაგან დამზადებული, ღია წითელი ფერის, მასიური, კარგად გაპრიანებული ფიგურა, რომელიც დარახტული ცხენის ქანდაკებას წარმოადგენს (ტაბ. XLIII, 2). უნაგირი, სამკერდული და ლაგამი გადმოცემულია ამოღარული ხაზებით. ცხოველის პოზა უადრესად რეალისტურია. ძლიერი კისერი, მსხვილი და ძლიერი ფეხები, ხშირი ფაფარი, პატარა თავი და შედარებით დიდი თვალები ცხოველის სიძლიერეს უსვამს ხაზს, მაგრამ დაჭიმული ლაგამით, ღია პირით და დახრილი თავით, ოსტატს, როგორც ჩანს, ადამიანის სიძლიერე გამოუცია. ოსტატის ჩანაფიქრის ძირითადი აზრი, ალბათ, ასე უნდა წარმოვიდგინოთ.


3. თიხისაგან დამზადებული, ნაცრისფერი, დაზიანებული ფიგურა, რომელიც ცხვრის ქანდაკებას წარმოადგენს (ტაბ. XLIII, 3), თავი და ფეხები მოტეხილი აქვს. დამზადებულია უგულისყუროდ, მაგრამ საკმაოდ რეალისტურად (სიგრძე—6 სმ, სიგანე: მკერდთან—2,5 სმ, წელთან—2 სმ, გავასთან—2 სმ, დუმა: სიმაღლე—1 სმ, სიგანე—0,7 სმ). ფიგურა, როგორც ჩანს, შესაწირავ საგანს წარმოადგენდა.

4. ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავის ერთი ნახევარი; საბეჭდავზე, როგორც ჩანს, მოცემული ყოფილა ცხოველის გამოსახულება; გადარჩენილ ნახევარზე შემორჩენილია გამოსახულების ქვედა ნაწილი (საბეჭდავის სიგრძე—1,8 სმ, სიგანე—1 სმ, სისქე—0,8 სმ). მარგო ლორთქიფანიძის განსაზღვრით, იგი ძვ. წ. V—IV სს-ის მცირეაზიური ქვის საბეჭდავების იბერული პირია. მსგავსი საბეჭდავები დადასტურებულია ბამბების ნამოსახლარის ორ ნეკროპოლში,

<sup>30</sup> დ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, გ. ც ქ ი ტ ი შ ვ ი ლ ი, შიდა ქართლის დაზვერვითი ექსპედიციის შედეგები, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, თბ., 1960, გვ. 193.

<sup>31</sup> ოთ. ლორთქიფანიძის ცნობით ავლევიში აღმოჩენილი ფრაგმენტი ძვ. წ. VI საუკუნის მეორე ნახევარს მიეკუთვნება.

რომელთაგან უძველესი ძვ. წ. V—IV საუკუნეებით თარიღდება, ხოლო უახლესი — ძვ. წ. II—I საუკუნეებით. აქ ერთხელ კიდევ დასტურდება, რომ მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები დამახასიათებელია არა მარტო ქალაქის, არამედ სოფლის მოსახლეობისათვის. თუ ინდივიდუალური საბეჭდავების გამოჩენა, კერძო საკუთრების არსებობის მაუწყებელია, როგორც ამას მკვლევართა ერთი ჯგუფი ფიქრობს. მაშინ ჩვენ უკვე მოგვეპოვება მასალები იმის შესახებ, რომ ძვ. წ. V—IV საუკუნეებში კერძო საკუთრების წარმოქმნის პროცესი სასოფლო თემის შიგნითაც საკმაოდ ღრმად წასულა. ასეთი დაშვების სასარგებლოდ არა ერთი ფაქტი მიუთითებს, მაგრამ არსებული მასალების შუქზე, როგორც ჩვენ გვგონია, მინის საბეჭდავები ყოველთვის არ მიუთითებს კერძო საკუთრების არსებობაზე (იხ. ქვემოთ).



სურ. 3. კოლხური ამფორა ბამბების მოსახლობის I ნაგებობის იატაკიდან

5. თიხის ფეხიანი სასმისი (სურ. 4), შავბრიალა, მოხდენილი ფორმის. ფეხი და თასი დაშხადებული ყოფილა ცალ-ცალკე (საერთო სიმაღლე—12,2 სმ, აქედან ფეხის სიმაღლე—6 სმ, თასის სიმაღლე—5,7 სმ, კედლის სისქე—0,5 სმ, პირის  $d$ —12 სმ, ძირის  $d$ —10 სმ).

6. ნაგებობის იატაკის დონის ქვეშ ჩაშვებული იყო ღია წითელი ფერის დაზიანებული დიდი დოქი, რომელშიც ბავშვის ჩონჩხი აღმოჩნდა (დოქის სიმაღლე—37 სმ, პირის  $d$ —12,5 სმ, მუცლის  $d$ —27,5 სმ, ძირის  $d$ —20 სმ). დოქი




იღო ყელით დაბლა და ცხედრის ჩასასვენებლად მასშირი ამოტეხილი ჰქონდა.

7. თიხის ჭურჭლის ფრაგმენტი (ტაბ. XLV, 3), მოშავო-მონაცრისფრო, კარგად გაპრიალებული. ჭურჭელს, როგორც ჩანს, კუბის ფორმა ჰქონია, რომლის ვერტიკალურ გვერდებს წიწვოვანი ორნამენტი ამკობდა.

8. თიხის ზომორფული ჭურჭლის ფრაგმენტი (ტაბ. XLV, 7), კარგად გაპრიალებული. სქელკეციანი. ჭურჭელი, როგორც ჩანს, ოთხ ფეხზე მდგარა, მაგრამ გადარჩენილა უკანა ნაწილის ქვედა მხარე.

ნაგებობაში ამოკვეთილი იყო მარცვლის შესანახი ორმო, რომელიც შიგნიდან თიხის ხსნარითაა შეღესილი.




სურ. 4. შავპრიალა სასმისი ბაძებების მოახლობის I ნაგებობის იატაკიდან

გარდა ზემოაღწერილი საგნებისა, ნაგებობის იატაკზე აღმოჩნდა: ხელსაფქვავის ქვები, კვების კოხები (ტაბ. XLII, 17—20). „ვაზის სასხლავი“ მოხრილი დანები (ტაბ. XLII, 1), ძვლისა და თიხის კვირისტავები (ტაბ. VLII, 11, 12). ქვასანაყები და თიხის ჭურჭელთა ფრაგმენტების დიდი რაოდენობა, რომელშიც სჭარბობს სამზარეულო და სუფრის ჭურჭელი (ტაბ. XLII). ჭურჭელი თხელკეციანია—შავი, ლეგა ან წითელი ფერის. გაპრიალებულია კარგად. გვხვდება წერნაქით შეღებილი და მოხატული ჭურჭლები (ტაბ. XLII, 13—16).

ნაგებობის თიხატკეპნილი იატაკის ქვეშ 10-ოდე სანტიმეტრის სიღრმეზე აღმოჩნდა მეტად საინტერესო ნივთი— ნიღბოსანი მეჩანგის თიხის პატარა ფიგურა (ტაბ. XLIII, 2, სურ. 5). თიხა—კარგად დამუშავებული, ლეგა-მოშავო ფერის. გამოსახულებას აკლია მარცხენა ფეხის ტერფი, აგრეთვე მოტეხილია სავარძელი (?) ან იმ საგნის გამოსახულება. რომელზეც, როგორც ჩანს, დამკვრელი იჯდა.

მუსიკოსი წარმოდგენილია საკრავზე დაკვრის პროცესში, მჯდომარე პოზაში: საკრავი ქვედა ბოლოთი კალთაზე აქვს დაყრდნობილი. მარცხენა ხელით უჭირავს ჩანგის ზედა ლარტყა, ხოლო მარჯვენა ხელი წინა სიბრტყის ქვედა ნაწილზე აქვს დადებული. ოსტატს გადმოუცია საკრავის ზოგადი ფორმა, მაგრამ დეტალები ასახული არ არის. კერძოდ, ყაზბეგის ცნობილი ფიგურისაგან განსხვავებით, აქ გამოსახული არ არის სიმები. მეჩანგის მარჯვენა ფეხი გამართულ

მდგომარეობაშია წარმოდგენილი, ხოლო მარცხენა, მუხლში მოხრილი—ბარძაყის შიდა მხრით ჩანგის ქვედა კიდეზეა მიბჯენილი. მეჩანგის პოზა უაღრესად რეალისტურია, თუმცა ხელის მტევნები და ფეხის ტერფი, აგრეთვე, საკრავი სქემატურადაა გადმოცემული. მას მოსავს საკმაოდ უხეში ჩასაცმელი, რომელიც სხეულის კონტურებს მომრგვალებულ ფორმებს აძლევს. ჩასაცმელი მთლიანია და უსარტყლო, ხოლო საყელური იმდენად მაღალი და გაშლილია, რომ ფარავს ყელსა და სახის ქვედა ნაწილს. დამკვრელს თავზე ჩაჩის ფორმის მაღალი ქუდი ადევს, ხოლო დიდცხვირა სახეს ნიღაბი ფარავს.



სურ. 3. ჩანგზე დამკვრელის თიხის ფიგურა ბამბების მოსახლობიდან

ჩანგზე დამკვრელის ბრინჯაოს ფიგურა ცნობილია ყაზბეგის განძიდან: ა. ტალგრენი მას ბრძოლისა და გამარჯვებისადმი მიძღვნილი ქანდაკებების ჯგუფში ათავსებს და მიახლოებით ძვ. წ. VI საუკუნით ათარიღებს<sup>32</sup>. უფლისციხეში, (ბამბების მოსახლობა) აღმოჩენილი ფიგურა ქრონოლოგიურად, როგორც ქვემოთ ვნახავთ, ახლოს დგას ყაზბეგის ქანდაკებასთან. იგი ძვ. წ. VII—VI საუკუნეს მიეკუთვნება და ამ ხანის ქართლის (იბერიის) სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი საყურადღებო ძეგლია. მაგრამ მისი მნიშვნელობა ამითი არ ამოიწურება, რადგან იგი გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ქართული სიმებიანი საკრავების, მუსიკალური კულტურისა და აქტიორული ხელოვნების მდგომარეობაზე.

უფლისციხური მეჩანგის ქანდაკების შესწავლასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს აშურბანიბალის სასახლის (ნინევიასში) ერთ-ერთი ბარელიეფი (ძვ. წ. VII ს.), რომელიც მუსიკოსთა ჯგუფს გადმოსცემს. ერთი მუსიკოსთაგანი უკრავს ხუთძალიან ჩანგზე<sup>33</sup>, რომელიც ფორმით მსგავსებას იჩენს უფლისციხელი მეჩანგის საკრავთან.

<sup>32</sup> A. Tallgren, *Kaukasische anthropomorphe Figuren und der Vorderasiatische Kulturkreis*, IPEK, Berlin, გვ. 48—55. ტაბ. VII, 7; შ. ა მ ი რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, ქართული ხელოვნების ისტორია, 1944, გვ. 67—70, სურ. 51.

<sup>33</sup> André Parrot, *Assur, München*, 1961, გვ. 44—49, სურ. 61, გვ. 310 და შმდ. სურ. 391.



სპეციალურ ლიტერატურაში მსგავს ქანდაკებებს არაერთხელ მიექცა ყურადღება. ორიგინალური და სავსებით ახლებური ახსნა მისცა მათ სომეხმა ხელოვნებამცოდნემ გ. გოიანმა<sup>34</sup>. წინანტიკური და ანტიკური ხანის ქანდაკებებსა და ნიღბებს, ქართული თეატრის ისტორიის შესწავლასთან დაკავშირებით სპეციალურად შეესო ქართველი ხელოვნებამცოდნე დ. ჯანელიძე<sup>35</sup>. ჩვენი ქანდაკების შესწავლასთან დაკავშირებით. როგორც ჩანს, შეიძლებოდა არა ერთი საყურადღებო საკითხი დასმულიყო. მაგრამ, ვფიქრობთ, მათზე მსჯელობა სათანადო დარგების სპეციალისტთათვის უფრო შესაფერი იქნებოდა.

ორბოდე სიტყვა ნამოსახლარის თარიღის შესახებ. როგორც მოტანილი მასალებიდან ჩანს, ნაგებობა (და, მაშასადამე, ნამოსახლარიც) ძვ. წ. III—II საუკუნეებს უნდა მიეკუთვნოს. როგორც კოლხური ამფორა, ისე პროფილირებული, შავპრიალა თიხის ჭურჭლები, წერნაქით შეღებილი და მოხატული ჭურჭლები და ა. შ. აშკარად მიუთითებენ ასეთი ქრონოლოგიური ჩარჩოს ქონებაზე. ამგვარად, როგორც მასალის ტიპოლოგიური და მხატვრულ-ტიქნიკური ანალიზი მიუთითებს, ნამოსახლარი, რომლის ერთ-ერთი ნაგებობაც აქ იყო აღწერილი, ძვ. წ. III—II საუკუნეებს მიეკუთვნება.

ჩვენს მიერ გათხრილი ნამოსახლარის სინქრონული ნეკროპოლი ჯერ-ჯერობით შესწავლილი არ არის, მაგრამ მისი კვალი დასტურდება 1957 წ. ექსპედიციის მიერ მოპოვებულ მასალაში. კერძოდ, ადგილობრივი მცხოვრების დ. ზ. გაბინაშვილის მიერ გადმოცემულ თიხის სასმისში (ტაბ. XLIII, 7), რომელიც სამარხეული ინვენტარის ნაწილი უნდა იყოს. მსგავსი სასმისი ყათნალიხევის მარცხენა ნაპირის მოსახლობის ერთ-ერთ ორმოსამარხშიც დადასტურდა, რომელიც ძვ. წ. III—II საუკუნეებით თარიღდება (იხ. ქვემოთ, ტაბ. LI, 4).

ბამბების ნამოსახლარის ასაკის განსაზღვრისათვის საკმაოდ საიმედო დასაყრდენს გვაძლევს აქ გამოვლენილ ნეკროპოლთა ის სამარხები, რომლებიც სტრატეგრაფიულად ჩვენ მიერ გათხრილ ან ფიქსირებულ ნაგებობებს უკავშირდება.

ორმოსამარხი № 1. აღმოჩნდა 1958 წ. ოღნავ დაზიანებული სახით, რაც გამოწვეული იყო ამ უბნის დაცოცებით. როგორც ადგილობრივმა მცხოვრებმა დ. ზ. გაბინაშვილმა გვაცნობა, მას რამდენიმე წლის წინათ ამავე ადგილას უპოვნია ქვევრი, რომელშიც ადამიანის ძვლები, ბრინჯაოს წელშეზნექილი სამაჯური, თიხის ხელადა და მძივები აღმოჩენილა.

№ 1 ორმოსამარხში მოკრუნჩხულ პოზაში, ზურგშექცევით, თავით ჩრდილოეთისაკენ ესვენა ორი მიცვალებული: პირველი — მარჯვენა გვერდზე, სახით დასავლეთისაკენ და მეორე — მარცხენა გვერდზე, სახით აღმოსავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

1. ბრინჯაოს თავგახსნილი. წელშეზნექილი სამაჯურები (ტაბ. XLIV, 1, 2), რომელთა ბოლოები გველის თავის სტილიზებულ გადმოცემას წარმოადგენს. ორივე სამაჯური ერთნაირია, მაგრამ ცოტაოდენი განსხვავებაა ზომებში. მსგავსი სამაჯურები ამ ტიპის სამკაულის გავრცელებული ფორმაა ძვ. წ. V—IV საუკუნეების საქართველოში. მათ პროტოტიპად აქემენიდური ხანის ოქროსა და ვერცხლის, მხატვრული სტილის სამაჯურია მიჩნეული<sup>36</sup>.

<sup>34</sup> Георг Гоян, 2000 лет армянского театра, т. I, М., 1952, гл. 205 და შმდგ.

<sup>35</sup> Дмитрий Джanelidze, Грузинский театр, Тб., 1959, гл. 84 და შმდგ.

<sup>36</sup> М. М. Иващенко, Кувшинный могильник Западной Грузии, СА, XIII, 1953, гл. 324. Б. А. Куфтин, Археологические раскопки в Триалети, гл. 32.

დასავლეთ საქართველოში (ეშერი, დაბლაგომი, ფარცხანაყანევი და ა. შ.) ისინი ძვ. წ. IV—III საუკუნის სამარხებშია დადასტურებული<sup>37</sup>. აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მსგავსი ფორმის სამაჯურები არ გვხვდება ძვ. წ. V საუკუნეზე ადრე. ს. სანთის ქვაყუთების სამაჯურები, რომელთაც იმეორებს უფლისციხური სამაჯურები, ბ. ა. კუფტინს ძვ. წ. V—IV საუკუნეებით აქვს დათარიღებული<sup>38</sup>. სანთისა და უფლისციხის სამარხების მსგავსება მარტო ამით არ ამოიწურება. ორივეგან თითქმის ერთნაირი ინვენტარია წარმოდგენილი (კერამიკა, მძივები, სამკაულის სხვა სახეობანი). ძვ. წ. IV საუკუნით თარიღდება ყაზბეგის ის სამარხებიც, რომლებშიც მსგავსი სამაჯურები გვხვდება<sup>39</sup>.

2. ბრინჯაოს სამი ცალი ბეჭედი (ტაბ. XLIV, 3, 8, 9), აქედან ერთი ცალი, რომელსაც ფარაკი აქვს პირველ მიცვალებულს აღმოაჩნდა, ხოლო ორი, მავთულისაგან დამზადებული, გახსნილი—მეორე მიცვალებულს. ფარაკიანი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია ერთმანეთზე გადაკდობილი ხაზები წარმოადგენს ინტალიოს (ტაბ. XLIV, 3).

3. ბრინჯაოს საყურეები, 4 ცალი (ტაბ. XLIV, 4, 6). დამზადებულია წვრილი, წრიული კვეთის მავთულისაგან. პირველი მიცვალებულის საყურეებზე იყო პასტის კონუსური ფორმის საკიდები (ტაბ. XLIV, 4).

4. რკინის ნივთები (სამაჯური, ბეჭედი, გაურკვეველი დანიშნულების ნივთის ფრაგმენტი) მეტად ცუდად იყო შენახული და ისიც მხოლოდ მეორე მიცვალებულის ინვენტარში შედიოდა (ტაბ. XLIV, 5).

5. პასტის მძივების ყელსაბამი. აღმოაჩნდა ორივე მიცვალებულს. მძივები მრავალფეროვანი (ცისფერი, მუქი ლურჯი, ყვითელი, თეთრი...) და მრავალფორმიანია (ტაბ. XLIV, 10, 11). მსგავსი ფორმისა და ასეთივე მასალისაგან დამზადებული მძივების ყელსაბამები იმ სამარხებისათვისაა დამახასიათებელი, რომელთა ინვენტარში წელშეზნეკილი სამაჯურები გვხვდება.

6. ხელადა (ტაბ. XLIV, 15), ცუდად დამუშავებული თიხის, ხელით ნაძერწი, ლეგა ფერის, არათანაბარი კეცის, უყურადღებოდ გაპრიალეებული; ძირვიწრო, უქუსლო, წელფართო, პირგადმოშლილი (სიმაღლე—11,5 სმ, პირის d—6—6,2 სმ, მუცლის d—10 სმ, ძირის d—5 სმ).

7. ხელადა (ტაბ. XLIV, 14), კარგად დამუშავებული თიხის, მორგვზე დამზადებული; თანაბარი კეცის, წითელი ფერის, შეღებილი, გულმოდგინედ გაპრიალეებული; ტანი მრგვალი, პროპორციული, უქუსლო, პირგადმოშლილი (სიმაღლე—11,7 სმ, პირის d—5,4 სმ, მუცლის d—10 სმ, ძირის d—4 სმ).

8. ხელადა (ტაბ. XLIV, 13), კარგად დამუშავებული სუფთა თიხის, მორგვზე დამზადებული, თანაბარი კეცის, ღია წითელი ფერის, ზედაპირი არც თუ კარგად გაპრიალეებული, ხელადის ზედა ტანი მოხატულია შევრონებად. ჭურჭელს დაბალი ტანი. ფართო, უქუსლო ძირი და გადმოშლილი პირი აქვს (სიმაღლე—12,5 სმ, პირის d—6,5 სმ, მუცლის d—12,5 სმ, ძირის d—6,5 სმ).

9. ფიალა (ტაბ. XLIV, 12), მსხვილსტრუქტურიანი თიხის, მორგვზე დამზადებული, ლეგა ფერის, გაპრიალეებული, თანაბარი კეცის, უქუსლო, პროპორციული ტანით, პირშეკეცილი (სიმაღლე—2,8 სმ, პირის d—8, სმ, ძირის d—4 სმ).

<sup>37</sup> М. М. Иващенко, დასახ. ნაშრ., გვ. 324—325. Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, I, გვ. 21—23, 44—45, სურ. 13,2, т. II, გვ. 23—24, 30.

<sup>38</sup> Б. А. Куфтин. Археологические раскопки в Триалети, გვ. 30—34, სურ. 33,3.

<sup>39</sup> М. М. Иващенко, დასახ. ნაშრ., გვ. 324.



სამარხ ორმოს ზემოდან ხურავდა თიხატყეპნილი, ხანძრისაგან შეწითლებული იატაკი, რომელიც რომელიღაც ნაგებობას ეკუთვნოდა. სამარხი ორმოს ქვედა დონესა და იატაკს შორის მანძილი 30 სმ-ს შეადგენდა. ამ ფაქტის საფუძველზე დადგინდა, რომ ნაგებობა ნახევრად მიწური ყოფილა, როგორც ეს ხოვლეს ნამოსახლარზეა დადასტურებული. როგორც ჩანს, მშენებლებს სახლის გასამართი თხრილის ამოღებისას დაუზიანებიათ სამარხი ორმო, მაგრამ სამარხის ქვედა დონემდე, სადაც მიცვალებული ესვენა, არ მიუღწევიათ. ამგვარად, 1958 წელსვე დადასტურდა, რომ ბამბების მოსახლობა, რომლის ერთ-ერთი ნაგებობაც 1959—1960 წლებში გაითხარა, გაშენებული ყოფილა ძვ. წ. V—IV საუკუნეების ნეკროპოლზე. მაშასადამე, მოსახლობა მომდევნო პერიოდს ეკუთვნოდა.

ორ მოსამარხი № 2. აღმოჩნდა № 1 ორმოსამარხის აღმოსავლეთით 70 მეტრის მანძილზე, მიწის პირიდან 3.5 მეტრის სიღრმეზე. ფლატის ჩამოშლისას სამარხი დაზიანებულა. მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე, მოკრუნჩხულ პოზაში, თავით ჩრდილოეთისაკენ და სახით დასავლეთისაკენ (სამარხის დამხრობის ეს წესი, უფლისციხის მიდამოებში, დასტურდება ძვ. წ. V საუკუნიდან, ვიდრე ახ. წ. III საუკუნემდე). ინვენტარიდან გადარჩენილია:

1. ხელადა (ტაბ. XLIV, 5), ლეგამოწაბლისფერო, გაპრიალებული, დაბალი, მუცელგანიერი, ყელვიწრო, პირფართო, უქუსლო, ძირბრტყელი. (სიმაღლე—13 სმ, პირის d—5 სმ, მუცლის d—11 სმ, ძირის d—7 სმ).
2. ჯამი (ტაბ. XLV, 4), ლეგა ფერის, გაპრიალებული, ყურიანი, დაბალი, პირშეკეცილი, უქუსლო, ტუჩიანი, ყურისა და ტუჩის განლაგების მიხედვით, მარჯვენა ხელში დასაჭერი (სიმაღლე—4,5 სმ, ყურის ჩათვლით—7 სმ, პირის d—14 სმ, ძირის d—10 სმ).
3. რკინის სამაჯური, ძლიერ ცუდად შენახული; ფორმის წარმოდგენა შეუძლებელია.

4. პასტისა და მინისებრი პასტის წვრილი მძივების ყელსაბამი.

ორ მოსამარხი № 3. აღმოჩნდა I ნაგებობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. იატაკის დონის მაღლა. ნაგებობის გადამხურ შრეში. სამარხ ორმოში დადასტურდა ბავშვის ჩონჩხი. მიცვალებული ჩასვენებული იყო მოხრილ პოზაში, მარჯვენა გვერდზე თავით ჩრდილოეთისაკენ და სახით დასავლეთისაკენ. სამარხის ინვენტარი:

1. ბრინჯაოს სამაჯური (ტაბ. XLVI, 2), ოდნავ წელშეზნეჭილი, თავგახსნილი, წვრილი მავთულისაგან დამზადებული (ეკეთა მარცხენა ხელზე).
2. ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ. XLVI, 7), გახსნილი, ფურცლოვანი მავთულისაგან დამზადებული (ეკეთა მარცხენა ხელის თითზე). ბეჭედს ფარაკი არა აქვს. მაგრამ იმ ადგილას, სადაც ფარაკი უნდა ყოფილიყო, მოცემულია გამოსახულება—ინტალიო. ბეჭედი, მ. ლორთქიფანიძის ვარაუდით, შეიძლება ძვ. წ. IV—III საუკუნეებს მივაკუთვნოთ.

3. პასტის სამი ცალი მძივი და ნიყარა—კაური (ტაბ. XLVI, 3, 6), როგორც ჩანს, ეკეთა მარცხენა ხელზევე, როგორც სამაჯური.

4. მინის მრავალწახნაგა საბეჭდავები, 3 ცალი (ეკეთა მარჯვენა ხელზე, როგორც სამაჯური). საბეჭდავებიდან დაუზიანებლად გადარჩა მხოლოდ ერთი ცალი; ერთი ცალი აღების დროს მტვრად იქცა, ხოლო ერთი ცალიც—მსხვილ ნატეხებად დაიშალა (ტაბ. XLVI, 4, 5). გადარჩენილი საბეჭდავის პირზე ამოკვეთილია ცხენშებმული ეტლის სქემატური, გამოსახულება (ტაბ. XLIV, 5)

მ ლორთქიფანიძის აზრით, საბეჭდავი ძვ. წ. IV—III საუკუნის მცირეაზიური ქვის საბეჭდავების იბერულ პირს წარმოადგენს.

5. პასტის მძივების ყელსაბამი (ტაბ. XLVI, 1).

6. ხელადა (ტაბ. XLVI, 8) წითელი ფერის, შეღებილი, დაბალი, მუცელგანიერი, უქუსლო, ძირფართო; ყელზე შემოუყვება დაკეცილი წერტილების სარტყელი.

№ 3 ორმოსამარხის მასალა იმეორებს ქართლის ქვევრსამარხების ინვენტარს. აქ აღმოჩენილი ლურჯი მინის მრავალწახანაგა საბეჭდავის ზუსტი ასლი ო. ჯაფარიძემ სოფ. არკნეთის ძვ. წ. II—I საუკუნეების ერთ-ერთი ქვევრსამარხის ინვენტარში დაადასტურა<sup>40</sup>. ვფიქრობთ, რომ № 3 ორმოსამარხიც ასევე ძვ. წ. II—I საუკუნეებით უნდა დათარიღდეს. პარალელური მასალის ჩვენებები მხოლოდ ასეთ თარიღზე მიუთითებს, მიუხედავად იმისა, რომ ბრინჯაოს ბეჭედი და მინის მრავალწახანაგა საბეჭდავები უფრო ადრეულ პერიოდის ნიშნებს ამჟღავნებენ. სამარხის თარიღის ძვ. წ. II საუკუნეზე იქით გადაწევის საწინააღმდეგოდ მიუთითებს სტრატეგრაფიული მონაცემებიც. კერძოდ, სამარხი სტრატეგრაფიულ კრილში ხურავს ნასახლარს, რომელიც, თავის მხრივ, ძვ. წ. V—IV საუკუნეების ნეკროპოლზეა გაშენებული. მეორე მხრივ, № 3 ორმოსამარხი ასაკით არ შეიძლება ძვ. წელთაღრიცხვის მიჯნას გადმოცდეს, რადგან ამგვარი ინვენტარი (მინის მრავალწახანაგა საბეჭდავი, ხელადა და ა. შ.) ახ. წელთაღრიცხვის დამდეგის სამარხებში უკვე აღარა გვხვდება.

ორ მ ო ს ა მ ა რ ხ ი № 4. აღმოჩნდა ვახტანგის ნაგებობის ცენტრში; მიწის თანამედროვე ზედაპირიდან სამარხი ორმოს რტაკამდე სიმაღლე შეადგენდა 485 სმ. ხოლო ნაგებობის იატაკიდან სამარხი ორმოს იატაკამდე—80 სმ, სამარხი ორმო ოვალური ფორმისაა. მისი სიგრძე 105 სმ შეადგენს, ხოლო უდიდესი სიგანე—70 სმ. სამარხში აღმოჩნდა ორი ჩონჩხი. პირველი მიცვალებული ესვენა ძლიერ მოკრუნჩხულ პოზაში. მარჯვენა გვერდზე, თავი NW-საკენ და სახით SO-საკენ. იგი, როგორც ჩანს, პირველად დაუმარხავთ, რაზედაც აშკარად მიუთითებს ჩონჩხის ძვლების არაბუნებრივი არევა, რაც მეორე მიცვალებულის ჩასვენების დროს მომხდარა. მეორე მიცვალებული ასევე, მოკრუნჩხულ პოზაში წევს, მარცხენა გვერდზე. იგი სახით მიქცეულია პირველი მიცვალებულისაკენ. ჩონჩხის ზოგიერთი ნაწილი ალავია პირველი მიცვალებულის ჩონჩხზე. პირველ მიცვალებულთან სამკაული თუ სხვა ინვენტარი არ დადასტურდა. ერთად-ერთი ნივთი, რომელიც შეიძლება მას ეკუთვნოდეს, თიხის სამფეხა ფიალაა. ასეთი დასკვნის გაკეთება შეიძლებოდა იმ ფაქტის საფუძველზე, რომ მეორე მიცვალებულის ფეხის თითების ძვლები ფიალაში ელავა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მეორე მიცვალებულის დასაფლავების დროს პირველ მიცვალებულს ააცალეს სამკაული და იგი მეორე მიცვალებულის მორთულობას მიუმატეს. სამარხში საერთოდ აღმოჩნდა შემდეგი ინვენტარი:

1. ბრინჯაოს სამაჯური, თავგახსნილი, ოდნავ წელშეზნეკილი, მავთულისაგან დამზადებული (ტაბ. XLVII, 1). მარჯვენა მაჯაზე.

2. რკინის სამაჯურები, ძლიერ ცუდად დაცული (ტაბ. XLVII, 1). მარცხენა მაჯაზე.

<sup>40</sup> ოთ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ე, არქეოლოგიური ვახტანგის ნაგებობის სოფ. არკნეთში, თბილისის სახ. უნივერსიტეტის შრომები, ტ. 63, 1956, გვ. 200—205, სურ. 12.



3. ბრინჯაოს ბეჭედი, ფარაკიანი (ტაბ. XLVII, 2), რაღაც გამოსახულებით (ფარაკის ზომებია  $1,1 \times 1,3$  სმ). მ. ლორთქიფანიძის განსაზღვრით, ბეჭედი V—IV საუკუნისა უნდა იყოს, რაც სავსებით ეთანხმება სამარხის ინვენტარის ასაკს, დადგენილს სხვა ნივთების შესწავლის საფუძველზე (მარჯვენა ხელის შუა თითზე).

4. რკინის ბეჭედი ფრაგმენტებად (მარცხენა ხელის შუა თითზე).

5. პასტისა და მინის, სხვადასხვა ფორმის მძივების ყელსაბამი (ტაბ. XLVII, 1), რომელიც შეიცავს 87 მძივს. ყურადღებას იქცევს ლურჯი მინის მძივები, რომლებიც დამზადებულია ისეთივე მინისაგან, როგორითაც მრავალწახნაგა იბერული საბეჭდავები.

6. თიხის სამფეხა ფიალა (ტაბ. XLIII, 4). კარგად გაცრილ-დამუშავებული თიხის, წითელი კეცის, წითლადვე შეღებილი, გაპრიალებული; დაბალი, პირ-წეკეცილი, ძირმორგვალეული (სიმაღლე—3,5 სმ, აქედან ფეხებისა—0,4—0,5 სმ, პირის  $d$ —12 სმ, კეცის სისქე—0,8 სმ).

№ 4 ორმოსამარხი როგორც ინვენტარის, ისე სტრატეგრაფიული მონაცემების მიხედვით (იგი ნაგებობის იატაკითაა გადახურული) ძვ. წ. V—IV საუკუნეებს მიეკუთვნება.

ორმოსამარხი № 5 აღმოჩნდა № 4 სამარხის დასავლეთით 1,5 მეტრის მანძილზე. მიწის პირიდან სამარხის იატაკამდე—475 სმ, ხოლო ნაგებობის იატაკიდან სამარხის იატაკამდე—70 სმ.

სამარხში აღმოჩნდა სამი ჩონჩხი. მიცვალებულები გარკვეული თანმიმდევრობითაა დასაფლავებული, თავით დასავლეთისაკენ. პირველი ჩონჩხი სამარხის სამხრეთ კიდესთან დევს. მიცვალებული წოლილა მარცხენა გვერდზე, სახით ჩრდილოეთისაკენ. იგი ყველაზე ადრე ჩანს დამარხული და ქალს უნდა ეკუთვნოდეს. მეორე ჩონჩხი სამარხის ჩრდილო კიდესთან დევს. მიცვალებული დაუსაფლავებიათ მარჯვენა გვერდზე, სახით სამხრეთისაკენ. ჩონჩხი სამარხის კიდეზე მიუხვეტიათ მესამე მიცვალებულის დასაფლავებისას. უკანასკნელი მარჯვენა გვერდზე დაუსაფლავებიათ, სახით სამხრეთისაკენ. სამარხი ორმოს ზომებია— $110 \times 100$  სმ. სამარხში დადასტურდა მეტად საყურადღებო ინვენტარი:

1. ბრინჯაოს თავგახსნილი სამაჯური (ტაბ. XLVII, 2), ბრტყელი მავთულისაგან დამზადებული, თავები ოდნავ შემსხვილებული (I მიცვალებულის კეფასთან).

2. ლურჯი მინის მრავალწახნაგა საბეჭდავი (ტაბ. XLVII, 2), რომელზეც ამოკვეთილია ცხენის გამოსახულება (მხედარი?). ცხენი გადმოცემულია მოძრაობაში. გამოსახულების თავი და ტანი გადმოცემულია ღრმა კვეთით, ხოლო ფეხები და მხედრის (?) ქვედა ტანი—თხელი კვეთით (საბეჭდავის პირის სიგრძე—1,5 სმ, სიგანე—0,8 სმ, საბეჭდავის სისქე—0,8 სმ. I მიცვალებულის თავის თხემთან). მარგო ლორთქიფანიძის განსაზღვრით, იგი ძვ. წ. V—IV საუკუნეებით შეიძლება დათარიღდეს.

3. ბრინჯაოს თავგახსნილი ბეჭედი (ტაბ. XLVII, 2), მავთულისაგან დამზადებული— $d$ —2 სმ (I მიცვალებულის მკერდთან).

4. ბრინჯაოს მავთულისაგან დამზადებული სპირალი 1,5 გადასვლით.  $d$ —0,7 სმ (პირველი მიცვალებულის ფეხთან) და ბრინჯაოს რგოლი (ტაბ. XLVII, 2; მიცვალებულის მკერდთან).

5. რკინის ოთხუკუთხა საკიდი (?).

6. ძვლისაგან დამზადებული ორი ცალი საკიდი—ავგაროზი (?). ერთი დამზადებულია თითის ფალანგისაგან, ხოლო მეორე მხარის ძვლის ბოლოსაგან და აქვს კვირისტავის ფორმა (ტაბ. XLVII, 2. I მიცვალებულის მკერდთან).

7. ოქროს ვარდული (ტაბ. XLVII, 2), მიჩრჩილული ყუნწით, დაზიანებული (I მიცვალებულის მკერდთან).

8. ყელსაბამი, რომელიც 204 ცალ მძივს შეიცავს (ტაბ. XLVII, 2), მათ შორის არის ადამიანის საკბეჩი კბილისაგან დამზადებული მძივიც. 2 ცალი მძივი სარდიონისა, ხოლო დანარჩენი—პასტა და ლურჯი მინა. მძივები გაფანტული იყო I მიცვალებულის თავისა და მკერდის არეში.

9. ხელადა (ტაბ. XLVII, 6) შავპრილა, უყურო, უქუსლო, სფერულ-კონუსური ტანით, ყელმაღალი, პირგადმოშლილი, მოხდენილი ფორმის (სიმაღლე—12,5 სმ, მუცლის d—10 სმ, პირის d—5 სმ, ყელის d—2 სმ. აღმოჩნდა მეორე მიცვალებულის ბარძაყის ძვლებს შორის). ასეთი ფორმისა და ტექნიკით დამზადებული ხელადა აღმოჩენილი იყო ს. სანთის (ნერონ-დერესი) ერთ-ერთ ქვაყუთში (ტაბ. XLIII, 5). რომელიც ასევე ძვ. წ. V—IV საუკუნეებით თარიღდება. როგორც სამაჯური, ისე საბეჭდავი და თიხის ჭურჭელი, აგრეთვე, ინვენტარის სხვა საგნები № 5 ორმოსამარხს ძვ. წ. V—IV საუკუნეებით თარიღებს.

ამგვარად, გათხრების დროს შესწავლილი ხუთი სამარხიდან ოთხი ძვ. წ. V—IV საუკუნეებით თარიღდება და ნამოსახლარის ნაგებობათა იატაკითაა გადახურული, ხოლო ერთი ძვ. წ. II—I საუკუნეებს მიეკუთვნება და ნამოსახლარის ნანგრევ ფენაშია ჩაშვებული ისე, რომ სამარხი ორმოს იატაკი ვერ აღწევს ნაგებობის იატაკამდე.

არქეოლოგიური გათხრების დაწყებამდე ადგილ ბამბებიდან ცნობილი იყო ერთი შემთხვევით აღმოჩენილი სამარხის შესახებ, რომელიც ოქტავიანე ავგუსტის დენარის მინაბაძით თარიღდებოდა<sup>41</sup>. სამარხის ინვენტარის ბედზე, სამწუხაროდ, არაფერია ცნობილი. 1951 წ. საკოლმეურნეო კალოს სამხრეთ-დასავლეთით მიწის პირიდან 1,5 მეტრის სიღრმეზე აღმოჩენილა კიდევ ერთი ორმოსამარხი, რომლის ინვენტარი ახლა გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში ინახება  $(N \frac{6534}{1-50})$ .

სამარხში, როგორც დაცული ინვენტარიდან ჩანს, აღმოჩენილა: თიხის ორი ხელადა, ბრინჯაოს საკიდი—ირმის ქანდაკება, ბრინჯაოს 7 ცალი ზარი (4 ცალი დაფანჯრული, 3 ცალი—ნახევარსფერული); ბრინჯაოს 2 ცალი ბეჭედი. რომელთაგან თითოეულს აქვს მინის გემმა  $(N \frac{6534}{2}, \frac{6534}{3})$ .

ყელსაბამი, რომელიც 105 ცალ მძივს ითვლის (აქატი—1, მთის ბროლი—1, მინა—76, პასტა—27). მძივები ფორმებისა და ფერის სიმრავლით გამოირჩევა (მრავალწახნაგა, ცილინდრული, ოვალური, ბურთისებრი, სუროს თესლის ფორმის, კადრაკის დაფისნაირი და ა. შ. თეთრი, ცისფერი, ლურჯი, შავი და ა. შ.). რომდენიმე მძივსაკიდი ყურძნის მტევნის იმიტაციას წარმოადგენს. სამარხში აღმოჩენილია სამი ცალი მონეტა. აქედან, ორი ცალი ოქტავიანე ავგუსტის დენარია, ხოლო ერთი ცალი გაურკვეველი კუთვნილების სპილენძის მონეტა ჩანს, რომელიც საკიდად ყოფილა გამოყენებული. აღნიშნული სამარხი თავისი

<sup>41</sup> Е. А. Пахомов, Монетные клады Азербайджана и других республик Закавказья, II, Баку, 1938, გვ. № 343.



ინვენტარით ახლოს დგას კლდეეთისა და მცხეთის (სამთავრო, არმაზი) რიგ სამარხებთან. განსაკუთრებით ახლოს დგას იგი არმაზისხევის ერისთავთა მდიდრული სამარხების სინქრონულ ლარიბულ სამარხებთან<sup>42</sup>. ამ მონაცემების შუქზე სამარხი შეიძლება იყოს ახ. წ. II—III საუკუნეებით დაგვეთარიღებინა და დღეისათვის ცნობილი ადგილობრივი მონაცემების შუქზე რიგითი მდაბიურის კუთვნილ სამარხად გვეღიარებინა.

ორმოსამარხი № 6. აღმოჩნდა 1963 წ. კოლმეურნეობის კალოს დასავლეთით 50 მ. მანძილზე, იქ, სადაც 1951 წელს შემთხვევით აღმოჩნდა ახ. წ. პირველი საუკუნეების ზემოაღწერილი სამარხი. სამარხის დონე შენიშნული იქნა მიწის ზედაპირიდან 2,5 მ სიღრმეზე. ჩვენ მიერ ვაკეთებულ თხრილში აღმოჩნდა სამი ორმოსამარხი, რომელთაგან № 6 ბავშვის სამარხს წარმოადგენდა.

№ 6 სამარხის ორმო (80×50 სმ) მიწის პირიდან 3 მეტრის სიღრმეზე მდებარეობდა. სამარხში აღმოჩნდა 3-4 წლის ბავშვის (ბარძაყის ძვლის სიგრძე = 11 სმ) ჩონჩხი. მოკრუნჩხულ პოზაში. სამარხ ორმოს გვერდებზე და ზემოდან ოხელი ფიცრები ჰქონია. მიცვალებული ესვენა მარჯვენა გვერდზე თავით დასავლეთისაკენ. სამარხში აღმოჩნდა:

1. ვერცხლის ფარაკიანი ბეჭედი, რომელსაც ახლდა სამი ცალი მინის მძივი (ტაბ. XLVIII, 14). 2. პასტის მძივების ყელსაბამი. 3. თეთრი ქვისაგან გამოთლილი დისკოს ფორმის მძივსაკიდი. 4. ვერცხლის დრახმა პართიის მეფის ოროდ I-ისა (ძვ. წ. 58/57—38/37) (ტაბ. LIV, 16). 5. ხელადა (ტაბ. XXXII, 8). წითელი ფერის, კარგად დამუშავებული თიხისაგან დამზადებული. გვერდებგოფირებული. წითლად მოხატული.

ორმოსამარხი № 7. აღმოჩნდა № 6 ორმოსამარხის გვერდით. ისე, რომ უკანასკნელი კვეთს № 7 სამარხის ჩრდილ. ნაწილს და აზიანებს კიდეც. სამარხთა რატაკების დონეებს შორის სხვაობა შეადგენს 30 სმ-ს. სამარხი დამხრობილია ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. იმის გამო, რომ იგი დაუზიანებია № 6 სამარხს, ჩონჩხი გადარჩენილი იყო სამარხის მხოლოდ S ნახევარში, ჩონჩხის ქვედა ნაწილის სახით (ბარძაყისა და წვივის ძვლები, თეძოს ძვლები და ხერხემლის ნაწილი). სამარხში აღმოჩნდა:

1. ვერცხლის წელშეზნეჭილი სამაჯური (ტაბ. XLVIII, 9), ორ ნატეხად, დაზიანებული, გახსნილი, თავები ცხოველის თავის სტილიზებული გადმოცემაა. 2. ვერცხლის წელშეზნეჭილი სამაჯური (ტაბ. XLVIII, 8), სამ ნატეხად, დაზიანებული, გახსნილი, თავები შემსხვილებული. 4. ვერცხლის საყურე (ტაბ. XLVIII, 13), ძლიერ ირიზებული. 5. თიხის ხელადა, წითელი ფერის, ტუჩიანი, წითლად მოხატული (ტაბ. XXXII, 6). 6. თიხის ფიალა, შავი ფერის, გაპრიანებული, პატარა ზომის (ტაბ. XXXII, 7). 7. თიხის ხელადა, შავი, გაპრიანებული, იდო ფიალაზე (ტაბ. XXXII, 12).

ორმოსამარხი № 8. აღმოჩნდა № 7 ორმოსამარხის დასავლეთით 1,2 მეტრის დაშორებით. მიცვალებული ესვენა თავით სამხრეთ-დასავლეთისაკენ, მარცხენა გვერდზე, ძლიერ მოხრილ პოზაში. სამარხი ორმო (140×70 სმ) დაუზიან-

<sup>42</sup> ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, მცხეთა, I, თბ., 1955, გვ. 129 და შმდ. ტაბ. CIX, 9, 11, 14; ალ. კალანდაძე, ახალაღმოჩენილი სამაროვანი მცხეთაში, ისტორიის ინსტიტუტის „მიმომხილველი“, I, თბ., 1949, გვ. 261 და შმდ. ტაბ. IV, 1,3, 77. გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957, გვ. 25 და შმდ., ტაბ. IX,1, X,1, XI,2, XX, 1.

ნებია ოდნავ მოგვიანო ნამოსახლარის ერთ-ერთი ნაგებობის კედელს. სამარხში აღმოჩნდა:

1. ვერცხლის წელშეზნეკილი **სამაჯური** (ტაბ. XLVIII, 17), თავგახსნილი, თავები ცხოველის თავის სტილიზებული გადმოცემაა. 2. ვერცხლის **სამაჯური**, დამზადებული წვრილი მავთულისაგან (ტაბ. XLVIII, 15), ძლიერ დაშლილი. 3. ვერცხლის წელშეზნეკილი (?) **სამაჯური** ორ ნატეხად (ტაბ. XLVIII, 16), თავები ცხოველის თავის სტილიზებული გადმოცემაა. 4. ვერცხლის ბრტყელი **ბეჭედი**, ძლიერ დაშლილი. 5. ვერცხლის საყურეები საკიდებით (ტაბ. XLVIII, 10). 6. ვერცხლის საკიდები ნახევარსფეროს ფორმის. ზედ სიციცხლის ხის გამოსახულებებით (ტაბ. XLVIII, 5-7, 22), თავსამკაულში. 7. ვერცხლის **ზარაკები** კონუსური და ნახევარსფერული ფორმისა (ტაბ. XLVIII, 1-4). 8. რკინის **დანა**, ძლიერ დაშლილი, ძვლის (?) ქარქაშით. 9. ბრინჯაოს ვახსნილი **საღტე**. 10. სხვადასხვა ფორმისა და ფერის პასტისა და მინის მძივების გროვა სარტყლის ადგილას. რკინის დანასთან ერთად (ტაბ. XLVIII, 19-21). 11. აქატის დიდი მძივი მკერდის არეში (ტაბ. XLVIII, 11). 12. მინისა და პასტის წვრილი მძივების დიდი გროვა (ნაქარგობა) თავ-კისერის არეში. 13. მინის მძივების (1-5 მუხლიანები) **უელსაბამი** (ტაბ. XLIX, 14). 14. ოროდ 1-ის სამი ცალი **დრახმა**, მათ შორის ერთი პირის ღრუში (ტაბ. LIV, 13-15). 15. თიხის **ხელადები**, 2 ცალი. წითელი ფერის, წითლად მოხატული (ტაბ. XXXII, 10, 11). 16. თიხის **პატარა კოჭობი** (ტაბ. XXXII, 9). შავი ფერის, გაპრიანებული.

ხამივე სამარხი, როგორც მასალა უჩვენებს, ძვ. წ. I საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება და ინვენტარით ეხმაურება შიდა ქართლის ქვეერსამარხებს.

ამგვარად, ბამბების ნამოსახლარზე ჩვენ ვადასტურებთ უწყვეტი ცხოვრების კვალს ძვ. წ. V საუკუნიდან, ვიდრე ახ. წ. III საუკუნემდე. ამასთან, სამოსახლო მოძრაობს, მაგრამ არ სცილდება მოცემულ ტერიტორიას. მეურნეობაში წამყვანი ჩანს მიწათმოქმედება (მემინდვრობა, მევენახეობა-მელვინეობა), ხოლო მესაქონლეობას ასეთ პირობებში, ბუნებრივია, დაქვემდებარებული ადგილი უნდა ჰქონოდა.

### 3. ანტიკური ხანის მოსახლოვანი ყათნალიხევი

ყათნალიხევის ნამოსახლარი გაშლილია ამავე სახელწოდების ხევის ორივე მხარეზე, მტკვრის ნაპირთან. „ბამბების“ ნამოსახლარის დასავლეთით 700—800 მეტრის მანძილზე. ფაქტიურად აქ წარმოდგენილია ორი ნამოსახლარი: ერთი, ხევის მარჯვენა მხარეზე, ხოლო მეორე, ხევის მარცხენა მხარეზე. ორივე უბანი შრავალფენიანია. არქეოლოგიური გათხრები ფაქტიურად შეეხო ძეგლის მხოლოდ იმ მცირე ნაწილს, რომელიც ფლატეების ჩამოშლის გამო იღუპებოდა.

#### ა. ყათნალიხევის მარცხენა ნაპირის მოსახლობა

სამოსახლოს ამ უბანზე, მტკვრის მაღალი ფლატის მიდევნებით, მიწის პირიდან 2—2,5 მეტრის სიღრმეზე კარგად შეინიშნება ნამოსახლარის ერთი კონოლოგიური დონე, რომელიც ცხოველის ძვლებით, კერამიკული ნაწარმის ფრაგმენტებით და *in situ* მდგარი ქვევრებითაა წარმოდგენილი. მოხსულ ფენაში დასტურდება ნაგებობათა ნანგრევები და კერამიკული ფრაგმენტები. ფლა-



ტეში წარმოდგენილი მასალის მიხედვით ნამოსახლარის ეს დონე ახ. წ. I—III საუკუნეებს მიეკუთვნება.

1960 წ. ამ უბნის დაზვერვების დროს, ხევის პირას, მოხნულის კიდეზე ნაპოვნი იქნა თიხის გამომწვარი გუნდა, რომელსაც ერთი (ზურგის) მხარე მომტვრეული ჰქონდა. გუნდაზე საბეჭდავი—ინტალიოს მეშვეობით, გამოწვის წინ, გაუკეთებიათ ანაბეჭდი, რომელმაც ჩვენამდე ოდნავ დაზიანებული სახით მოაღწია. ამგვარად, ჩვენ ხელთ აღმოჩნდა თიხის ბულა (ტაბ. L, 8). გამოსახულებაზე მოცემულია მამაკაცი, მარჯვენა პროფილში. სამწუხაროდ, სახის ნაწილი ამოგლეჯილია გვიანდელი დაზიანების დროს. მამაკაცს ჰხურავს ლამაზი ფორმის მუზარადი, რომელიც მხეცის (ლომის?) თავისიისა და მკერდის გამოსახულებას იძლევა. მარჯვენა პროფილში, ღია პირი და საერთო პოზა გვაფიქრებინებს, რომ მუზარადზე გადმოცემულია მოიერიშე მხეცი. ცხოველთა სამყაროს ამსახველი მუზარადები ადრინდნვეა გავრცელებული. აღებული ხანის ქართული სინამდვილისათვის შემორჩენილია ერთი მოგვიანო ცნობა, რომელიც ჯუანშერს ეკუთვნის (XI ს.) და ვახტანგ გორგასალს შეეხება. „ხოლო ვახტანგ მეფესა შეექმნა ჩაბალახი ოქროსი, და გამოესუა წინათ მგელი და უკანათ ლომი“<sup>43</sup>. ირანში, ცხოველის თავის ფორმის მუზარადებს ხშირად ატარებენ სასანიდი მეფეები. ასე მაგალითად: ერმიტაჟში დაცულია ვერცხლის თეფში, რომელზეც გამოსახულია ცხენზე მჯდომი მონადირე ბაჰრამ I (ახ. წ. 273—277 წწ.). მეფეს ჰხურავს მუზარადი, რომელიც ჯიხვის თავს გადმოსცემს<sup>44</sup>. ირანულ ძეგლებზე მუზარადების არა ერთი სახეა შენახული. რომელიც ცხოველთა სამყაროს ასახავს.

ბულაზე, როგორც ჩანს, გამოსახულია მეფე. მუზარადზე, შუბლის არეში, მოცემულია დიდი, ამოზურცული თვალი, ხოლო გარშემო უვლის პატივი, წარმოდგენილი მცირე წრეებით. თმები, გრებილი ნაწნავების სახით, მხრებამდე დაშვებული, ხოლო მარჯვენა ყურს მსხლის ფორმის დიდი საყურე ამშვენებს. ორთა ყელსაბამის შუაში ჩართულ რგოლზე მსხლის ფორმის ორი ცალი საკიდი მიმაგრებული. ტანსაცმლის გულისპირს ამშვენებს ვარსკვლავის ფორმის 5 ცალი საკიდი (2 ცალი ხუთქიმიანი, 2 ცალი ექვსქიმიანი და 1 ცალიც შვიდქიმიანი)<sup>45</sup>. მამაკაცის გამოსახულების გარშემო, ზედა ნაწილში მოცემულია არამეული (ფალაური) წარწერა, რომლის ქვედა ორივე მხარე მარილოვანი ნალექითაა დაფარული.

მართალია, ბულა ნაპოვნი ძველი ნამოსახლარის ზედაპირზე. მაგრამ მისი დათარიღება შესაძლებელი ხდება პარალელურ ძეგლთა მონაცემების სინათლეზე. კერძოდ, თუ ავიღებთ თმის გადმოცემის ხერხს, იგი დადასტურებულია სასანური ხანის როგორც გლიბტიკაში<sup>46</sup>, ისე ქვის რელიეფებზე. ნაქში-ი-რუსთამის ერთ-ერთ რელიეფზე, ასევე, გამოსახულია ნარსე სასანიდის (ახ. წ. 293—303 წწ.) კურთხევა. მეფის მარცხნივ და მარჯვნივ მდგომ ვაზირებს თმის ისეთივე

<sup>43</sup> ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 180.

<sup>44</sup> A. U. Pope, A Survey of Persian art, vol. IV, 1938, ტაბ. 212.

<sup>45</sup> А. А. Захаров, Геммы и античные перстни Государственного исторического музея, Труды секции археологии института археологии и искусствознания, РАНУОН, III, 1928, გვ. 310—311. ტაბ. V, 24, 48, VI, 50. L. Delaport, Catalogue des cylindres, I, ტაბ. 110. 57.

<sup>46</sup> A. U. Pope, დასახ. ნაშრ., ტ. IV, ტაბ. 253, C, D, E, F, G, N, P.

ვარცხნილობა აქვთ, როგორც ბულაზე გამოსახულ მამაკაცს. არდაშირ I (224—241 წწ.), შაპურ I (242—272 წწ.), ბაპრამ I (277 წ.) და ბაპრამ II (277—293 წწ.) პერიოდის ძეგლებში ასეთი ვარცხნილობის მქონე გამოსახულებები თითქოსდა არა ჩანს, მაგრამ იგი თავს იჩენს ნარსე სასანიდის დროს და თანაბრსებობს ვარცხნილობის წინანდელ ფორმებთან ერთად<sup>47</sup>.

ბულის სასანური ხანით დათარიღების სასარგებლოდ მიუთითებს მასზე გამოსახული მუზარადის, საყურის და ყელსაბამის ფორმა, აგრეთვე, გამოსახულების საერთო პოზა და შესრულების სტილი. ერმიტაჟის ერთ-ერთ სასანურ დრახმაზე, მაგალითად, გამოსახულია ბაპრამ II (277—293 წწ.) და მისი ვაჟი. უფლისწულს ჰხურავს მუზარადი, რომელიც გარეული მხეცის (ტახის) თავკისერს გადმოსცემს და შესრულების მანერითაც იმეორებს უფლისციხურ ბულაზე გამოსახულ მუზარადს<sup>48</sup>. გარდა ამისა, ახ. წ. III—IV სს სასანური მონეტების წარწერები შესრულებულია ყურადღებით, ხოლო IV საუკუნის მეორე ნახევარში წარწერები თანდათანობით სქემატური ხდება, რაც იმპერიის გაფართოებითა და ფულის ნიშნებზე მოთხოვნილების ზრდით აიხსნება<sup>49</sup>. სქემატურობისაკენ მიდრეკილება შეინიშნება გლიპტიკურ ძეგლებშიც. ჩვენი ბულა გამოირჩევა როგორც გამოსახულების, ისე წარწერის დახვეწილი შესრულებით, რაც კიდევ ერთი საბუთია იმისა, რომ იგი ადრესასანურ ხანას, კონკრეტულად კი, III ს-ის მიწურულსა და IV ს-ის პირველ ნახევარს მივაკუთვნოთ<sup>50</sup>.

როგორც ამ მონაპოვარის მიხედვითაც შეიძლება ვარაუდი, ყათნალიხევის მარცხენა მოსახლობაზე მოსალოდნელია საყურადღებო მასალების აღმოჩენა. ამასვე უნდა ადასტურებდეს ამ უბანზე გამოვლენილი სამარხები.

ორ მოსამარხი № 1. აღმოჩნდა ყათნალიხევის აღმოსავლეთ კიდედან, მდ. მტკვრის ფლატის ჩრდილოეთით, 35 მეტრის მანძილზე. გამოირკვა, რომ ხმარებაში ნამყოფ წვრილკოხიან კევრზე დაუსვენებიათ ორი მიცვალებული, ორივე მარცხენა გვერდზე. თავით SW და სახით NW მხარისაკენ. სამარხის ის ნაწილი, სადაც მიცვალებულთა ქვედა კიდურები უნდა ყოფილიყო, ხევში ჩაშლილია; ამ დროსვე დაზიანებულია კევრიც და დაკარგულა კოხების დიდი ნაწილი. გადარჩენილია საკმაოდ საყურადღებო ინვენტარი:

1. ბრინჯაოს თავგახსნილი, წელშეზნეჟილი, თავებშესხვილებული სამაჯური (ტაბ. L, 6), დამზადებული წრიული კვეთის მავთულისაგან.
2. რკინის სამაჯურები ნატეხებად, არანაკლებ ორი ცალისა (ტაბ. L, 5);
3. ვერცხლის საყურეები (ტაბ. L, 2, 3), დამზადებული გაბრტყელებული მავთულისაგან. ლითონი მაღალი სინჯისაა და აქვს ფერფლისფერი პატინა (საყურეების d—1,7 სმ, მავთულის სიგანე—0,4 სმ, სისქე—0,15 სმ).

<sup>47</sup> შდრ. А. И. Борисов, В. Г. Луконин, Сасанидские геммы, Л., 1963, გვ. 14—15.

<sup>48</sup> А. У. Роре, დასახ. ნაშრ., ტაბ. 253, Д; И. А. Орбели и К. В. Тревер, Сасанидский металл, М.-Л., 1935, გვ. 31, ტაბ. 2; К. В. Тревер, Художественное значение сасанидских монет, Труды Отдела Востока, I, 1939, გვ. 259, ტაბ. III, 3.

<sup>49</sup> К. В. Тревер, დასახ. ნაშრ., გვ. 260 და შნდგ.

<sup>50</sup> როგორც ლ. ქილაშვილმა და ქ. ჯავახიშვილმა მაცნობეს კიდევ ორი თიხის ბულა აღმოჩნდა ურბნისის ნაქალაქარზე: XVI უბანზე ა. წ. IV—VII სს. ფენაში (სამბეჭდიანი ბულა) და ერთ-ერთი კოშკის ამოსავსებად ჩაყრილ მიწაში (დაზიანებული. ბულა), ორივე ბულას თიხა გამომწვარია. უფლისციხის ბულა, როგორც აღვნიშნეთ, უფრო ადრეულია, ვიდრე ურბნისისა.



4. ვერცხლის თავგახსნილი ბეჭედი (ტაბ. L, 4), დამზადებული მავთულისაგან (d—2 სმ).

5. რკინის ბეჭედი ნატეხებად.

6. ბრინჯაოს ქინძისთავი, თავმსხვილი, ძლიერ დაზიანებული (ტაბ. L, 7).

7. ყელსაბამი (ტაბ. L, 1), რომელიც ითვლის 25 ცალ პასტის მძივს.

8. ხელადა (ტაბ. LI, 3), მუქი-ლევა ფერის, სილამინარევი თიხის, გაპრიალებული, წრიული კვეთის ყურით, მუცელგანიერი, ძირბრტყელი, უქუსლო, ყელმალალი, პირგადმოშლილი (სიმაღლე—13 სმ, პირის d—5 სმ, ყელის d—3,5 სმ, მუცლის d—10,5 სმ, ძირის d—6,5 სმ, კეცის სისქე—0,4—0,5 სმ).

9. ფეხიანი ფიალა (ტაბ. LI, 4), ლევა ფერის, სილამინარევი თიხის, გაპრიალებული, პროფილირებული, ქუსლგაშლილი, ქუსლამოღარული, პირფართო, პირშეკეცილი (სიმაღლე—7,5 სმ. აქედან ფეხისა—3 სმ, პირის შიგა d—12,5 სმ, პირის გარე d—15 სმ, ფეხის d—4,3 სმ. ქუსლის d—7,5 სმ.).

ასეთი ვაზა მოპოვებული იყო ბამბების ნამოსახლარზე ძვ. წ. III—II სს-ის ფენაში (ტაბ. XLIII, 7). ასეთივე ვაზები აღმოჩენილი იყო დიდუბეში 1930—31 წლებში მექანიკური ქარხნის მშენებლობის ღროს<sup>51</sup> (ტაბ. XLIII, 8), ზემო ავჭალაში (ტაბ. LI, 7) და სხვაგან. დ. ქორიძე მათ ძვ. წ. II—I საუკუნეებით ათარიღებს, მაგრამ მსგავსი ფიალები უფლისციხეში (ბამბების ნამოსახლარი) ძვ. წ. III—II საუკუნის ფენაშია დადასტურებული.

10. კევრი, რომლისგანაც გადარჩენილია მხოლოდ ერთი ნაწილი. დაცული იყო 40 ცალი კოხი, დამზადებული ბაზალტის ჯიშის ქვისაგან. კევრი სამარხში მოხვედრამდე დიდხანს ყოფილა ხმარებაში, რაზედაც კოხების სამუშაო პირის გაცვეთილობა მიუთითებს. წინარე ხანის კევრთა კოხებისაგან განსხვავებით (ხოვლე, ყათნალიხევის გორა, სამთავრო და ა. შ.), აქ კოხები შედარებით წვრილი ზომისა და უფრო მოხდენილი ფორმისაა. ცნობილია, რომ კევრის, როგორც სალექი იარაღის ხარისხი, დამოკიდებულია ფიცარზე კოხების განლაგების სიხშირეზე. სამარხში კევრის დადასტურების ფაქტის საფუძველზე შეიძლება გვეფიქრა, რომ აქ გუთნის დედის სამარხთან გვაქვს საქმე. სავსებით ბუნებრივია, რომ მევენახეთა სამარხების გვერდით, ყოფილიყო გუთნის დედათა სამარხებიც. ასეთ დაშვებას მხარს უჭერს როგორც მეურნეობის ხასიათი, ისე განვითარების დონე.

ორმოსამარხი № 2. მდებარეობდა № 1 ორმოსამარხის ჩრდილოეთით 20 მეტრის მანძილზე. გადარჩა მხოლოდ ერთი კუთხე, სადაც აღმოჩნდა მარჯვენა წინა მხარისა და ხელის მტევნის ძვლები. მიცვალებულს შუა თითზე ეკეთა რკინის ბეჭედი სარდიონის ვემათი. ვემა წარმოადგენს ინტალიოს. მასზე ღრმა კვეთით შესრულებულია სავარძელში მჯდომი ქალღმერთის გამოსახულება, რომელსაც მარჯვენა ხელი სავარძლის ზურგზე აქვს დაყრდნობილი, ხოლო მარცხენა ხელში რაღაც საგანი უჭირავს.

ორმოსამარხი № 3. იგი 1960 წ. ადგილობრივ მწყემსს შეუნიშნავს ყათნალიხევის ფლატეში და „გაუთხრია“ კიდეც. მოპოვებული ინვენტარი ექსპედიციას გადმოეცა. სამარხში, რომელიც № 2 ორმოსამარხის ჩრდილოეთით 15 მ მანძილზე მდებარეობს, აღმოჩნდა:

<sup>51</sup> დ. ქორიძე, თბილისის არქეოლოგიური ძეგლები, II, გვ. 48—49. ტაბ. X, 1, 2, 3, 5.

1. პრინჯაოს ზარაკი (ტაბ. LI, 9), ნახევარსფერული, ზედაპირი ვადამკვეთი ამოღარული ხაზებით დაყოფილია რომბებად (ზარაკის სიმაღლე—3,5 სმ, პირის d—3,5 სმ).

2. პრინჯაოს ზანზალაკები (ტაბ. LI, 10 11), 2 ცალი (ყოფილა სამი, მაგრამ მხოვნელსვე დაუკარგავს). დაფანჯრულები (მოზრდილი საკიდის სიმაღლე—3 სმ, მცირესი —2,6 სმ).

3. ქვის მძივი (ტაბ. LI, 8), რომლის დიამეტრია 1,7 სმ, ხოლო სისქე—1 სმ.

4. ქვის იარაღი (ტაბ. LI, 5), ყუნწით. იარაღი ხახუნის შედეგად გაცვეთილია ყველა მხარეს და ზედაპირიც ძლიერ გაპრიალებული აქვს (სიგრძე—5,4 სმ, სიგანე—1 სმ, სისქე—0,8 სმ). ასეთი იარაღები, როგორც დასტურდება, კერამიკულ წარმოებაში თიხის ჭურჭელის გასაპრიალებლად და დეკორის დასატანად გამოიყენებოდა (ყათნალიხევის ნამოსახლარზე კერამიკული წარმოების არსებობის ნიშნები წუნდებული ნაწარმის სახითაა შენიშნული). სამარხის ინვენტარში საპრიალებელი ქვის დადასტურება, შესაძლებელია, იმის მოწმობა იყოს, რომ იგი ხელოსანს, კერძოდ მეთუნეს ეკუთვნოდა, სამარხების ინვენტარში სამუშაო იარაღები არა ერთხელ ყოფილა ფიქსირებული (კევრები, ნამგლები, სასხლავი დანები, დუქარდი და ა. შ.) და ეს ძირძველი ტრადიცია, გარკვეულად შეცვლილი სახით, უკანასკნელ დრომდე შემოინახა<sup>52</sup>.

№ 3 სამარხი, ინვენტარის მიხედვით, ძვ. წ. III—I საუკუნეებში თავსდება. იგი № 1 ორმოსამარხის დონეზე მდებარეობს და იმავე ნეკროპოლს ეკუთვნის. მათი სინქრონულობის დაშვებას არ ეწინააღმდეგება სამარხის ინვენტარიც. ამ მონაცემების შუქზე კი შეიძლება თარიღის უფრო შეკუმშვა და ძვ. წ. III—II საუკუნეებით განსაზღვრა.

### ბ) ყ ა თ ნ ა ლ ი ხ ე ვ ი ს მ ა რ ჯ ვ ე ნ ა ნ ა პ ი რ ი ს მ ო ს ა ხ ლ ო ბ ა

სამოსახლოს ეს უბანი მრავალფენოვანია. იგი გაშლილია ხევისა და მდ. მტკვრის შესაყართან, დაახლოებით 1 ჰექტარ ფართობზე. საკმაოდ მოზრდილი ნაწილი, რომელიც ხევისა და მტკვრის ფლატესთან იყო განლაგებული დაღუპულა. ფლატეში კარგად შეინიშნება რამდენიმე კულტურული შრე. ყველაზე ზედა, როგორც კერამიკული მასალა უჩვენებს, ახ. წ. პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება. კერძოდ, აქ გვხვდება თხელკედლიანი, რელიეფური დაკბილული სარტყლებით შემკული ქვევრები და წერნაქიანი კრამიტის ორივე სახეობა (კრამიტი მცხეთიდან უნდა იყოს მოტანილი, რაზედაც „მცხეთური“ კრამიტის ნიშნები მიუთითებს). გარდა ამისა, ადგილობრივი მცხოვრებლების ცნობით, ძველად ყათნალიხევის მარჯვენა მხარეზე, მტკვრის მიდევნებით პოულობდნენ ვერცხლისა და ოქროს მონეტებს.

ნამოსახლარის ზედა ფენაში, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, ახ. წ. პირველ საუკუნეებს მიეკუთვნება ნაპოვნი იქნა რკინის სახნისი (ტაბ. LII, 2), რომელიც ხანძარში დაღუპული ნაგებობის ნანგრევში იდო (მიწის თანამედროვე ზედაპირიდან 1,5 მეტრის სიღრმეზე). ნაგებობის დიდი ნაწილი მდინარეს ჩამოუშლია და დაღუპულა. სახნისი იდო დამწვარი ძელებისა და ხანძრისაგან დე-

<sup>52</sup> ქართლის ტერიტორიაზე, რევოლუციამდელი ხანის სამარხის არა ერთი ლოდი შეიძლება მიეთითოს, რომელიც სარქალს, მწყემსს, ვუთნისდედას, თუ ხელოსნობის რომელიმე დარგის წარმომადგენელს ეკუთვნოდა.



ფორმირებულ თიხის ჭურჭელთა ნატეხების (ტაბ. LII. 3), ნახანძრი ქვებისა და ნაცრის გროვაში. იგი უანგისაგან ძლიერ დაზიანებულია, მაგრამ ფორმა და თავდაპირველი ზომები შენარჩუნებული აქვს. გაკეთებულია ტოლფერდა სამკუთხედის ფორმის რკინის სქელფურცლოვანი ზოდისაგან, რომელსაც ფუძე გვერვით აქვს გაბრტყელებული. ამის შემდეგ მჭედელს გაშლილი გვერდები აუკეცია და შესაფერი ფორმის გახსნილი ყუა გაუკეთებია (სახნისის საერთო სიგრძე—35 სმ. სიგანე: ყუის დასაწყისთან—13 სმ, ყუისა—15 სმ, ყუის სიმაღლე—4 სმ. რკინის ფურცლის სისქე—2 სმ). სახნისის წვერი ოდნავ დახრილია. რაც, როგორც ჩანს, შემთხვევითი არ არის: ასეთი აღნაგობა უზრუნველყოფდა მუნაობისას გუთნის სასურველ სიღრმეზე დაშვებას, რასაც მსგავსი კლიმატის რაიონების მემინდვრობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ბუნებრივია, ნაცადი იქნას გარკვევა, თუ სახვნელი იარაღის რომელ ტიპს მიეკუთვნებოდა ჩვენი სახნისი. ქართულ სამყაროში სახვნელი იარაღებისა და სახნისის სიძველეზე საკმაოდ მდიდარი ლიტერატურაა შექმნილი. ჯერ კიდევ პინდაროსი (ძვ. წ. 522—442 წწ.) მიუთითებდა აეტის დროინდელ კოლხეთში ფოლადის სახვნელის არსებობაზე (SC, I, 324).

როგორც აკად. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ამ დროისათვის ქართული სახვნელი იარაღი იმდენად სრულქმნილი ყოფილა, რომ მისი სახელი შორს ყოფილა გავარდნილი კავკასიის ფარგლებს გარეთ. საყურადღებოა, რომ მეზობელი ხალხების თქმულებებში სახვნელი იარაღის შემქმნელად ქართველი გვევლინება<sup>53</sup>. საქართველოში დადასტურებულია სახვნელი იარაღის რამდენიმე ტიპი, რომლებიც ერთდროულად არიან ხმარებაში. მაგრამ განვითარების სხვადასხვა საფეხურებს მიეკუთვნებიან და სხვადასხვაგვარ მეურნეობასაც გულისხმობენ: ივ. ჯავახიშვილს აღნიშნული აქვს, რომ „...სახვნელის საუკუნეთა განმავლობაში თანდათანობითმა გაუმჯობესებამ და ახალ-ახალმა სახეობამ წინამორბედი სახეობა ვერ მოსპო. ამ ერთის შეხედვით უცნაური მიზეზის გაგება ადამიანს არ გაუძნელდება, თუ საქართველოს ნიადაგის გასაოცარ სხვადასხვაობასა და ბუნებისა და თვისებათა მრავალფეროვნობას გაიხსენებს.. ამ გარემოებამ საქართველო სახნავი იარაღის თავისებურ საისტორიო მუზეუმად აქცია“<sup>54</sup>.

უფლისციხეში აღმოჩენილი სახნისი ჯილდას ტიპის, ან რომელიმე წინამორბედ სახვნელს („რაჭული სახვნელი“, „ქართული აჩაჩა“, „ფშავური აჩაჩა“)<sup>55</sup> უნდა ეკუთვნოდეს. ცხადია, ახ. წ. I—III საუკუნეებისათვის ქართლის ბარის მოსახლეობის სამიწათმოქმედო იარაღების ძირითადი სახეობანი დიდი ხნის ჩამოყალიბებულია. მრავლისმთქმელი ფაქტია, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარშივე შიდა ქართლის ბარის რაიონები კარგად იცნობენ პურის ლეწვას კევრით (მცხეთა, ხოვლე, უფლისციხე), რაც მაღალგანვითარებული მეურნეობის არსებობის საბუთია. ამავე დროისათვის ვარაუდობენ რკინის სახნისის გამოყენებას, ხოლო შერეული თესლის ქონება და ძლიერი სამიწათმოქმედო კულტების ყოლა ნივთიერადაა დადასტურებული (ხოვლე, ყათნალიხევის ბორცვი, ნაცარგორა და ა. შ.). როგორც ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, ახ. წ. V საუკუნემდე ქართლის მოსახლეობას უკვე ჰქონია სახვნელის ისეთი მაღალგან-

<sup>53</sup> ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, I, თბ., 1930, გვ. 262—263.

<sup>54</sup> იქვე, გვ. 173—174.

<sup>55</sup> Г. С. Читая, Земледельческие системы и пахотные орудия Грузии, Сб. „Вопросы этнографии Кавказа“, Тб., 1952, გვ. 110—111.

